# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო
"LA GÉORGIE COMBATTANTE"

იანვარი, 1997 წელი - ნომერი 20(38) - JANVIER 1997

ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს — ილია

მ ი ნ ა ა რ ს ი

გილოცავთ ახალ წელს!
საახალწლო........................................1
სოხუმის დაპყრობის სამი წლისთავი
27 სექტემბერი - სოხუმის დაპყრობის დღე..........4
ჩვენი უპირველესი პრობლემაა ლტოლვილები.........6
ჩვენი აფხაზეთი...................................9
არძინბას "პარლამენტის სესია"....................[illegible]
მერვამიძეთა გენეოლოგიური ხე....................[illegible]
გენოციდი აფხაზეთში..............................[illegible]
სამხედრო კონფლიქტი და ქართველთა გენოციდი აფხაზეთში...[illegible]
აფხაზეთის - [illegible] ნაბიჯის დადგენილება.....[illegible]
საქართველოს პარლამენტის დადგენილება.............[illegible]
ამონაწერები: სამხედრო კონფლიქტი................[illegible]
სოხუმის [illegible]..............................[illegible]
"მიუღლო[illegible]" აფხაზეთის შესახებ..........[illegible]
თამაზ ნადარეიშვილი..............................[illegible]
ჩვენი სატკივარო საკითხები
საქართველო და უცხოეთში მცხოვრები ქართველობა....31
ჩვენ ბრალდებას ვუყენებთ რუსეთს! - ...............33
მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს.................36
ქართველთა მხოფლხედვა............................37
ლაზები და ჩვენ...................................41
14 თებერვალი - შეყვარებულთა დღესასწაული.........42
ხედავს მაშვერი მოვლენის მხოლოდ ჩონჩხს? - .......43
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები................47
ქართული ლიტერატურა და ხელოვნება
ოთარ იოსელიანი - ჩვენი საამაყო სიხარული.........57
გრიგოლ რობაქიძე: "წმინდა ნინო".................[illegible]
პაატა ბურჭულაძე - ჩვენი საამაყო მომღერალი.......58
ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება
26 მაისი პარიზში.................................59
ილია II-ეს ბლაგვეშჩენსკი მიუნხენში..............61
ქუთაისის ლექსები პარიზში.........................63
ქუთაისის ლეგეგაციის მიღება ლევილის ქართულ მამულში...65
საუკუნო იყოს ხსენება მათი
დავით პეკურიძის გარდაცვალება.....................64

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲬᲐᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ, ᲛᲭᲠᲔᲚᲘ, ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ. — ᲜᲝᲔ

დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი —Fondation: janvier 1952, Paris

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბ-763
42674
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეოთხე სვეტი“

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელეხედვა, კინოფილმი — დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების „მეოთხე სვეტი“ სახელმწიფო ძალაუფლების „სამი სვეტის“ — მმართველობის (მთავრობა), კანონმდებლობის (პარლამენტი) და მართლმსაჯულების (სასამართლო) გვერდით. აზრთა სხვადასხვაობა და ჭიდილი დემოკრატიის სისუსტე კი არა, სიძლიერეა, თუ იგი დარჩება დემოკრატიული სახელმწიფოს შორის, პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში, რაშიც მჟღავნდება პიროვნების, ერის პოლიტიკური კულტურა. ამდენად მასობრივი ინფორმაციის მედიუმები უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ცხოვრების სარკე, რაც — თავის მხრივ — ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური და მიუდგომელი; და მის შექმნაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საზოგადოების ყველა ფენა იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას თავიდან ამა თუ იმ პირის, თუ დაჯგუფების განუკითხავი ბატონობა.

## საქართველოს კონსტიტუცია

## Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი
კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

მუხლი 32

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

Tout citoyen a le droit d ` exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d` autres moyens sans l`autorisation préalable du Gouvernement. Il n 'est responsable, pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

---

## ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

## Universal Declaration of Human Rigts

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

arricl 19

Everyone has the righet co freedom of opinion and expression; this righet includes freedom co hold opinions sichour incerierence and to scet, receive and impart information and idext chrough any medis and regardless of fronciers.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ ახალ 1997 წელს!..

## საახალწლო

1.

დადგა ახალი წელი, 1997 წლის პირველი იანვარი. რა შეგვიძლია ვთქვათ გასული 1996 წლისა და მომავალი 1997 წლის შესახებ? – ენციკლოპედიები გვაუწყებენ, რომ იანუსი, რომაულ მითოლოგიაში ღმრთის, კარის და კარიბჭეების, შესასვლელ-გასასვლელის, ყოველივე დასაწყისისა და დასასრულის, ყველა საქმის წამოწყების ღვთაებაა. თავდაპირველად იანუსი ითვლებოდა ცისა და მზის, წელიწადის, დროის, თვისა და დღის ღვთაებად. მისი თვე იყო წელიწადის პირველი თვე იანვარი, მისადმი მიძღვნილი მთავარი დღესასწაული კი წელიწადის პირველი დღე -"კალენდე იანუარიუს". იანუსის ორსახოვან მამაკაცად გამოსახავდნენ, ერთი სახე, ყმაწვილისა, წინ ჰქონდა მიქცეული, მეორე სახე მოხუცებულისა, უკან. გადატანითი მნიშვნელობით იანუსს ორპირა, გაიძვერა ადამიანს უწოდებენ.

2.

შეგვიძლია დღეს - ატომურ და გენეტიკის, ელექტრონიკისა და ციფრული ინფორმაციის ხანაში იგივე მასშტაბით განვსაზღვროთ გასული და მომავალი წელიწადი? - უთუოდ, რადგან გასული წელიწადის, ე.ი.1996 წლის საქმეები გასწვდა მომავალს, და ახალი, 1997 წლის წელიწადი უნდა განვჭვრიტოთ, რამდენადაც შესაძლებელია, გასული წლის უკვე განხორციელებულ თუ დაწყებულ საქმეთა ცოდნით. და, აქედან, ლოგიკურია კითხვა: რა მოგვიტანა 1996 წელმა ჩვენ, ქართველებს, და რას უნდა მოველოდეთ მომავალ 1997 წელში? - ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ადვილი საქმე არ არის, თუმცა, როგორც ავღნიშნეთ, ნარსული აწმყოა, და რაც დავთესეთ 1996 წელს იმის მომკა შეგვიძლია 1997 წელში.

3.

და რა დავთესეთ 1996 წელში? - შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავთესეთ, შევეცადეთ დაგვეთესა 1996 წელში 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნების შედეგად მოპოვებული სტაბილური მდგომარეობა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში, რასაც განსაზღვრული წარმატება მოყვა, თუმცა ჯერ კიდევ შორს ვართ განსაკუთრებით ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებიდან, რომ ადამიანს შეეძლოს თავისი ხელფასით, პენსიით თუ სოციალური დახმარებით თავისთავისა და თავისი ოჯახის დაკმაყოფილება პირველი მოთხოვნილების საგნებით მაინც. მაგრამ, როგორც ავღნიშნეთ, ნიშნები შეიმჩნევა, და ეს უკვე დიდი წარმატებაა. დიდი წარმატება გვაქვს აგრეთვე კანონის უზენაესობის ისევ-დანერგვის საქმეში, რის თვალსაჩინო შედეგია ის, რომ დღეს უკვე ადამიანს შეუძლია თავისუფალი მიმოსვლა უსაფრთხოების პირობებში, რაც აქამდე შეუძლებელი იყო. წარმატებები გვაქვს ამასთანავე ეკონომიკურ სფეროებში, რომლის ერთერთი, შეიძლება, არსებითი, შემადგენელი ნაწილია ქართული ფულის - ლ ა რ ი ს - სტაბილურობა, თუმცა, როგორც ავღნიშნეთ, ხელფასსა და ლარის მსყიდველობით უნარიანობას შორის დიდი უწონასწორობაა, რის შედეგია მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილის დაბალი ცხოვრების დონე; კიდევ მეტი: ამბობენ, რომ შიმშილით სიკვდილსაც კი ჰქონია ადგილი განსაკუთრებით ინტელიგენციის წრეში, რაც სამწუხაროდ, ტრაგედიით უნდა იქნას მიჩნეული. ამას ემატება ელექტრო-ენერგიის თუ საწვავი ნახშირის უქმარისობა, რის შედეგია ის, რომ ქალაქების წყლით მომარაგება თუ ბინების გათბობა სავალალო მდგომარეობაშია. როგორც ვხედავთ, საქართველოს ღღევანდელ საშინაო მდგომარეობა სახარბიელო არ არის.

4.

მაგრამ დიდი წარმატებები გვაქვს საქართველოს საგარეო მდგომარეობაში, თუმცა ვერ შევძელით პოსტბოლშევიკურ რუსეთთან საერთო ენის გამონახვა, რაც ყველაზე უფრო მძიმე ტვირთად აწევს საქართველოს ეკონომიკურადაც, რადგან სამას-ათასზე მეტი ლტოლვილი გვყავს თვით საქართველოში დიდმპყრობელ-შოვინისტების იმპერიული პოლიტიკის შედეგად ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში. ვერ იქნა და ვერა გზების გახსნა შიდა ქართლისა და აფხაზეთის მიმართულებით, რომ ჩვენს ლტოლვილებს შეეძლოთ თავ-თავიანთ სახლ-კარში დაბრუნება, რაც - თავის მხრივ - ხელს შეუწყობდა საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებას თუ გნებავთ იმით, რომ საქართველოში ისევ გამოცოცხლდებოდა ტურიზმი თუ ის ადგილები - სანატორიუმები თუ სანატორიუმები - განთავისუფლებული იქნებოდა ლტოლვილებისაგან; ამის ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია "ივერიას" პოტელი თბილისში, რომელიც იფარებს ლტოლვილებს აფხაზეთიდან თუ შიდა ქართლიდან. ქართველი ლტოლვილების დაბრუნებას თავთავიანთ სახლ-კარში კი წინ ეღობება რუსეთი აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტების ნიღბით; და ამ მიმართულებით 1996 წელიც ისევე უშედეგო გამოდგა

g-763

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორც წინა წლები დაწყებული 1993 წლის 27 სექტემბრიდან, როცა რუსეთმა დაიპყრო სოხუმი და ქართველობა განდევნა საქართველოს სისხლხორცეულ მიწა-წყლიდან - აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან.

5.

და რას უნდა მოველოდეთ 1997 წელში?.. უპირველესი ჩვენი ამოცანა მომავალ 1997 წელში უნდა გახდეს ის, რომ როგორმე რუსეთთან შევძლოთ საერთო ენის გამონახვა, რომ რუსეთმა ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე, რომ ჩვენ შევძლოთ ჩვენი ლტოლვილების დაბრუნება თავთავიანთ სახლ-კარში - აფხაზეთსა და შიდა ქართლში. ჩვენ უნდა შევძლოთ დავარწმუნოთ რუსეთის დღევანდელი ხელმძღვანელობა იმაში, რომ ერთიანი და განუყოფელი საქართველოს სტაბილური სახელმწიფოებრიობა რუსეთის ინტერესებსაც თუ რუსეთს არ სურს ყოველი ჯურის ფუნდამენტალისტების სარბიელი გახდეს კავკასია და ამით თვით რუსეთიც.

6.

რა თქმა უნდა, აღნიშნული საგარეო და საშინაო მდგომარეობა საქართველოსა ზეგავლენას ახდენს ჩვენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაზე. მაგრამ მთავარი - ჩვენი ბედის გამოჭედვაში - ვართ თვითონ ჩვენ, საქართველოს მთელი მოსახლეობა, რომ ჩვენი ცხოვრების საფუძვლად ისევ ვაქციოთ შრომა, შრომა და შრომა; და ამ პრობლემას იმიტომ ავღნიშნავთ, რომ, როგორც ჩანს, ჩვენ ფიზიკურ შრომას გავურბივართ და ამით ნებაყოფლობით ხელს ვიღებთ ჩვენი მიწა-წყლის ათვისებაზე; ჩვენი მიწა-წყლის ათვისების გარეშე კი შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური გამოჯანმრთელება და ჩვენი მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით დაკმაყოფილება. მართალია, ჩვენი სოფლის მეურნეობაც მოითხოვს თანამედროვე ტექნიკას - ტრაქტორებს თუ სარწყავ მასალას -, მაგრამ ვითომ ტრადიციული "თოხითა და ბარით" შეუძლებელია ჩვენი მიწა-წყლის იმდენად ათვისება, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი თავის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ასე თუ ისე, დაკმაყოფილება?.. ჩვენი თბილისი, მაგალითად, გადატვირთულია მოსახლეობის სიმრავლით, რადგან ხუთმილიონიანი ქვეყნის დედაქალაქში - და ასეთია საქართველო - მიზანშეწონილი იქნებოდა თუ თბილისის მოსახლეობა არ გადასცილდებოდა მოსახლეობის ერთმილიონიანი სულის რაოდენობას. მაგრამ ამგვარი პრაგმატული ზომიერების დაცვა რომ შეუძლებელი ხდება იმის გამო, რომ სოფელს გავურბივართ და ამით მიწის უშუალო ათვისებას თავს ვანებებთ, რის შედეგად გზას ვუხსნით დემოგრაფიულ უწონასწორობასაც?.. გასაკვირია, გაუგებარია, უცნაურია, რომ ჩვენ მუდამ, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას უმთავრესად უცხოეთიდან მოველით და ვივიწყებთ, რომ საქართველოს უცხოეთის სამოწყალო არაფერი არ აქვს, თუ ჩვენ შრომას, ფიზიკურ შრომას ისევ მოვკიდებთ ხელს; და ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ; ჩვენ ამას გავაკეთებთ, რადგან საქართველოს სოფლები სწორედ ამგვარ მაგალითს იძლევა, რის შედეგია ის, რომ ჩვენს სოფლებში, მიუხედავად ტექნიკის უკმარისობისა, - იმდენი სასმელ-საჭმელი იქმნება, რომ ჩვენი ქალაქების სურსათ-სანოვაგის დაკმაყოფილებაში მთავარ როლს თამაშობს.

7.

ამდენად, 1997 წელიც წინსვლის, ეკონომიკური გამოჯანსაღების პერიოდათ უნდა ვაქციოთ - შრომით, შრომით და ისევ შრომით. ეს ჩვენ შევძლით 40-იან წლებში, კოლექტივიზაციით [illegible], როცა საქართველო უცხო ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა; [illegible], ვგონრობთ, უფრო ადვილად დღეს, როცა საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა და გზა ყოველმხრივ განხსნილია, რომ ჩვენ შევძლოთ ჩვენი ცხოვრების სასურველი მიმართულებით წარმართვა.

8.

მართალია, დიდმპყრობელ-შოვინისტები, განსაკუთრებით აფხაზეთსა და შიდა ქართლში, აფხაზი და ოსი ექსტრემისტების ნიღბით, - ყოველგვარ ჯებირს გვიქმნიან, რომ ჩვენ ისევ ვაღიაროთ უცხო ძალის ბატონობა საქართველოზე; მაგრამ უკვე შეუძლებელია ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნება, თუ ჩვენ ერთსულოვნად ერთობის გზას დავადგებით, რაც იმასაც ნიშნავს, რომ როგორმე საერთო ენა უნდა გამოვნახოთ რუსეთთან, რასაც მოყვება, გასაგებია, სამას-ათასზე მეტი ქართველი ლტოლვილის დაბრუნება თავთავიანთ სახლ-კარში, რაც, გასაგებია, ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ გამოჯანსაღებასაც.

9.

მაშ, იმედი, იმედი და კიდევ იმედი უნდა გახდეს მომავალ 1997 წელშიც ჩვენი მამოძრავებელი მრწამსი. ამგვარი შეგნებითა და მრწამსით გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო თანამემამულენო!..

კარლო ინასარიძე

[illegible] 1997 [illegible]

სოხუმის დაპყრობის სამი წლისთავი

# საქართველო
# ერთობა მრავალფეროვნებაში
# ჩვენი აფხაზეთი

## პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო

"ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართ, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ცხიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა მგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი [illegible] ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას ჭრის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, 'იგი თავისა მტერია'. ჩვენ ქართველები გვანებივრებენ, არასოდეს გვაგრძნობინებენ, რომ პატარა ერი ვართ. აი, აკაკის 'გამზრდელი' აიღეთ. მე იგი საგანგებოდ ვთარგმნე, როგორც ამ გრძნობათა და მეგობრობის დიდი დოკუმენტი".

დ ი მ ი ტ რ ი   გ უ ლ ი ა
აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

მ ა რ ტ ი 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 27 სექტემბერი - სოხუმის დაპყრობის დღე

I.

27 სექტემბერი - სოხუმის დაპყრობის დღეა და ამიტ ქართველთა გენოციდის ხიმბოლო აფხაზეთში, საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეში. კიდევ მეტი: 27 სექტემბერში თავს იყრის ყოველი ჯურის დიდმპყრობელ პოვინისტების გენოციდი ქართველების, საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული შაჰ-აბასიდან დღემდე, რომლის ტრაგიკული ნიშანსვეტებია - მეოცე საუკუნის ჭარგლებში რომ დავრჩეთ - 1921 წლის 25 თებერვალი, 1924 წლის 28-29 აგვისტო, 1989 წლის 9 აპრილი თუ 1993 წლის 27 სექტემბერი, როცა აფხაზ ექსტრემისტების ნილბით, დიდმპყრობელ შოვინისტებმა, ე.ი. რუსეთმა დაიპყრო სოხუმი და განდევნეს საქართველოს ამ ძირძველ მიწიდან სამას-ათასი ქართველი.

II.

ამგვარად, საერთაშორისო სასამართლოს მიერ აღიარებულ ებრაელთა თუ სომხეთა გენოციდს ქართველთა გენოციდი უერთდება და ამით ქართველების აღნიშნული უბედური ერების ხვედრში ექცევა; სავალალოა, სამწუხაროა მხოლოდ, რომ ქართველების გენოციდი აფხაზეთში აფხაზი ექსტრემისტების ნიღბის ქვეშ მოხდა და ღვესავ ხდება, თუმცა აფხაზი ექსტრემისტები ბრმა იარაღია დიდმპყრობელ-შოვინისტების ხელში, რომლებმაც შესძლეს ჩვენი ძმების აფხაზების მცირე ნაწილის თავიანთი ძმების მკვლელებად გაეხადათ, რაც ქართველების გენოციდს აფხაზეთში კიდევ უფრო ტრაგიკულ ხდის და ბიბლიურ აბელისა და გაენის ტრაგედიას ესადაგება.

III.

გენოციდია, 1948 წლის საერთაშორისო კონვენციით, - ქმედობა, რომელიც მიმართულია რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ჯგუფის პირთა მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატება ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, მათი მძიმე დასახიჩრებით, ან განზრახ ცხოვრების ისეთი პირობების შექმნით, რომელიც გამიზნულია მათი მთლიანად ან ნაწილობრივ გასანადგურებლად.

IV.

სწორედ ასეთია აფხაზი-ექსტრემისტებისა და დიდმპყრობელ შოვინისტების ქმედობა ქართველების წინააღმდეგ აფხაზეთში:

1.გამოძიებით დადგენილია, რომ ქართველების გაძევება მათ მიწა-წყლიდან ხდებოდა გეგმაზომიერად. მათ, ვინც გადაურჩა სიკვდილს, აწერინებდნენ განცხადებას მთელი უძრავ-მოძრავი ქონების ნებაყოფლობით დატოვების შესახებ.

2.ქართველობის გენოციდის განხორციელება მოხდა სამ ეტაპად:

ა).პირველი ეტაპი განხორციელდა 1992 წლის 14 აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე გუდაუთის ზონაში;

ბ).მეორე ეტაპი განხორციელდა 1992 წლის 2 ოქტომბრიდან 1993 წლის 15 სექტემბრამდე გაგრის ზონაში;

გ).მესამე ეტაპი განხორციელდა 1993 წლის 15 სექტემბრიდან სოხუმის, ოჩამჩირის, გალის,რაიონებში და ტყვარჩელის ზონაში.

"ყველა ამ ეტაპზე განსაკუთრებით აქტიურად ებრძოდნენ სეპარატისტები ინტელიგენციას, რაც მეცნიერების, პედაგოგების, ჟურნალისტების, მწერლების, ხელოვნების მუშაკთა მასობრივ მკვლელობაში გამოიხატა"("ს.რ."- 6.2.1996 წ.,"ქართველების გენოციდი აფხაზეთში", ანზორ ბალუაშვილი).

3).უკვე სოხუმის დაცემის შემდეგ, 1992 წლის 27 სექტემბერს, აწამეს და დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა და მთავრობის სხვა წარმომადგენლები, აპარატის თანამშრომლები, ქალაქის მერი გურამ გაბისკირია, და სხვები.

4).სეპარატისტებმა მოკლეს ხელოვნების ასზე მეტი მუშაკი, მათ შორის ქალები: სალისტურად აწამეს და მოკლეს 37 წლის ნატო მილორავა, და სხვები.

5).სეპარატისტებმა და მათ მიერ დაქირავებულმა ბანდიტებმა მოკლეს 200-ზე მეტი პედაგოგი, მათ შორის 60-ზე მეტი ქალი: ვენერა სიგუა, იულია გაგოსია, და სხვები.

6).სეპარატისტების მსხვერპლი გახდა მედიცინის დარგის 80-ზე მეტი მუშაკი, უმრავლესობა ქალები: ვერა ყოლბაია, თინა წოწონია, ნინო შონია და სხვები.

7).ქართველობის გამო სიცოცხლე მოუსწრაფეს კომეურნეობის თავჯდომარეს მამული აფხაზავას, ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელს ტრისტან გაბე-

ლიას, სამშენებლო სამმართველოს უფროსს ლეონტი ჯალაღონიას, აფხაზეთის პროკურორის უფროს თანაშემწეს ვლადიმერ ყალიჩავას, გამომძიებელ ემზარ ლამხიას, სუბტროპიკული ინსტიტუტის კათედრის გამგეს იური ნორაკიძეს, ამავე ინსტიტუტის დოცენტს კარლო ჩხენკელს, სოხუმის მთავარ არქიტექტორს თამაზ თავაძეს და სხვებს.

8).ქართველთა მასობრივი ჟლეტა-გაძევება დაიწყო სოხუმისა და გუდაუთის რაიონებში, სადაც მოკალათდენ სეპარატისტთა შტაბები. ეშერიდან, ლიხნიდან, არადუდან, ახალსოფლიდან გააძევეს 5 000-ი ქართველი, დანარჩენებს სასტიკად გაუსწორდენ.

9).1993 წლის 15 დეკემბერს ახალსოფელში დახვრიტეს 17 ქართველი, 70 წლის ინდიკო გრძელიძეს ამოაჭრეს გული; ლევუკა მაისურაძე ხალხის თვალწინ ცულით დაჩეხეს; 66 წლის ნიკოლოზ ქვაბზიანიძე ტრაქტორს გამოაბეს და წამებით მოკლეს.

10).გაგრის დაპყრობის შემდეგ, სეპარატისტთა ბანდებმა დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევა, წამება, ხოცვა, ბინებისა და ქონების ძარცვა და განადგურება. თვითმხილველთა ჩვენებით, 1993 წლის 5 ოქტომბერს ამ ბანდებმა დაბა ლესელიძეში აწამეს და ელექტრობოძებზე ჩამოახრჩეს 50 ქართველი.

11).განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდენ გაგრის, სოხუმის, განთიადის, ბიჭვინთის, ლიძავას, ალახაძის, ბზიფის ქართველობას, რომელთაც განურჩევლად კლავდენ მოხუცების, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით. საჯაროდ დახვრიტეს მშვიდობიანი მცხოვრებლები - ბ.ქომეთიანი, ჯ.კუჭუხიძე, ნ.ნარკვიანი, ს.ბობოხიძე, გ.გვაზავა.

12).შვილებისა და მეუღლის თვალწინ დახვრიტეს ი.ბჟალავა; მეუღლის თვალწინ მოკლეს ბ. კუცია; ქალიშვილის თვალწინ დახვრიტეს გ.ბენიძე; მამის თვალწინ დახვრიტეს გ.ლონტი. 65 წლის პედაგოგი ვასილ სამხარაძე ქუჩაში შეიპყრეს და საჯაროდ თავი მოჰკვეთეს. ჭირისუფლებს მისი დაკრძალვის ნება არ დართეს და ქუჩაში დაგდებული მიცვალებული ცხოველებმა დაგლიჯეს. გიორგი ფიფიას ჯერ ყურები დააჭრეს, შემდეგ ცხვირი და ასე წამებით ამოხადეს სული. და რამდენი ამგვარი მაგალითი უნდა ჩამოთვალოს კაცმა, რომ ფარდა აეხადოს დიდმპყრობელ-შოვინისტების ჯალათურ გენოციდს აფხაზეთში, რომელიც ჩატარდა აფხაზი ექსტრემისტებისა და მისი ჩრდილო-კავკასიური "ბოევიკების" მეშვეობით, რომლის დროს ბრძოლებში ჩაბმული იყო რუსეთის რეგულარული ჯარების ნაწილებიც, რაც - თავის მხრივ - იმის დამადასტურებელია ფაქტია, რომ აფხაზეთში ადგილი ჰქონდა არა მარტო რუსეთისაგან ინსპინირებულ აფხაზ-ექსტრემისტების აჯანყებას საქართველოს და ამით თვით აფხაზეთის წინააღმდეგ, არამედ - ფაქტიურად - ომს, რუსეთის მხრიდან გამოუცხადებელ ომს საქართველოს წინააღმდეგ საქართველოსავე ტერიტორიაზე, ე.ი. აფხაზეთში.

V.

ამგვარად, საქართველოში, რომლის განუყოფელი ნაწილია ათასწლეულების განმავლობაში აფხაზეთიც, დიდმპყრობელ-შოვინისტებმა, ე.ი. რუსეთმა - ჯერ - მოახდინა აფხაზი-ექსტრემისტების იმპერიულ ავანტიურებში ჩაბმა და აამხედრა აფხაზთა ძმების ქართველების წინააღმდეგ, და ეს გამოაცხადა ეთნიკურ კონფლიქტად, და - შემდეგ - თვით რუსეთის შეიარაღებული ჯარები ჩაება საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლებში, და რა გასაკვირია, რომ რუსეთმა შესძლო საქართველოს დამარცხება აფხაზეთში.

VI.

მაგრამ რუსეთმა არა მარტო დაამარცხა, სამხედრო თვალსაზრისით, საქართველო, არამედ ჩაატარა - აფხაზი ექსტრემისტების, ჩრდილო-კავკასიელი "ბოევიკებისა" და თვით რუსეთის კა-გე-ბეს მეშვეობით ქართველების გენოციდი აფხაზეთში და აფხაზეთიდან ქართველების გამოდევნა, რომ ამ ტერიტორიას, ისე როგორც სოჭისა და მისი რეგიონის ტერიტორიას დაეპატრონოს რუსეთი და იქ ჩაასახლოს არაქართველობა, რაც, ფაქტიურად, უკვე განხორციელების პროცესშია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქართველობის დაბრუნების წინააღმდეგია, პირველ ყოვლისა, რუსეთი, რომელიც ისე ალაპარაკებს აფხაზ-ექსტრემისტებს, როგორც ეს რუსეთს სურს; და, როგორც ჩანს, რუსეთის ყველა პოლიტიკური მოღვაწე - არის ის ჟირინოვსკის, ზიუგანოვის თუ ელცინის მომხრე - ამ საკითხში ერთნაირად აზროვნებს და მოქმედებს, რის ყველაზე უფრო ნათელი დამამტკიცებელია ფაქტია სოჭისა და მისი რეგიონის საბჭოთა რუსეთთან შეერთება, 1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ლენინმა და ლღევანდელმა მისმა მემკვიდრეებმა "ინტერნაციონალიზმის" მხოლოდ ხელვით მიახლინეს; საქართველოს ერთი ნაჭერი მიწა შეიერთა რუსეთმა თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს!..

VII.

ამგვარად, რუსეთის პოსტბოლშევიკური მახინაციები საქართველოში არა მარტო უნდა დაიგმოს საერთაშორისო მასშტაბით, არამედ ყველა ომის პოტენციური ბოროტმოქმედი უნდა დაისაჯოს, რომლებსაც ბრალი ედებათ ქართველების გენოციდში აფხაზეთში.

VIII.

საქართველომ, ქართველმა ერმა კი არა მარტო ქედი უნდა მოიხაროს გენოციდის მსხვერპლთა წინაშე, არამედ, ამასთანავე, ყოველი საშუალებით უნდა შესძლოს ომის ბოროტმოქმედთა დასჯა საქართველოს ან საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოების მეშვეობით.

IX.

გვახსოვდეს: 1993 წლის 27 სექტემბერი - სოხუმის დაპყრობის დღე - ქართველთა გენოსიდის სამახსოვრო დღეა!..

გვახსოვდეს: ამ ბოროტების ჩამდენნი უნდა იქნან გასამართლებული საქართველოს ან საერთაშორისო სასამართლოს მიერ როგორც პოტენციური ომის ბოროტმოქმედნი!..

გვახსოვდეს: ჩვენი ძმები აფხაზები - თითო-ოროლა აფხაზი ექსტრემისტების გამოკვლებით - ისევე, ღია თუ ფარული გენოსიდის მსხვერპლნი არიან, როგორც აფხაზეთის მკვიდრნი ქართველები, და ამდენად, ჩვენი, ქართველების, საქართველოს მოვალეობაა ისევ აღვადგინოთ ქართველ-აფხაზთა ათასწლეულობითი ძმობა, რომ აფხაზეთში და ამით საქართველოში აღვკვეთოთ დიდმპყრობელ-შოვინისტებისა და მათი ხელშემწყობი "ბოლშევიკების" ბატონობა საქართველოში!..

გვახსოვდეს: ძალა ერთობაშია, და საქართველოს მისახელობის ერთობის განუყოფელი ნაწილია აფხაზები და აფხაზეთი!..

გვახსოვდეს: ესაა გზა ქართველებისა და აფხაზების გენოსიდის აღკვეთისა აფხაზეთში, რასაც ებრძვის ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტები ე.წ-ლი ეთნიკური კონფლიქტების ნიღბით შიდა ქართლსა და აფხაზეთში!..

გვახსოვდეს: არ წამოვეგოთ, ან უნდა წამოვეგოთ დიდმპყრობელ-შოვინისტების ამგვარ იმპერიულ ანკესზე!..

X.

გვჯერა, რომ ამას ჩვენ შევძლებთ იმ რწმენით, რომ საქართველოში და ამით აფხაზეთში არასოდეს არ განმეორდეს ქართველთა გენოციდი, რომლის თვალსაჩინო სიმბოლოა 1993 წლის 27 სექტემბერი, როცა სოხუმი დაიპყრო უცხო ძალამ აფხაზი-ექსტრემისტების ნიღბით.

კარლო ინასარიძე
პარიზი-ლევილი, 1966 წლის 27 სექტემბერი
სოხუმის დაპყრობის სამი წლისთავი.

---

## ჩვენი უპირველესი პრობლემაა ლტოლვილები

1.

ჩვენი უპირველესი პრობლემაა ლტოლვილები - ლტოლვილები აფხაზეთიდან და შიდა-ქართლიდან, რომლებიც, უკვე სამი წელიწადია, ვერ ბრუნდებიან თავიანთ სახლ-კარში, რაც ერთერთი მთავარი მიზეზია საქართველოს ეკონომიკური რთული მდგომარეობისა, რაც დაუყონებლივ მოგვარებას მოითხოვს.

2.

ლტოლვილების პრობლემა რომ უპირველესი ამოცანაა, რომელიც დაუყონებლივ მოგვარებას მოითხოვს - ეს ნათელი ხდება ყოველი უცხოელისათვისაც კი თუ იგი ესტუმრება თბილისს და თბილისის ცენტრში შეხედავს მრავალსართულიან "ივერიას" სასტუმროს, რომელიც სავსეა ლტოლვილებით, რაც ოპტიკურადაც "შესახედავი" ხდება ამ უშველებელ სასტუმროში მცხოვრები ლტოლვილების გამოკიდებული თეთრეულებით ბალკონებზე; და ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოს ყოველი კუთხის სასტუმროებში თუ სანატორიუმებში, რომლებშიც შეხიზნებულია ჩვენი ლტოლვილები.

3.

ხამახ-ათახზე მეტი ლტოლვილი, რომელიც დიდმპყრობელ-შოვინისტებმა გამორეკეს საქართველოს ძირძველ მიწებიდან, - ეს არის საქართველოს მთელი მოსახლეობის დაახლოებით ერთი-მეთუთხმეტედი, რაც დიდმპყრობელ-შოვინისტების ქვეყანასა და მოსახლეობას რომ შევადაროთ, - შეესაბამება იმას, რომ რუსეთში ექვს მილიონზე მეტი ლტოლვილის პრობლემის წინაშე იდგნენ იგივე დიდმპყრობელ-შოვინისტები და მათი მხარდამჭერი კრემლი.

4.

თუ ლტოლვილების რეალურ მდგომარეობას გადავხედავთ, როგორც ჩანს, რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტები და დემოკრატებიც ამ საკითხში ერთი აზრის არიან: დამალა რა ბორის ელცინმა საბჭოთა კავშირი 1991 წლის 8 დეკემბერს უკრაინასთან და ბელორუსიასთან ერთად და შექმნა რა ე.წ.-ით"დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა", კრემლმა განსაკუთრებით გაიდამჭრა საქართველოს წინააღმდეგ, რადგან საქართველო "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში" არ შევიდა; და აქედან დაიწყო საქართველოს იარაღის ძალით მოთურგვნა, რაც 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამჯერად "ეთნიკური კონფლიქტის" ნიღბით; დიდმპყრობელ-შოვინისტების ამ ანკესზე წამოეგენ არა მარტო თითო-ოროლა გარუსებული აფხაზები, არამედ დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოებიც კი, რომლებიც - როცა დიდმპყრობელ-შოვინისტები იარაღის ძალით ხპობენ ჩვენ ძირძველ-მიწაზე აფხაზეთში ყველაფერს ქართულს და ქართველობას ყლეტენ ან გემებით გაჰყავდათ სოხუმიდან სამეგრელოში თუ აჭარაში, - ლაპარაკობენ, ხელ ცოტა დასავლეთის მოსობრივი ინფორმაციის საშუალებები, - რუსეთის ჰუმანურ მოპყრობაზე აფხაზეთში ქართველების მიმართ! და ამგვარ ვაი-პოლიტიკას მოყვა სოხუმის დაპყრობა რუსის ჯარების მიერ, აფხაზი ექსტრემისტები ნიღბით, 1991 წლის 27 სექტემბერს; და ქართველებისაგან, ე.ი.აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობისაგან დაცარიელებულ ამ ქართულ მიწაზე ისე გათამამებულია თითო-ოროლა აფხაზი ექსტრემისტი დიდმპყრობელ-შოვინისტების მიერ, რომ ახლა - სოხუმის დაპყრობის სამი წლისთავზე - ე.წ.-ით არჩევნებიც კი ჩაატარეს აფხაზეთში დარჩენილ და ახლად ჩასახლებულ მოსახლეობაში, რა თქმა უნდა, იგივე დიდმპყრობელ-შოვინისტების ლოცვა-კურთხევით, რომ ჩვენი აფხაზეთის ყოველი ძურის დამპყრობლებმა დემოკრატიული სახით წარსდგენ დემოკრატიული მსოფლიოს წინაშე.

5.

და ჩვენი უბედურება კიდევ იმაშიც გამოიხატება, რომ მთელმა მსოფლიომ კარგად იცის დიდმპყრობელ-შოვინისტების ამგვარი მაქიაველური პოლიტიკის რაობა, მაგრამ ხდუმან, ან, არაპირდაპირ, მხარსაც კი უჭერენ რუსეთს, რადგან, როგორც ამბობენ ხოლმე, რუსეთის ატომური შეიარაღების ეშინიათ, რასაც მოხერხებულად იყენებს რუსეთის არა მარტო დიდმპყრობელ-შოვინისტები, რომლებიც, საჭირო მომენტში, აქვეყნებენ ხოლმე "ატომური იარაღების კოდის ჩემოდანს", რომლითაც შესაძლებელია ატომური რაკეტების გაშვება საჭირო მიმართულებით; და ვინ არის დიდმპყრობელ-შოვინისტების ამგვარი"გიჟური ნაბიჯის" გამხსნელი?.. როგორც ჩანს, არავინ, რადგან რუსეთის "გაგარისება" - ეგაა რუსეთის სათავეში [illegible] თუ დიდმპყრობელ-შოვინისტები - არა[illegible] არ [illegible] და არც საქართველოს [illegible].

6.

და აქ ერთი შედარება, ოღონდ პოლიტიკური შედარება ერთი ფაქტისა მეორე ფაქტზე - უაზრობაა, რადგან ყოველ ფაქტს თავისი დამოუკიდებელი რაობა გააჩნია, რის გარკვევა "შედარებით" მეორე ფაქტზე შეუძლებელია. მაგრამ რადგან "ხალხი ლაპარაკობს" რატომ აიძულა რუსეთი ჩეჩნებმა გაეყვანა თავისი ჯარები ჩეჩნეთიდან, ხოლო იგივე რუსებმა აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით, არა მარტო დაიპყრო სოხუმი 1991 წლის 27 სექტემბერს და ჩვენი აფხაზეთიდან გამორეკა ქართველობა, რომლებიც დიდმპყრობელ-შოვინისტების გუსოხიდან გადაურჩა, არამედ ამასთანავე, აგერ უკვე სამი წელიწადია, ქართველობას არ აძლევს უფლებას დაბრუნდნენ თავთავიანთ სახლ-კარში; და ყველა ამ ფაქტის ყველაზე უარო უგულებელყოფა და დაცინვაა ის ფაქტიც, რომ ამგვარ პირობებში, როგორც ე.წ.-ით "სამშვიდობო შეიარაღებული ძალები" მდინარე ენგურზე დგას სწორედ რუსეთის არმიის ნაწილები, რომლებიც იქიდანაც კი არ იხუქენ უკან, როცა დაჭრილებით ქართველთა გაყლეტა მდინარე ენგური მარჯვენა მხარეზე, აფხაზ-ექსტრემისტებმაც კი ჩაიდმევენ რუსეთის "სამშვიდობო ძალების" მუნდირებს და როგორც ახლებში - თუ შესაძლებელია- ყლეტენ თითო-ოროლა ქართველს, რომლებიც ახერხებენ მდინარე ენგურის მარჯვენა მხარეს თავთავიანთ სახლ-კარში დაბრუნებას. და ყველაფერი ეს ხდება დემოკრატიული მსოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიოს თვალწინ, და გაეროს ეგიდით, რომლის წარმომადგენლებიც, როგორც ჩანს, რუ-
სეთის "გაგულისებისაგან" თავს იკავებენ.

7.

და აქ მივედით იმ პრობლემასთან, რომელიცაა ჩვენი დამარცხების მიზეზი სოხუმში, 1991 წლის 27 სექტემბერს: ჩვენ, ქართველობა, საქართველო აღმოჩნდით მარტოდ-მარტო რუსეთის პირისპირ; არავინ ჩვენ მხარს არ გვიჭერდა და არც დღეს არ გვიჭერს რუსეთის პირისპირ; კიდევ მეტი, თვით ჩვენ, ქართველობა დავუპირისპირდით ერთმანეთს, რითაც ხელები გავუხსენით დიდმპყრობელ-შოვინისტებს ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებისათვის, რაც ოსტატურად გამოიყენა რუსეთმა აფხაზეთსა და შიდა ქართლში; და ჩვენ, ქართველობა გაგვხადა ლტოლვილებათ თუ ხიზნებაც ჩვენსავე სამშობლოში. და ესაა ახსნა იმ ფაქტისა თუ რატომ შესძლო მცირერიცხოვანმა ჩეჩნებმა რუსეთის ჯარების გაყვანა ჩეჩნეთიდან და ჩვენ კი ვერ შევძელით: ჩეჩნებმა, რომლებიც, როგორც ცნობილია, ჩვენი სისხლით ძმებია, შესძლეს ეროვნული <u>ერთობის</u> შენარჩუნება-განმტკიცება; და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩეჩნებს მხარს უჭერდა და უჭერს მაჰმადიანური სამყარო არა მარტო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. და ჩვენ, ქართველობას, საქართველოს? - ყველაზე უფრო დიდი მჩაგვრელი საქართველოსა, ამ უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში, იყო და დარჩა რუსეთი იყო ის მეფის, ლენინის თუ ელცინის რუსეთი. და დღეს ქართველი ბოლშევიკები, კომუნისტებმად წოდებული, რუსეთის "მეხუთე კოლონა" არ არის საქართველოში?..

8.

როგორც ვხედავთ, მონური აზროვნება და მოქმედება ქართველების ერთი ნაწილისა, რომელთათვის "მზე ჩრდილოეთიდან ამოდის" და ამით ჩვენი ეროვნული ერთობის განსაცდელში ჩაყენება, ამავე დროს ქრისტიანული ქვეყნების არასოლიდარობა - სოლიდარული მაჰმადიანიზმის პირისპირ - არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ, უკვე სამი წელიწადია, ვერ შევძელით ქართველი ლტოლვილების დაბრუნება თავთავიანთ სახლ-კარში აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

9.

და საქართველოს ამ უპირველეს პრობლემას - ლტოლვილების დაბრუნებას თავთავიანთ სახლკარში - რომ "ახლა და ახლავე" მოგვარება ესაჭიროება, ეს გამომჟღავნდა და საერთაშორისო არენაზე ისევ გამოიტანა საქართველოს პარლამენტის სპეციალურმა დებატებმა აფხაზეთის პრობლემებზე, რომელიც ჩატარდა 1996 წლის სექტემბერში, სოხუმის დაპყრობის სამი წლისთავზე, რომელსაც მოყვა საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური განცხადება აფხაზეთის შესახებ, რომლის შესახებ, მაგალითად, დიდი ფრანგული გაზეთი -"ფიგარო" - 1996 წლის 8 ოქტომბერს, წერდა:

10.

"საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გააფრთხილა რუსეთი, რომ მას არ შეუძლია სამხედრო ბაზების შენარჩუნება საქართველოში თუ იგი არ დაეხმარება საქართველოს აფხაზეთის ისევ შემოერთებაში და არ გაწყვეტს ყოველგვარ კავშირს აფხაზ სეპარატისტებთან".

11.

და შედეგი? - ჯერჯერობით, არავითარი შედეგი ამ განცხადებას არ მოყოლია, რაც გვაფიქრებინებს, რომ,- როგორც ჩანს,- ამგვარი განცხადება სათანადოთ მომზადებული არ იყო <u>დიპლომატიური არხებით</u>, პირველყოვლისა თვით რუსეთთან, რადგან, როგორც ჩანს, რუსეთის კეთილგანწყობილება საქართველოსადმი მთავარი ძარღვია არა მარტო ქართველი ლტოლვილების თავთავიანთ სახლკარში დაბრუნების საქმეში აფხაზეთსა და შიდა ქართლში. როგორმე უნდა შევაგნებინოთ კრემლის მესვეურებს, რომ ერთიანი და განუყოფელი საქართველოს სტაბილური მდგომარეობა რუსეთის ინტერესებსაც ესიტყვება თუ კრემლს არ სურს მთელი კავკასია გახდეს ყოველი ჯურის ფუნდამენტალიზმის საჯიჯგნი რეგიონი.

12.

და ამ გზით უნდა მოგვარდეს ჩვენი უპირველესი პრობლემაც - ლტოლვილების დაბრუნება თავთავიანთ სახლკარში აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

კარლო ინასარიძე

<u>პარიზი,1996 წლის ოქტომბერი</u>

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო - ე რ თ ო ბ ა  მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ო ვ ნ ე ბ ა შ ი

## ჩ ვ ე ნ ი  ა ფ ხ ა ზ ე თ ი

I.

"ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართ, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა მგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია, აფხაზებსაც ასე მიაჩნდათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, 'იგი თავისა მტერია'. ჩვენ ქართველები გვანებივრებდნენ, არასოდეს გვაგრძნობინებდნენ, რომ პატარა ერი ვართ. აი, აკაკის 'გამზრდელი' აიღეთ. მე იგი საგანგებოდ ვთარგმნე, როგორც ამ გრძნობისა და მეგობრობის დიდი დოკუმენტი", - ამბობს აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი გულია.

II.

"აფხაზეთის პოლიტიკური ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან. აფხაზეთში, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, აღორძინდა ახალის ქართული სახელმწიფო. დღეს მთელი აფხაზეთის ტერიტორია მოფენილია ქართული ეკლესიებითა და ქართული წარწერებით. აფხაზური ტექსტისათვის ჩვენ ვხმარობთ ქართულ ანბანს, ქართულ ტრანსკრიპციას, რაც სავსებით ეგუება და ეთანაბრება აფხაზურს", - ამბობს აფხაზი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პეტრე ჭირაია.

III.

"მე ვთვლიდი და ვთვლი სრულიად ყალბად აფხაზურ სეპარატიზმს", - ამბობს აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ფაზილ ისკანდერი.

IV.

და ანალოგიური აზრები შეიძლება მოვიყვანოთ უამრავ აფხაზ მწერლების, საზოგადო მოღვაწეების თუ პოლიტიკოსების ნაწერებიდან, რაც ეყრდნობა საქართველოს რამდენიმე ათასწლეულ სახელმწიფოებრივ ისტორიას, რის საწყისად აიეტის, კოლხეთის მეფის, ხანა შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც არაერთი ძველი ბერძნული მწერალ-მოგზაურის თემა გახდა, და დღესაც - ატომურ ეპოქაში -, სულ ცოტა, ლიტერატორთა საყვარელი თემაა, რომ მედეა-იასონის და ამით აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობით განჭვრეტილ იქნას თანამედროვე - გენტექნიკისა და მულტიმედიის - ხანა.

V.

და საქართველოს სახელმწიფოს ადრინდელი ძალაუფლების უნიტარიზმისაკენ მისწრაფებას უფრო ხელს უწყობდა საქართველოს და ამით ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური რაობა, რომლის განმსაზღვრელია დიდი და პატარა კავკასიონი და ხალხი, არსებითად ქართველური ტომები, რომელთა რიცხვში მე, ჩემი კერძო განწყობილებით, აფხაზებსაც ვთვლი - მეგრელების, ჭანების, იმერლების, აჭარლების, კახელების თუ ქართლელების გვერდით; და ცხადია ჩვენ - ხანგრძლივ მონარქიულ ეპოქაში - მაშინ ვიყავით ბედნიერი, ან უახლოვდებოდით მას, როცა ერთიანობას ვაღწევდით მრავალფეროვანებაში.

VI.

ამდენად ჩვენი ტერიტორიალური თვით ბუნებისაგან ბოძებული ერთობა და ქართველურ ტომთა ნათესაობითი საწყისები, თვით იბეროკავკასიელ სხვა ტომების ჩათვლით, - ათასწლეულების განმავლობაში - ვერ ანგრევდა ჩვენს სახელმწიფოებრივ ერთობას, თუმცა მეათე-მეორე საუკუნეებში, ჩვენს ერამდე, დასავლეთ საქართველოში არსებობდა არსებითად კოლხიდის სამეფო და აღმოსავლეთ საქართველოში იბერიის სამეფო, როგორც ამას გადმოგვცემს ჰომეროსის, პლატონის, სტრაბონისა და სხვების ნაწარმოებები. მეორე-პირველ საუკუნეებში, ქრისტეს დაბადებამდე, კოლხეთის ყოფილი სამეფოს ნაწილი შედიოდა პონტოს სამეფოში, რომლის ადმინისტრატიული ცენტრი იყო სინოპი, დღევანდელი ლაზისტანის ცენტრი; და ლაზები ხომ ქართველური ტომია. პონტოს სამეფოს მმართველი იყო მითრიდატის დინასტია, რომლის სახელოვანი წარმომადგენელი გახდა მითრიდატე VI, რომელმაც ახალგაზრდობაში 7 წელიწადი გაატარა კოლხიდაში, დღევანდელ ილორში აფხაზეთში. "პონტოს სამეფო კი წარმოადგენდა ელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტურ ქართულ სამყაროს"(რ.ჯაბუკიანი:"აფხაზეთის ტრაგედიის პრელუდია", ქუთაისი, 1995 წ.,გვ.6).

VII.

პირველ-მეოთხე საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორია გაერთიანებული ეგრისის, ე.ი.სამეგრელოს სამეფოში, რომელსაც ბერძნები უწოდებდნენ "ლაზეთს"="ლაზიკას", რომელიც ზოგჯერ იმყოფებოდა ბიზანტიის გავლენის ქვეშ. ეგრისის სამეფოში ამ ხანაში გამოჩნდა მომთაბარე აფხილები და აბაზგები,რომლებიც, ზოგიერთი მეცნიერების აზრით, ითვლებიან შუასაუკუნეების აფხაზების და არა დღევანდელი აფსუას წინაპრებად. მეოთხე-მეექვსე საუკუნეებში იგივე ტერიტორია ეკუთვნის ეგრის-აფხაზეთის სამეფოს.

VIII.

მერვე-მეცხრე საუკუნეებში, ეგრისის სამეფოს დასუსტების შედეგად ბიზანტიის პირისპირ, ძლიერდება აფხაზეთის სამეფო და აფართოებს თავის ტერიტორიას ეგრისისა და არგვეთის სამთავროების ხარჯზე; ასე მოხდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, რომელიც იწოდებოდა აფხაზეთის სამეფოდ, რომელიც ატარებდა უფრო პოლიტიკურ, ვიდრე წმინდა ეთნიკურ ხასიათს, რადგან აფხაზეთის სამეფოში შედიოდა თვით აფხაზეთის სამთავროს გარდა, ცხუმის, ე.ი.სოხუმის, რაჭა-ლეჩხუმის, გურიის, ქუთაისისა და შორაპანის სამთავროები.

IX.

მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში, გაერთიანებულ საქართველოში, შედიოდა ყოფილი აფხაზეთის სამეფო, ქართლის სამეფო და ტაო-კლარჯეთის სამთავრო. თამარ მეფის ისტორიულ მატიანეში შემონახულია მთავართა გვარები სათავროებისა, რომლებიც შედიოდნენ გაერთიანებულ საქართველოში: სვანეთის მთავარი ვარამ ვარდანისძე, რაჭის - კახაბერ კახაბერიძე, აფხაზეთის - ო. შერვაშიძე, ცხუმის - ამანელისძე, და ოდიშის მთავარი ბედიანი. ამ "ოქროს ხანაში" საქართველო აღწევს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების უმაღლეს წერტილს და ხდება ძლიერსახელმწიფო მთელს ახლო აღმოსავლეთში, რომლის ტერიტორია გაშლილი იყო ნიკოფსიიდან მდინარე ტუაფსეს ახლოს, დარუბანდამდე, კასპიის ზღვის სანაპირომდე.

X.

მეთოთხმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში, მონგოლების შემოსევის შედეგად, საქართველო დაიშალა იმერეთის, ქართლისა და კახეთის სამეფოებად, აფხაზეთის, სვანეთისა და გურიის სამთავროებად, და სხვა. მე-16 საუკუნეში და შემდგომ ხანაში აფხაზეთის სამთავრო შედიოდა იმერეთის სამეფოში და შენარჩუნებული ჰქონდა თვითმმართველობა; მასში შედიოდა ჯიქეთი, დღეს გაგრა-ადლერი, გუმა, აბჟუა, სამურზაყანო, ახლა გალის რაიონი, და ცებელდა. ამ რეგიონებს მართავდნენ აფხაზი წარჩინებული გვარის შვილები - შერვაშიძე, მარშანია, ემუხვარი, ანჩაბაძე და სხვები. მოგვიანებით გაძლიერდა აფხაზეთში თურქების გავლენა, რასაც მოჰყვა მოსახლეობის იძულებითი ისლამიზაცია.აფხაზები არაერთხელ აჯანყდნენ უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ 1725, 1725, 1733, 1757 წლებში. ხოლო 1757 წელს აფხაზები იბრძოდნენ იმერეთის მეფის სოლომონ პირველის შეიარაღებულ ძალებთან ერთად თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ, რაც დამთავრდა აფხაზ-ქართველთა გამარჯვებით. ამ ბრძოლებში გმირულად დაიღუპა აფხაზეთის თავადი ხუტუნია შერვაშიძე.

XI.

1783 წელს, 24 ოქტომბერს, მეფე ერეკლე იძულებული გახდა დაედო ე.წ-ლი "გიორგიევსკის ტრაქტატი" ეკატერინე მეორესთან,რომლის თანახმად საქართველოს,უფრო ზუსტად, ქართლ-კახეთის სამეფოს- ერთი მხრივ - საგარეო პოლიტიკა რუსეთთან შეთანხმებით უნდა ეწარმოებინა, მაგრამ - მეორე მხრივ - საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო რჩებოდა, ერეკლე მეორეს შთამომავალთა მეფობით, თუმცა მეფეს ინაგურაცია რუსეთის თანხმობის გარეშე არ ხდებოდა. ამ ხელშეკრულების საფუძველზე - საქართველოს სამხედრო გზით - საქართველოში შემოვიდა რუსის ჯარის კონტიგენტი, რომლით არავითარი სარგებლობა არ ჰქონია საქართველოს, რადგან რუსეთი საქართველოს დაპყრობისაკენ მიისწრაფოდა, რაც განახორციელა 1801 წლის სექტემბერში ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიით და შემდეგ - მე-19 საუკუნის განმავლობაში -

საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროების დაპყრობით. ამგვარად, საქართვე-
ლოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მოსპობის თარიღი გახ-
და 1801 წლის სექტემბერი.

XII.

საქართველოს მთელი ტერიტორიის ანექსია მეფის რუსეთის მიერ გრძელდებოდა
თითქმის 80-ი წელი, რის შედეგად რუსეთმა საქართველო ადმინისტრაციულად
გაყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად, რის შედეგად სოხუმის ოლქი
მოექცა ქუთაისის გუბერნიაში.

XIII.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ კავკასიაშიც არსებითად შეცვალა მდგო-
მარეობა, რის შედეგად, 1918 წლის 26 მაისს - საქართველოში რუსეთის
ბატონობის 117 წლის შემდეგ - აღსდგა საქართველოს დამოუკიდებელი და სუ-
ვერენული სახელმწიფო-"საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა" - საქართ-
ველოს თითქმის მთელ ისტორიულ ტერიტორიაზე. საქართველოს დამოუკიდებლობ-
ის აქტში, რომელიც გამოცხადებულ იქნა 1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევის
5 საათსა და 10 წუთზე თბილისში, საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე,
- მე-6 მუხლში ნათქვამია:
"საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს
გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს."
ამის შესაბამისად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის
107-ე მუხლი განსაზღვრავს:
"საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთს(სოხუმის ოლქი),
სამუსლიმანო საქართველოს( ბათომის მხარე) და ზაქათალას(ზაქათალის ოლქი),
ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა".

XIV.

საბჭოთა რუსეთმა - 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელ-
შეკრულებით - იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა. მაგრამ
ლენინის მთავრობა 1921 წლის 11 თებერვალს - დაარღვია რა აღნიშნული ხელ-
შეკრულება - ხუთი მხრიდან თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს. ხუ-
თი კვირის გაცხარებული ბრძოლების შემდეგ, რომლის დროს არაერთი მწარე
მარცხი აგემა საქართველოს არმიამ და სახალხო გვარდიამ მომხდურ მტერს,
განსაკუთრებით ტაბახმელაზე, თბილისის მისადგომებთან, - 1921 წლის 25
თებერვალი გახდა საქართველოს დაპყრობის თარიღად, როცა საბჭოთა ჯარების
ე.წ-ლი მე-11 არმიის ნაწილები შემოვიდა თბილისში.

XV.

საბჭოთა რუსეთი, ლენინის მთავრობა, ამგვარად, დაადგა მეფის რუსეთის
იმპერიული პოლიტიკის გზას, რასაც მოყვა - ერთი მხრივ - დამოუკიდებელი
საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის დატაცება საქართველოს მეზობელი
ქვეყნების მიერ, რომლის დროს "ლომის წილი" ლენინმა თურქეთს არგუნა
ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სოჭი და მისი რაიონი
თვით რუსეთმა მიითვისა ისე თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. მეორე
მხრივ - რუსეთმა დაიწყო საბჭოთა საქართველოს ტერიტორიის ე.წ-ლი "ავტო-
ნომიზაცია"; და შიდა ქართლში, ამ უძველეს ქართულ მიწაზე, შექმნა ე.წ-ლი
"სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" და მის "დედაქალაქად" აქცია ცხინვა-
ლი, რომელშიც იმ დროს მხოლოდ სამი მოსახლე ოსი ცხოვრობდა. ლენინის მთავ-
რობა, ამ მხრივ, მეფის რუსეთის მთავრობაზე უფრო ვერაგი გამოდგა, რადგან
საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მტრები
თვით საქართველოში გაგვიჩინა - როგორც ეს გამომჟღავნდა საქართველოს და-
მოუკიდებლობის აღდგენისთანავე, 1991 წლის 9 აპრილს, - ოსი და აფხაზი
ექსტრემისტების სახით, ოს-აფხაზ ექსტრემისტებისა, რომლებიც დიდმპყრობელ-
შოვინისტების სამსახურში ჩადგენ და მათი ძმების - ქართველების - გენო-
სიდით საქართველოს მიწა-წყალზე, შეეცადენ დიდმპყრობელ-შოვინისტების გუ-
ლის მოგებას, რაც, როგორც ჩანს, დღემდე გაუმართლდათ, რადგან შიდა ქართლ-
სა და ჩვენს აფხაზეთში კიდევ ბოგინობენ ოსი და აფხაზი ექსტრემისტები
ისე, თითქოს იმასაც ვერ გრძნობენ, რომ მათი დღე დათვლილია, და რომ მათი
აღკვეთის დღე პირისაგან მიწისა გარდაუვალია. დიდმპყრობელ-შოვინის-
ტები ყველა ძალღონეს ხმარობენ ეს პროცესი შეაფერხონ, თუმცა მათაც კარგად
უნდა ესმოდეთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღკვეთა ყოველი
ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტების ძალას აღემატება, რადგან საქართველოს
ტერიტორიული მთლიანობა დიდი და პატარა კავკასიის ქედებმა მოხაზეს, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი დაყოფა-დანაწილების საშუალებას არ იძლევა. საჭიროა მხოლოდ დრო და მოთმინება, რომ აღნიშნული გეოპოლიტიკური ტერიტორიული მთლიანობა საქართველოს სახელმწიფოსა თვით იმ ბნელმა ძალებმაც გაიგოს, რომლებიც ცდილობენ საქართველოს დაქუცმაცებასა და ისევ-დამონებას.

XVI.

მაგრამ მარტო ამითაც არ მთავრდება ჩვენი აფხაზეთის ტრაგედია: აფხაზი ექსტრემისტები, პირველ ყოვლისა, თვითონ მოქმედებენ აფხაზი ხალხის წინააღმდეგ, როცა უძღვეს - ჯერ ერთი - ორი ძმების აფხაზებისა და ქართველების ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრება, რომლის დროს აფხაზ-ექსტრემისტებმა ქართველთა გენოციდისაგანაც კი არ დაიხიეს უკან, და - მეორე - ისედაც მცირერიცხოვანი აფხაზობა კიდევ დააჩანაგეს ამ სისხლისმღვრელ ბრძოლებში მონაწილეობით.

XVII.

აფხაზეთში, მაგალითად, -1979 წლის აღწერით, - მოსახლეობის საერთო რაოდენობა უდრიდა 505 400 სულს, მაგრამ -
აფხაზეთის მუდმივი მოსახლეობა უდრიდა, 1979 წელს, - 486 000 სულს.
აქედან, ქართველები იყვნენ........................- 213 000 სული(43,9 პ.);
აფხაზები........................................- 83 000 სული(17,1 პ.);
რუსები..........................................- 80 000 სული(16,4 პ.);
სომხები.........................................- 73 000 სული(15,1 პ.);
აგრეთვე, აფხაზეთში ცხოვრობენ უკრაინელები, ბერძნები, ესტონელები და სხვა ერების შვილები. აფხაზები უმთავრესად ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონებში სახლობენ.

XVIII.

და რა მდგომარეობაა დღეს დემოგრაფიულად აფხაზეთში? - ამის ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ ხელთ გვაქვს ფრანგული ჟურნალი "ნუველ ობსერვატორი"(1995 წლის 11 ოქტომბრის ნომერი), რომელშიც გამოქვეყნებულია ლორან ბიჟარის ინტერვიუ ვლადისლავ არძინბასთან, და რომელშიც იგი უმტკიცებს ლორან ბიჟარს, რომ თითქოს აფხაზეთში დღეს 400 000-ზე მცხოვრებია! თვით ლორან ბიჟარი კი წერს, რომ მისი აზრით დღეს აფხაზეთში ცხოვრობს
სულ............................................... - 200 000 სული;
აქედან, აფხაზები ................................. - 90 000 სული;
სომხები........................................... - 60 000 სული;
რუსები............................................ - 40 000 სული;
ქართველები........................................ - 12 000 სული,
უმთავრესად მოხუცი ქალები, რომლებიც იცავენ თავთავიანთ სახლ-კარს.

აფხაზი ექსტრემისტების მიერ დაწყებულ ე.წ. "[illegible] კონფლიქტამდე", აფხაზეთის მოსახლეობა სულ 530.000-ს შეადგენდა; აქედან - ქართველობა იყო 300.000-ზე სული, ე.ი. მოსახლეობის 56,6 პროცენტი; აფხაზები - 80.000-ზე სული, ე.ი. 16 პროცენტი.
დანარჩენ მოსახლეობას შეადგენდნენ: რუსები, სომხები, ბერძნები, ესტონელები, ებრაელები. ამგვარად, აფხაზეთში აბორიგენები, ე.ი. ძირძველი, მკვიდრი მოსახლეობა - ქართველები და აფხაზები - უდრიდა 380.000-ს სულს, ე.ი. მთელი მოსახლეობის 72,6 პროცენტს. (იხ. ივანე ნადარეიშვილი: "გენოციდი აფხაზეთში", 1996 წელი, გვ.11).

XIX.

ამგვარად, აფხაზეთი, ეს უძველესი ტერიტორია საქართველოსი თითქმის მთლიანად გაცალიერებულია ქართველებისაგან, აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობისაგან, რა თქმა უნდა, აფხაზებთან ერთად.

XX.

მაგრამ აფხაზეთი გაძვალტყავებულია არა მარტო დემოგრაფიულად ქართველებისაგან, ქართველების სახლ-კარში ხდება არაქართველთა ჩასახლება, რომელშიც ჩაბმულია არა მარტო აფხაზი-ექსტრემისტები, რითაც ლამობენ საქართველოს ამ მშვენიერი კუთხის გასხვისებას და საქართველოდან ჩამოშორებასაც კი - რომ ამ ვაი-პოლიტიკოსებს დიდი კავკასიონის ქედივით ეღობებოდეს წინ. გასაკვირია, გასაოცარია - როგორც დაადგნენ ამგვარი ბრიყვული პოლიტიკის გზას აფხაზი-ექსტრემისტები, რასაც, გასაგებია, მოყვა აფხაზეთის ეკონომიკური, კულტურული და სოციალური დაცემაც.

XXI.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები ტომები ყოველთვის ცდილობდენ საქართველოს სახელმწიფოებრივ გაერთიანებას, და აფხაზები ამ პროცესში იყვნენ ერთერთი მონაწილენი. პირველი ამგვარი გაერთიანების შესაძლებლობა წარმოიშვა მეორე საუკუნეში, ქრისტეს დაბადების წინ, მეფე ფარნავაზი მე-II-ეს ხანაში, რომელსაც აწერენ ქართული ანბანის შექმნას; მეფე მირიანის მეფობის დროს, 337 წელს, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ პერიოდში; იბერიის მეფემ ვახტანგ გორგასალმა - გაანთავისუფლა და სამეგრელო და აფხაზეთი ბიზანტიელებისაგან - ისევ გააერთიანა დასავლეთი საქართველო აფხაზეთის სამეფოს სახელწოდებით. დამახასიათებელია აგრეთვე ის ფაქტი, რომ აფხაზეთის სამთავროს დედაქალაქი - გახდა ქუთაისი და ამით შეცვალა ანაკოპია, ე.ი. დღევანდელი ახალი ათენი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აფხაზეთის მეფის - ლეონ მე-II მიერ არგვეთის სამთავროს შემოერთებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებაში. ისტორიკოს ზ. ანჩაბაძის(არბა) აზრით, აფხაზეთის სამეფო იყო, როგორც სხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები, თავისი არსებით საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი.

XXII.

"უეჭვოა, - წერს რ.ჭაბუკიანი, - აფხაზეთი გეოგრაფიული, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სხვა შეხედულებით, წარმოადგენს ნაწილს წინა-შუასაუკუნეების, ხოლო შემდეგ შუასაუკუნეების საქართველოსა და გასაკვირი არ არის, რომ ის შედის დღევანდელი საქართველოს შემადგენლობაში".

XXIII.

აფხაზური ენა, როგორც ცნობილია, მიეკუთვნება იბერო-კავკასიური ენების ოჯახს, კერძოთ ადიგეი-აფხაზური ენების ჯგუფს. უნდა ითქვას აგრეთვე, რომ აფხაზეთის პირველი მეფე ლეონ II-ე ლაპარაკობდა ქართულად და სახელმწიფო და საეკლესიო ენად, ბერძნულთან ერთად, აღიარებდა ქართულ ენას - აფხაზეთის სამეფოს სულ 150-200 წლის არსებობის პერიოდში; ხოლო აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი იყო ქუთაისი. ამიტომ აფხაზეთის მეფეები ყველაფერს აკეთებდენ ქართული ენის, კულტურის, ხელოვნების, ქართული ეროვნული იდეოლოგიის განვითარებისათვის საერთოდ. მათი ინიციატივით, დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყო ბიზანტიის ეკლესიას, რის შედეგად გაუქმებულ იქნა ბერძნული ეპისკოპატები ფაზისში(ფოთი), გუდავაში(ოჩამჩირეს ახლოს); აფხაზეთის მეფემ გიორგი III(922-957) ჩამოაყალიბა მარტვილში(მარტვილის რაიონი) "ჭყონდიდის კათედრა". ლეონ III(957-963) დროს დაარსდა მოკვის (ახლანდელი ოჩამჩირის რაიონი) კათედრა, ხოლო ბაგრატ III(975-1014) ბედიას კათედრა(ოჩამჩირის რაიონი). 1862 წლიდან 1954 წლამდე აფხაზური ანბანის შექმნაში მონაწილეობდენ კ.მაჭავარიანი და მისი მოწაფე დიმიტრი გულია, შემდეგ აკაკი შანიძე და ს.ჯანაშია, რომლის ბაზა გახდა ლათინური, შემდეგ ქართული და 1953 წლიდან ისევ ლათინური ანბანი, თუმცა ლათინური ანბანით რთულია აფხაზური და ქართული ენების ყველა ასოს გამოთქმა. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აფხაზ ბავშვებს შეუძლიათ მხოლოდ დაწყებით ოთხკლასიან სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლა; შემდეგ სწავლა ხდება რუსულ ენაზე. ამგვარად, - წერს რ.ჭაბუკიანი, - "...აფხაზები(აფსუა) არიან ერთადერთი ხალხი, რომლებიც ვერ ღებულობენ საშუალო განათლებას მშობლიურ ენაზე, მაგრამ გააჩნიათ ეროვნული(ფაქტიურად რუსული) უნივერსიტეტი! ცნობილია აგრეთვე, რომ აფხაზეთის მწერალთა კავშირის წევრების საერთო რაოდენობის ნახევარი მხოლოდ ერთ აფხაზურ სოფლიდანაა". "შოვინისტური გამოხტომები 'აფხაზური მოძრაობისა' 1978 წელს და მისი ორგანიზატორების მოთხოვნა აფხაზეთში ქართული ენის აღმოფხვრისა და კრასნოდარის მხარესთან შეერთების შესახებ, მოწმობს იმას, რომ აფხაზი ხალხი მოექცა სეპარატისტებისა და განდგომილთა მარწუხში, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოშობით ქართველი-რენეგატები". (გვ.23).

XXIV.

"აფხაზეთის ისტორია მჭიდროთაა დაკავშირებული საქართველოს ისტორიისაგან და ჩამოაშორო იგი ერთმანეთს პირველს უკარგავს ყოველგვარ აზრსა და შინაარს. აფხაზური დამწერლობა იმდენად ახალია, რომ მასში არაფერი არ არის ნათქვამი აფხაზების ეთნოგენეზისზე. ნამდვილი აფხაზებისა და ქართველების რელიგია და კულტურა იდენტურია. რა თქმა უნდა, აფხაზებისა და ქართველების, მაგრამ არა ქართველებსა და აფსუას შორის. გასაკვირი არ არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აფხაზს, არც ისე შორს წარსულში, არ გააჩნდათ დამწერლობა. მათ ჯერჯერობით არ შეუქმნიათ არც ერთი ლიტერატურული, არქიტექტურული თუ რაიმე სხვა ძეგლი, რომელიც დამახასიათებელი იქნებოდა ამ ხალხისა და მისი კულტურისა.

XXV.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საყურადღებოა ნ. ყორღანიას აზრი("ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა საერთაშორისო მრავალხმიანული კულტურის გაგებით", თბილისი, 1980 წ.):

"...ცნობილია, რომ ანტროპოლოგიური მონაცემები გადამწყვეტი ხალხთა გენეტიკური ნათესაობის დასადგენად. სიახლოვე მონაცემებისა ხალხთა მუსიკალური მრავალხმიანობისა ანტროპოლოგიურობასთან შეუძლია მიგვიყვანოს პრინციპული მნიშვნელობის დასკვნამდე. მრავალხმიანობის ანალიზი ნათლად ამტკიცებს გენეტიკურ სიახლოვეს ყველა დასავლეთ საქართველოს მუსიკალურ დიალექტებისა - მიუხედავათ ენობრივი განსხვავებისა მათ მატარებლებს შორის".

XXVI.

აფხაზების მუსიკალური ფოლკლორი მჭიდროდაა დაკავშირებული მეგრულთან (ქართულთან), თუმცა აფხაზებში შემორჩენილია არც ისე ბევრი წარმართული, წინაქრისტიანული სიმღერები("აცუნუხ","ოპსი","ოტიარჩობა" და სხვა)."

XXVII.

"...ისტორიული წარწერები არქიტექტურული ძეგლების კედლებზე აფხაზეთის დღევანდელ ტერიტორიაზე მხოლოდ ქართულ ენაზეა."

"ამასთანავე მიმდინარეობს დაყინებითი, მიზანდასახული მოქმედება დოკუმენტების გასანადგურებლად, რომლებიც ამტკიცებენ ამ რეგიონის ძეგლების ქართულ წარმოშობას...და თქვენ დარწმუნდებით წვრილი შოვინისტური პოლიტიკური ხულიგნების მოქმედებაში, რომლებიც მახინჯად იგდებენ ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვან ისტორიას...ამის მიზანია წაიშალოს ქართველთა აბორიგენობის კვალი აფხაზეთში...აბორიგენობა ქართველებისა აფხაზეთის ტერიტორიაზე კი მტკიცდება როგორც საერთო ქართული, ისევე რელიგიური ტოპონიმებით..."

XXVIII.

"არსებობს აფხაზური ეთნოგენეზის რამდენიმე მოდელი:

1.აფხაზი უძველესი დროიდან ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე. ქართველებისაგან განსხვავებით, ისინია მონათესავე ჩრდილოკავკასიური ეთნოსისა (პროფესორი შ. ინალ-იპა), რომელიც ადრინდელ შუა საუკუნეებში(VII-VII საუკუნეებში) ჩამოყალიბდა როგორც აფხაზი ხალხი(პროფესორი ზ.ანჩაბაძე).

2.ანტიკური აფხაზები იყვნენ ეთნიკურად ქართველები, ხოლო თანამედროვე აფხაზები(აფსუა) გვიან შუა საუკუნეებში(XVIII საუკუნე) გადმოსახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან(პ.ინგოროყვა)."

XXIX.

ცნობილია, რომ დემოგრაფიული "ათვისება" აფხაზეთისა დაიწყო ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს. აფხაზეთში იწყება გაძლიერებული დასახლება რუსებისა, კერძოთ კაზაკებისა; აგრეთვე სომხების, ესტონელების და სხვებისა. რუსიფიკაცია მიედევა აღმოსავლეთ საქართველოსაც, განსაკუთრებით ქვემო ქართლისა, კერძოთ წალკის, ბოგდანოვკასა და სხვა რაიონებში. რუსებისა და სხვა ერების შვილების ჩასახლებას აფხაზეთში ხელი შეუშალა მალარიამ, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ კლიმატიურ პირობებმა ხელი შეუწყო რუსების ჩამოსახლებას საქართველოში.

XXX.

"რუსულ რევოლუციამდელ ლიტერატურასა და სახელმწიფო დოკუმენტებში მოყვანილია ცნობები კავკასიის მთიელი ხალხების, მათ შორის აფხაზს შესახებ, რომელთაც - მათი პრიმიტიული ყოფაცხოვრებისა და მცირერიცხოვნობის გამო - არ გააჩნდათ მოქალაქეობის ზოგიერთი ნიშნები. ამის შედეგად ისინი განთავისუფლებული იყვნენ ვალდებულებიდან ემსახურათ რუსეთის რეგულარულ არმიაში. ამის გამო აფხაზეთში თავს იყრიდნენ დეზერტირი ლტოლვილები სამეგრელოდან, იმერეთიდან და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებიდან, რომლებმაც, დროთა განმავლობაში, დაკარგეს თავიანთი მშობლიური ენა და გახდნენ აფხაზური თვითშეგნების მატარებლები. ადამიანები, რომლებსაც ჩადენილი ჰქონდათ ბოროტმოქმედება, თავშესაფარს პოულობდნენ აფხაზეთის მთებში. ლაკობას დროს მრავალმა არააფხაზურმა ოჯახებმა მიიღეს აფხაზური ეროვნება(წინააღმდეგ შემთხვევაში ხდებოდა მათი გასახლება ავტონომიის

საზღვრებიდან). პოლიტიკა ქართველების 'ნებაყოფლობითი' აფხაზიზაციისა გრძელდება დღესაც. ამ პროცესის მთავარი მიზეზია წყურვილი ხელმძღვანელი თანამდებობების დაკავებისა. ზოგჯერ ხუმრობა გვაცნობს, რომ 'აფხაზობა' ქართველი რენეგატებისათვის არის არა ეროვნება, არამედ კარგი თანამდებობა და თბილი ადგილები. სწორედ ამის შედეგია ის, რომ აფხაზეთში ხშირია შემთხვევა, როცა მამა ქართველია, ხოლო შვილი აფხაზი, ან ორი ძმა განსხვავებული ეროვნებით. ქართველებისა და აფხაზების თითქმის 40-ი პროცენტი ნათესავებია"(გვ.37).

XXXI.

"აღნიშნულიდან შეგვიძლია დავეთანხმოთ პროფესორ ტ.მიბჩუანის იმაში, რომ 'აფხაზი ხალხის ეთნიკურ ფორმირებაში წამყვან როლს თამაშობს ქართული ელემენტი, რომელიც ითვლება აფხაზი ხალხის ბირთვადაც.'"

XXXII.

"არაოფიციალური მონაცემებით, მე-20 საუკუნეში, სხვადასხვა მიზეზების გამო(რეპრესიებისა და ომების დროს...) დაიღუპა ერთი მილიონი ქართველი. საეჭვოა სხვა ერის პოვნა, რომელიც მოსახლეობის ერთი-მესამედის დაკარგვისას, შეძლებდა არსებობის განგრძობას..."

"1801 წლიდან საქართველოში ხორციელდება გამანადგურებელი მოღვაწეობა ქართველი( და აფხაზისაც) ერის დემოგრაფიული და ეთნიკური ორგანიზმის წინააღმდეგ; პოლიტიკა ძირეული მოსახლეობისათვის მიწის ქონების მაქსიმალური შეზღუდვით. მე-19 საუკუნეში ოსებმა, ლეზგინებმა გადმოლახეს კავკასიის ქედის ცენტრალური ნაწილი და დასახლდნენ შიდა ქართლში(სამაჩაბლო), რომელიც 1921 წლიდან იწოდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად და კახეთში. 1870-80 წლების ტრაგიკული ისტორია აფხაზეთის ხალხისა...გამოყენებულ იქნა აფხაზეთის კოლონიზაციისათვის. მოახდინეს რა აფხაზების თურქეთში გადასახლების პროვოცირება და მათი სამშობლოში უკან დაბრუნებისათვის ბარიერების შექმნა, შექმნეს ხელსაყრელი პირობები აფხაზეთში რუსების, სომხების და სხვა ერების შვილების ჩასასახლებლად..."

XXXIII.

1828-29 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, ქართველი მუსლიმანები გაასახლეს საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან. ამ ტერიტორიაზე...ჩაასახლეს 25-ათასი სომეხი და ბერძენი. 1837 წელს ძალაში შევიდა პასკევიჩის გეგმა 'გარდაქმნა კავკასიის მხარისა', რომლის თანახმად თბილისის სამხრეთ რაიონებში შექმნილ იქნა სოფლები მეფის რუსეთის არმიის ყოფილ მოსამსახურეებისათვის".

XXXIV.

"განაგრძო რა ცარიზმის პოლიტიკა, საბჭოთა სისტემამ შექმნა ხელოვნური ავტონომიური ფორმირებანი და ამით საფუძველი ჩაუყარა ეთნოკონფლიქტებს საქართველოში, რომ ისინი საჭიროების შემთხვევაში, გამოეყენებინა რუსეთს. და უნდა ვაღიაროთ, რომ პოსტბოლშევიკურმა რუსეთმა ოსტატურად გამოიყენა ე.წ. "ეთნოკონფლიქტები" აფხაზეთსა და შიდაქართლში, რომლის დროს ბრმა იარაღად, დიდმპყრობელ-შოვინისტების ხელში, გამოყენებულ იქნა არა მარტო აფხაზი და ოსი ექსტრემისტები, არამედ თითო-ოროლა ქართველებიც, რომლებიც- შეგნებულად თუ შეუგნებლად - უცხო იმპერიული ძალების ყურმოჭრილი მონებია.

XXXV.

რუსეთის პოლიტიკას კავკასიის ერებისა და ეროვნებების მიმართ ყველაზე უფრო ნათლად გამოხატავს ერთი საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ქუთაისის გუბერნატორმა წარუდგინა ამიერკავკასიის ხელისუფლებას 1904 წელს სწორედ აფხაზების შესახებ; ამ დოკუმენტში, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

"ოლქის რუსულ კოლონიზაციას აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა პოლიტიკურ მხრივაც; აფხაზები არიან უკიდურესად უკულტურო ხალხი როგორც გონებრივად, ისევე ზნეობრივადაც; და პოლიტიკურად არასაიმედო არიან. ქართული მოძრაობა სოხუმის ოლქში ემსახურება ამ მხარის გარუსების დამუხრუჭებას".

XXXVI.

ქართველი ერის დასუსტება, საქართველოს დასუსტება, საქართველოში სხვა ერის შვილების ჩასახლება და ამ ბაზაზე ე.წ-ლი ეთნოკონფლიქტების შექმნა - იყო და არის რუსეთის პოლიტიკა კავკასიის მიმართ, რომლის ფერხულში ჩაება, სხვათა შორის, აფხაზი და ოსი ექსტრემისტები, რომლებიც, როგორც

ჩანს, თვითონაც ვერ გრძნობენ, რომ თავიანთ სამარეს თვითონვე თხრიან, როცა საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ ილაშქრებენ, ქართველი ერისა, რომელსაც შეუძლია, კავკასიის ერებთან და ეროვნებებთან ერთად, - თავდაცვა ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტებისაგან თუ ჩვენ შევძლებთ ერთობის დაცვას მრავალეროვანებაში.

XXXVII.

და ამგვარი ერთობისაკენ მოგვიწოდებს ჩვენ, განსაკუთრებით ქართველობასა და ჩვენს ძმებს აფხაზებს, - შექმნილი მდგომარეობა კავკასიაში. ბოლოს-და-ბოლოს საქართველოში მცხოვრებმა ყველა ერის შვილმა უნდა შეიგნოს, რომ ყოველი ჯურის დიდმპყრობელი კავკასიის ერებისა და ეროვნებების თა-ვისუფლების მტრებია, როგორც ეს არაერთხელ მოხდა ჩვენს ისტორიაში. ამი-ტომ საჭიროა, რომ კავკასიის ყოველმა ერმა და ეროვნებამ ხელი უნდა აიღოს კავკასიის მეორე ერისა და ეროვნების წინააღმდეგ ბრძოლაზე - როგორი ჩინ-მენდლების დაპირებანი არ უნდა მიიღოს "შავი ძალებისაგან".

XXXVIII.

და რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს საქართველოში? - აფხაზი ექსტრემისტე-ბი ასეც ილაშქრებენ იმის წინააღმდეგ, რომ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლე-ობა - ქართველობა -, აფხაზებთან ერთად, ისევ დაბრუნდნენ თავთავიანთ სახლ-კარში, თუმცა კარგად იციან, რომ ქართველობას იმდენი უფლებები აქვთ იც-ხოვრონ თავიანთ მიწა-წყალზე აფხაზეთში, როგორც აფხაზებს. და, წარმოიდგი-ნეთ, აფხაზი ექსტრემისტები ისე გათავხედებულია მათი დიდმპყრობელ-შოვინის-ტების მფარველობით, რომ ყველა ღონისძიებას ეწინააღმდეგებიან, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა ორ   ძმათა, ქართველთა და აფხაზთა, ერთად ცხო-ვრება, როგორც ეს ხდებოდა ათასწლეულების განმავლობაში.

ნუთუ განდიდების მანიით შეპყრობილი აფხაზი-ექსტრემისტები იმ ფაქ-ტსაც არ უწევენ ანგარიშს, რომ მათ არ შეუძლიათ სამას-ათასამდე ქართველი ლტოლვილის მათ სახლ-კარში დაბრუნება აღკვეთონ, რადგან - ვიმეორებთ - ქართველობა ისევე არის აფხაზეთის ძირეული მოსახ-ლეობა, როგორც თვით აფ-ხაზობა?..

XXXIX.

მოდი კიდევ ერთხელ შევახსენოთ არა მარტო აფხაზ-ექსტრემისტებს აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის, მწერალისა და საზოგადო მოღვაწის - დიმიტრი გულიას - სიტყვები:

"ჩვენ ერთ ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვი-ცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართ, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა მგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია, აფხაზებსაც ასე მიაჩნდათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, 'იგი თავისა მტერია'".

კარლო ინასარიძე
პარიზი-ლევილი, 1996 წლის 27 სექტემბერი
სოხუმის დაპყრობის მესამე წლისთავი.

-

## არძინბას "პარლამენტის სესია"

I.

ჯერ ფაქტები: საქართველომ თურმე "...ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რომ ამ ომში თქვენ ხართ დამარცხებული მხარე," - თქვა არძინბას "პარლამენტის" დეპუტატმა ლ. ლაკერბაიამ, როგორც ამას 1995 წლის 12-20 სექტემბრის გაზე-თი -"აღდგომა"-"თავისუფალ ჟურნალისტთა გაზეთი" წერს.

II.

"პარლამენტის" სპიკერმა ს. ჯინჯოლიამ კი განაცხადა: "რუსეთის საგარეო საქ-მეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზის ოქმის ტექსტით...საქართველოსა და აფხაზეთს შორის მყარდება ფედერაცი-ული კავშირი, გარანტის როლს კისრულობს რუსეთი...ყველაზე უარეს შემთხვევა-ში მხოლოდ კონფედერაციული კავშირი საქართველოსთან."

III.

"პარლამენტის""დეპუტატმა"დამენიამ განაცხადა:"არავითარი ფედერაციული კავ-შირი საქართველოსთან. საქართველოს საკუთარი პრობლემები აქვს...ახლა ჩვენ-თვის არ სცალიათ და ეს მომენტი აუცილებლად დროულად უნდა გამოვიყენოთ ჩვენს სასარგებლოდ."

IV.

არძინბას "პარლამენტის""დეპუტატმა"ი. ტაკურბაიამ განაცხადა: "რუსეთი ვერ იქნება ვერავის გარანტი...ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია აფხაზეთის შინაგა-ნი პრობლემები. განსაკუთრებულად რთული კრიმინოგენული სიტუაცია...დამნა-შავე ელემენტებს დიდი პატივისცემით ვმოსავთ. ცნობილი ჟურნალისტის, გმი-რის ანატოლი შონიას დაკრძალვას ტყვარჩელში შეუდარებლად ნაკლები ხალხი ესწრებოდა, ვიდრე ერთი ბანდიტისას, რომელიც სახლის პატრონმა გაძარცვისას მოკლა."

V.

"დეპუტატმა" ვალერი გურჯუამ "...ილაპარაკა ურთულეს კრიმინოგენულ სიტუაცი-აზე, რომ მასობრივად იძარცვება ფაბრიკები, ქარხნები, დაწესებულებები, რეს-პუბლიკიდან გააქვთ ფერადი ლითონები, კაბელები, სალენები, ჯართი, ალუმინი, სადამო საათებში სოხუმის ქუჩებში ტარდება უნომრო ავტომანქანების რალი. ამ დროს ინსპექცია იმალება. მოიპარეს ნ.ლაკობას სახლის ფასადზე გაკრული ბრინჯაოს 30 კილოგრამიანი მემორიალური დაფა, რომელიც გასაყიდათ გაიტანეს სხვა რესპუბლიკაში. არასრულწლოვანებში მასობრივად მოიკიდა ფეხი ნარკომა-ნიამ."

VI.

"დეპუტატი" ნათელა აკაბა:"ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხია აფხაზეთის მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია. აფხაზეთიდან მიდიან აფხაზები, რუსები, სომხები, ბერძნები. ხალხს არ სჯერა მომავლის, არა აქვთ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები, ნორმალური განათლების, აღზრდის საშუალება, არის გაურკვევლობა, ქაოსი, დამნაშავეთა დაუსჯელობა...იკარგება ადათ-ტრა-დიციები..."

VII.

"დეპუტატი" ოზგანი:"...30 ათასი ტონა ჩაის ნაცვლად მოკრეფილია მხოლოდ 4 ათასი ტონა, ანუ გეგმის 13 პროცენტი;770 ტონა თამბაქოს ნაცვლად წარმოე-ბულია 7 ტონა, გეგმის 1 პროცენტი, შეიძლება ითქვას, რომ მრეწველობა საერთოდ არ მუშაობს...საქართველოს მფარველობის ქვეშ ჩვენი შეხვედრა ნების-მიერი ფორმით - ფედერაცია იქნება თუ სხვა, თვითმკვლელობაა..."

VIII.

"დეპუტატი" ლაკობა: "...რუსეთი ვერ იქნება ჩვენი საიმედო გარანტი."

IX.

"ვიცე-სპიკერი" გ.ალამია: "ჩვენ ხალხის თვალში ისე ვიქცევით, თითქოს ვმუ-შაობთ, სინამდვილეში კი არაფერს ვაკეთებთ...მივიტაცეთ კარგი სახლები, მოვიწყვეთ მშვენიერი კაბინეტები, დავდივართ მერსედესებით...ყველაფერი გავაფუჭეთ ჩვენი არასწორი პოლიტიკით."

X.

ვლადისლავ არძინბა: "...აფხაზეთი არის სუვერენული სახელმწიფო. საქართვე-ლოსა და აფხაზეთს შორის მხოლოდ ხელშეკრულება დაიდება."

XI.

აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გ.აგრბა:"ხდება ერთი და იგივე დამნა-შავის 3-4-ჯერ დაკავება. რატომ მფარველობენ მათ მაღალი თანამდებობის პი-რები? ...დანაშაულის ჩამდენ ელემენტთა 95 პროცენტი უმუშევარია... თუ ჩვენ ყველა ამ დამნაშავეს დავიჭერთ, ციხის გარეთ დარჩება მხოლოდ ის ხალხი,ვინც მალე საიქიოში უნდა წავიდეს. რაც გვინდა მხოლოდ მოხუცების აფხაზეთი."

XII.

ა. ტარბა:"ცნობილი ფაქტია, რომ აფხაზეთის უშიშროების კომიტეტში თანამშრო-მელთა 30 პროცენტი ქართველი იყვნენ, რომლებიც ომის დამთავრებისთანავე გაიქცნენ აფხაზეთიდან... მან მოიყვანა რამდენიმე მაგალითი, მათ შორის, რუ-სეთის სპეცსამსახურთან ერთად ჩატარებული."

42644

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## XIII.

რა შეიძლება ითქვას არძინბას ამ პარლამენტის "დეპუტატების" შესახებ?..

პირველი: როგორც ჩანს, ყოველი ჯურის ექსტრემიზმი, შეუწყნარებლობა ადამიანებზე უკარგავს ან, ხულ ცოტა, უჩლუნგებს აზროვნების უნარიანობას. მაგალითად, ქალბატონი ნათელა აკაბა დასტირის რუსების თუ სომხების ნებაყოფლობით წასვლას აფხაზეთიდან, მაგრამ აფხაზეთიდან რომ სამასი-ათასი მისი დები და ძმები, ე.ი. ქართველები გარეკეს იარაღის ძალით, ხოლო ქართველთა გენოციდს ჰქონდა ადგილი განსაკუთრებით გაგრაში და დღესაც ქართველობას, აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობას უფლებას არ აძლევს დაბრუნდეს თავთავიანთ სახლკარში, - ამის შესახებ ჩვენი ნათელა აკაბა არაფერს არ ამბობს, თითქოს თითო-ოროლა რუსის თუ სომხის აფხაზეთიდან წასვლა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე სამასი-ათასი ქართველის განდევნა თავის მიწაწყალიდან, თუ ქართველთა გენოციდი აფხაზეთში!. ეს განსაკუთრებით იმიტომაც საშინელებაა, რომ ამას ქალბატონი და ისიც ნათელა, საქართველოს და ამით აფხაზეთის სისხლი და ხორცი ლაპარაკობს, თითქოს მისი დები და ძმები - ქართველობა, საერთოდ, ადამიანებიც კი არ იყვნენ.

მეორე: ბატონი ლაკობა, მაგალითად, აღშფოთებული ლაპარაკობს, რომ "რუსეთი ვერ იქნება ჩვენი საიმედო გარანტი!" გასაკვირია, გარანტი რისთვის?.. ვისთან ურთიერთობაში?.. ნუთუ ბატონმა ლაკობამ არ იცის, რომ ქართველობა და აფხაზები ათასობით წლების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ, ერთად იზიარებდნენ ისტორიის ტკბილ და მწარე ჟამს, ერთად იცავდნენ ჩვენ სამშობლოს უცხო დამპყრობლებიდან, და ახლა აფხაზ-ექსტრემისტებს რუსეთის "გარანტი" ესაჭიროებათ ჩვენთან, ქართველობასთან, აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობაში?..ამაზე უფრო მეტი დაჩლუნგება აზროვნებისა საერთოდ და პოლიტიკური აზროვნებისა კერძოდ, მართლაც, შეუძლებელია!..

მაგრამ ბატონი ლაკობას აზროვნების დაჩლუნგება კიდევ უფრო შორს მიდის: ნუთუ მას და ამით აფხაზ-ექსტრემისტებს არ ესმით, რომ ისინი გამოიყენა, დიახ, გამოიყენა დიდმპყრობელ შოვინისტებმა საქართველოსა და ამით თვით აფხაზეთის წინააღმდეგ?.. რუსეთმა იარაღის ძალით კი აიძულა საქართველო გაწევრიანებულიყო ე.წ-ი "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში", მიიღეს 25 წლის ვადით სამხედრო ბაზები საქართველოში და ამით აფხაზეთშიც, და ახლა რაღა სჭირია რუსეთს ეს თითო-ოროლა აფხაზი ექსტრემისტი?.. ნუთუ ამგვარი მარტივი პოლიტიკური ანგარიშის გაგება ვერ შეძლეს აფხაზ-ექსტრემისტებმა, როცა იარაღი აიღეს ხელში და სისხლი დაღვარეს მათი დებისა და ძმების ქართველებისა?..

მესამე: ბატონი ლ. ლაკერბაია პირდაპირ ემუქრება ქართველობას, როცა ამბობს, რომ თქვენ, ე.ი. ქართველობამ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რომ ამ ომში თქვენ ხართ დამარცხებული მხარე!.. გასაკვირია, ბატონმა ლაკერბამია, როგორც ჩანს, ისიც არ იცის, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის ომს კი არ ჰქონია ადგილი, არამედ საქართველოს აუჯანყდა აფხაზი-ექსტრემისტები, დაიწყეს მათი დებისა და ძმების ხოცვა-ჟლეტა იმპერიული ძალების წაქეზებით...და თუ მართლა ომს ჰქონდა ადგილი აფხაზეთში, ეს იყო რუსეთის გამოუცხადებელი ომი დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ; და გამარჯვებული ამ ომშია არა აფხაზი-ექსტრემისტები, არამედ რუსეთი, რომლის შეიარაღებულ ძალებმა დაამარცხა საქართველო აფხაზეთში, და ხელი შეუწყო აფხაზ-ექსტრემისტებს საქართველოს ამ მშვენიერი მხარის - აფხაზეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალური ცხოვრების განადგურებაში.

მეოთხე: და ახლა?.. რათ ესაჭიროება რუსეთს არძინბას პარლამენტი და მისი "დეპუტატები", როცა რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია?.. ნუთუ ძნელია ამის გაგება არძინბასა და მისი "დეპუტატებისათვის?.." მაშინ, რამდენად ადრე დალევს სულს არძინბას პარლამენტი, რამდენად ადრე დაბრუნდებიან აფხაზეთში ქართველობა, აფხაზეთის ეს მკვიდრი მოსახლეობა, რა თქმა უნდა, აფხაზებთან ერთად, იმდენად უფრო უკეთესი არ იქნება აფხაზ-ქართველებისათვის საერთოდ?.. თუ აფხაზ-ექსტრემისტებს არ ესმით, რომ ისინი ქართველი და აფხაზი ხალხების მოღალატის იარლიყს ვერასოდეს ვერ მოიშორებენ?.. და რა უნდა იყოს ის პარლამენტი, რომელიც ბრმა იარაღია ომის პოტენციური ბოროტმოქმედის - ვლადისლავ არძინბას - ხელში?.. ნუთუ არძინბა და მისი თითო-ოროლა მიმდევრები ფიქრობენ, რომ დიდხანს იბოგინებენ აფხაზეთში?..ვერ ატყობს თვით არძინბა

და მისი მომხრეები, რომ მათი დრო გავიდა და რამდენად ადრე დატოვებენ პოლიტიკურ ხვენას, იმდენად უკეთესია აფხაზეთ-საქართველოსათვის?..

კარლო ინასარიძე

პარიზი-ლევილი, 1996 წლის 21 ივნისი



სახელმწიფოს მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ბატონი ედუარდ შევარდნაძე და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ბატონი თამაზ ნადარეიშვილი. სოხუმი, 1993 წელი.

შერვაშიძეთა გენეალოგიური ხე.



**თამაზ ნადარეიშვილი**

# გენოციდი აფხაზეთში

## ნაწილი 2

ქ. თბილისი
1996 წ.

## I. ისტორიული შესავალი

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ყოფილი სსრკ-ს
ხალხების ისტორიული წარსული ასე თუ ისე ძირითადად მაინც გა-
ირკვა, შესწავლილი და გამოვლენილი იქნა უამრავი დოკუმენტური
მასალა, ნათელი მოეფინა მთელ რიგ საკვანძო საკითხებს, გარკვეუ-
ლი წარმატებები იქნა მიღწეული ცალკეული ხალხების ეთნოგენეზი-
სის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის პრობლემების გადაწყვეტაში.
გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი სისხლით მონათესა-
ვე აფხაზი ხალხი, რომელთა ისტორიულ წარსულში მეცნიერული
ჭეშმარიტების დადგენას ვეტო ჰქონდა დადებული. სამეცნიერო
წრეებში ეს კარგად ცნობილი ფაქტია, მაგრამ დღეს იგი არც ფართო
საზოგადოებისთვისაა საიდუმლო.

ასეთი "ვეტოს" მიზანი იყო აფხაზი ხალხის მოწყვეტა საერთო
ქართული ორგანიზმიდან, მისი ცალკე ერად ჩამოყალიბების მიზ-
ნით, რაც შემდგომ ველიკორუსულ დერჟავას საშუალებას მისცემდა
აფხაზეთის საოცნებო სამოთხისმაგვარი კუთხე ტერიტორიულადაც ჩამოეშო-
რებინათ საქართველოსათვის და იგი თავისი ინტერესებისათვის
დაექვემდებარებინათ. რუსეთმა თავის დროზე (XVI ს.) ლივონიის
ორდენზე გამარჯვებით ბალტიის ზღვაზეც ასე მოიპოვა გასასვლე-
ლი. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთისათვის ეს N1 ამოცანა
იყო. ამ ამოცანის შესრულების მიზნით მან ყველა ხერხსა და საშუა-
ლებას მიმართა. დღეს ამის შედეგი სახეზეა.

მართალია, გაბრუებული აფხაზი სეპარატისტები ჯერ კიდევ
ხელს ითბობენ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი საშინელი დანაშაუ-
ლის ჯოჯოხეთურ ცეცხლზე, მაგრამ ისტორიული გამოცდილები-
დან ცნობილია, რომ ბოროტების ყველა გზა მოკლეა. მათი მრუდე
გზაც თანდათან მოკლდება. ამასთანავე ნათელი ეფინება აფხაზი
ხალხის ჭეშმარიტი წარსულის ისტორიას, მათ ეთნიკურ ვინაობას.

ჯერ კიდევ 1913 წელს აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა:
"კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-
მეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს". მაშასადამე, დიდი ქარ-
თველი მეცნიერის აზრით, აფშილ-აფხაზები ისეთივე ქართველები
იყვნენ, როგორიც არიან ლაზი-მეგრელები და სვანები. აკად. ივ. ჯა-
ვახიშვილი უსაფუძვლოდ არაფერს ამბობდა.

ეს აზრი შემდგომ დაადასტურეს სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ
ბერძენიშვილის და პავლე ინგოროყვას შრომებმა. მაგრამ საბჭოთა
იმპერიულმა ისტორიოგრაფიამ მიჩქმალა ისტორიული სიმართლე
და აფხაზები ადიღეური მოდგმის ხალხად გამოაცხადა, ხოლო აფხა-
ზეთი უცხო ქვეყანად.

ოფიციოზი ათეული წლების განმავლობაში თავზე უქედავდა
აფხაზებს ამ უსინდისო სიყალბეს და სიძულვილით ავსებდა მათ
აფხაზეთისადმი კეთილგანწყობილი ქართველი ერის წინააღმდეგ.

ამიერიდან აფხაზები შეგნებულად გაურბოდნენ საკუთარ ისტო-
რიას და ზემდგომი ორგანოების ხელშეწყობით სასტიკად დევნიდ-
ნენ ამ საქმეში ჭეშმარიტების მაძიებელ მკვლევარებს. ამის შედეგად
მაგრენის ტყავივით დაფლითეს პ.ბერძენიშვილის უკვე აწყობილი
"საქართველოს ისტორიის საკითხების" VIII ტომი, ლამის ჯვარს აც-
ვეს დიდი პავლე ინგოროყვა, ხოლო პროფ. ხუხუტ ბლაუბამ თბილის-
ში გაქცევით უშველა თავს.

სამაგიეროდ ღაინუო საპნის ბუშტივით გაბერილი აფხაზეთის
ცრუ ისტორიის ტომეულების მასიური ტირაჟით გამოცემა, რუსი
რეაქციონერი სწავლულების ხელშეწყობითა და თანაავტორობით.
ტურჩანინოვებისა და ვორონოვების მიერ გამასხარავებული აფხა-
ზი ხალხის ისტორიის გაიდეალების ფრთებშესხმული და უიფორიი-
ში მყოფი ახალგაზრდა აფხაზი ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა
უკვე იმასაც "ასაბუთებს", რომ მომავალში კაცობრიობა აფსუურ
ენაზე ილაპარაკებსო.

ცრუმეცნიერულ ქადაგებას სხვა შედეგი არც შეიძლება მოჰყო-
ლოდა.

ასეთმა იდეოლოგიამ ფაშისტურ გერმანიას რაც მოუტანა, ეს
დღეს მთელმა მსოფლიომ უწყის.

აფხაზი ხალხის გადარჩენის გზა კი ერთია, როგორც დიდი ილია
გვასწავლიდა — ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა. ისტორიული
ჭეშმარიტების დადგენის გარეშე აწმყო და მომავალი ყოველთვის
ბუნდოვანი იქნება. ბუნდოვანებასა და გაურკვევლობას მოჰყვა აფ-
ხაზეთის პროვოკაციული ომიც. აფხაზებს თავისი ჭეშმარიტი ისტო-
რია რომ სცოდნოდათ, მაშინ ისინი ქართველთა წინააღმდეგ ხელს
არ აღმართავდნენ, ისინი საქართველოს პატრიოტები იქნებოდნენ,
ისე როგორც იყვნენ ძველი აფხაზები, რომელთა ერთ-ერთ საუკე-
თესო მაგალითს წარმოადგენდა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის
შვილი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შერვაშიძე.

დადგა დრო, როცა სიმართლე ხმამაღლა უნდა ითქვას. კმარა
სიცრუის გზით სიარული. სწორედ დღეს გახდა შესაძლებელი აფხა-
ზი ხალხის ბნელით მოსილ წარსულს ფარდა აეხადოს და მუქი მოე-
ფინოს. ყველას და ყველაფერს თავისი სახელი უნდა მოეძებნოს. ამ
მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია უკანასკნელ წლებში გამოქვეყ-
ნებული გამოკვლევები. საჭიროა ამ ნაშრომების გამოცემა რუსულ
და სხვა უცხო ენებზე, რომ ის ბინძური იდეოლოგიური ბარიერი,
რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა ჩინეთის კედელივით აღმარ-
თეს, უმოკლეს დროში გადაილახოს, რამეთუ იდეოლოგიურ ფრონ-
ტზე გამარჯვების გარეშე არ არსებობს არავითარი გამარჯვება.

დღეისათვის ღრმა მეცნიერულ დონეზე შესწავლილია აფხაზე-
თის ისტორიული მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა, აფხაზეთის ტო-
პონიმიკა, მატერიალური კულტურის ძეგლები და სხვა. ყოველივე
ამის შედეგად ირკვევა, რომ:

1. XVII საუკუნემდე აფხაზეთის ტერიტორიაზე არ გვხვდება არც
ერთი ადიღეურ-ჩერქეზულ-აფხაზურ-აფსუური წარმოშობის გეოგ-
რაფიული სახელი. ყველა მანამდელი ტოპონიმი არის მხოლოდ ქარ-
თველური, ძირითადად მეგრულ-სვანური. ისტორიული კოლხეთის
ტერიტორიაზე ზოგიერთი ტოპონიმი თუ ჰიდრონიმი, რომელიც ად-
რე ადიღურ-ჩერქეზული ეგონათ (სუფსა, მალთაყვა და სხვა) აღმოჩ-
ნდა ქართველური. აფხაზურ-აბაზური ტოპონიმები (ფსოუ, ფსირც-
ხა, აბჟუა და ა.შ.) ჩნდებიან მხოლოდ XVI-XVII საუკუნეების შემდეგ.
ასე მაგალითად, მდინარე კოდორსა და ღალიძგას შუა მდებარე ტე-
რიტორიას XVIII საუკუნემდე "შუა სოფელი" ერქვა. შემდგომ მას "აბ-
ჟუა" ეწოდა, რაც აფსუურად აგრეთვე ნიშნავს "შუა სოფელს" ("შუა
ქვეყანას") და სხვა.

I საუკუნიდან XVII საუკუნემდე აფხაზეთზე არსებობს 14 თუ 15
ისტორიული რუკა. არც ერთი ეს რუკა აფხაზ მკვლევართა ნაშრო-
მებში შეტანილი არ არის, რადგან იგი მათ ხელს არ აძლევდათ. ამ
რუკებზე ყველა გეოგრაფიული სახელი ქართველურია.

2. XIX საუკუნემდე აფხაზეთის მატერიალური კულტურის ყველა
ძეგლი ქართულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოხუმის ციხის
გალავანს, რომელიც თურქებმა ააშენეს. არაქართული ქრისტიანუ-
ლი კულტურის ძეგლი XIX საუკუნემდე აფხაზეთში არ არსებობს. ამ
ძეგლებს ამშვენებთ ქართული ეპიგრაფიკა.

3. VIII საუკუნიდან აფხაზეთის ყველა მეფე-მთავარი არა მარტო
ქართული ორიენტაციისაა, არამედ ეთნიკურადაც ქართული წარმო-
შობის არიან და წარმოსდგებიან ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა
წრიდან ან ადგილობრივ მარუშიანთა, შავლიანთა, დადიანთა და შარ-
ვაშიძეთა საგვარეულოებიდან.

4. XVII საუკუნემდე (უფრო ზუსტად 1621 წლამდე) აფხაზეთის
მოსახლეობა არის სუფთა ქართული, მათში არ ურევია არც ერთი
ჩრდილოკავკასიური გვარის წარმომადგენელი. ეს დასტურდება
ბიჭვინთის დიდი იადგარის, ბიჭვინთის დიდი დავთარის, დასავლეთ
საქართველოს საეკლესიო და სოულთა მატიანეების შესწავლის შე-
დეგად.

5. თუ XVII საუკუნემდე აფხაზეთის მოსახლეობა აბსოლუტურად
ქართულია (მეგრულ-ლაზური), ამჟამად აფხაზთა დაახლოებით
80% ქართულ გვარებს ატარებს, მოგვარეები ჰყავთ ქართველთა
შორის, ხოლო 12-13% ჩრდილოკავკასიური წარმოშობისაა.

6. ანთროპოლოგიურად აფხაზები უპირისპირდებიან ადიღეურ-
აბაზურ ეთნიკურ წრეს და იმეორებენ დასავლურ ქართულ (ძირითა-
დად მეგრულ) ანთროპოლოგიურ ტიპს.

ისტორიულად აფხაზეთი იყო სამეგრელოსათვის ზურგის მხარე,
ანუ პირიქითა სამეგრელო.

7. XIX საუკუნის დასასრულამდე აფსუურ ენაზე არ არსებობს
არც ერთი წერილობითი დოკუმენტი. ყველა ისტორიული წყარო
ქართულია.

ამდენად, იმის მტკიცება, რომ აფსუებს 2000 წლის სახელმწი-
ფოს ისტორია უნდა ჰქონოდათ, მტკნარი სიცრუეა. არ შეიძლება
უდამწერლობო და უანბანო ხალხს სახელმწიფო და დიდი კულტურა
ჰქონოდათ. ასეთი რამ მსოფლიო ისტორიამ არ იცის.

თუ აფხაზეთში სახელმწიფოებრივი წყობა არსებობდა, ეს იყო
ქართული, თავისი სულიერი და მატერიალური კულტურით.

აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ნაწილად ით-
ვლებოდა. საქართველოს ისტორიული, ლიტერატურული, კულტუ-
რული თუ სხვა წყაროები იტყობინებიან, რომ აფხაზეთი ყოველთვის
ავსებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. გიორგი მერ-
ჩულეს ნაწარმოებში "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", რომელიც
დაწერილია 951 წელს, აფხაზეთი მოიხსენიება, როგორც საქართვე-
ლოს განუყოფელი ნაწილი. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ქართ-
ველი მეფეები, როგორც წესი, ზამთარს აფხაზეთში ატარებდნენ.
ამის შესახებ იტყობინება გიორგი მცირე თავის ნაწარმოებში
"ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა", რომელიც 1066-1068 წლებშია
დაწერილი. "...გავემგზავროთ აფხაზეთში, რათა იქ დავისვენოთ და
გადავიზამთროთ". ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთს გიორგი მთაწ-
მინდელი ჩვენ ქვეყანად მოიხსენიებს.

შემდგომი პერიოდის ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებ-
შიც აფხაზეთი, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი განი-
ხილება. ცნობილი ქართველი მეცნიერი, გეოგრაფი ვახუშტი ბაგრა-
ტიონი, თავის ნაშრომში "საქართველოს სამეფო ისტორია" განიხი-
ლავს აფხაზეთს, როგორც საქართველოს ულამაზეს კუთხეს და სა-
ქართველოს მიწა-წყალს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზთა სამეფო, რომელიც მე-8-10 საუკუ-
ნეებში ძლიერ სახელმწიფოდ მოიხსენიებოდა და აერთიანებდა
მთელ დასავლეთ საქართველოს, ზოგიერთ ცრუ-ისტორიკოსებს
მისცა საფუძველი ჩაეთვალათ, რომ საუბარია მხოლოდ აფხაზთა
სახელმწიფოზე. სინამდვილეში კი, ამ პერიოდში აფხაზთა საერის-
თავო ნამდვილად გაძლიერდა და როგორც საქართველოს ერთ-ერ-
თმა კუთხემ გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო. მოსახლე-
ობის უდიდეს ნაწილს ქართველები შეადგენდნენ და როგორც აღ-
ნიშნავს აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე: "აფხაზთა სამეფო

თავისი კულტურით, ისტორიით, დამწერლობით, ენით, სახელმწიფო პოლიტიკით იყო ქართული სახელმწიფო, ხოლო აფხაზი მეფეები — ქართველები. მე-17 საუკუნის დასასრულს საქართველოს მოსახლეობა 600 ათას აღემატებოდა. 1770 წელს ჩატარებული აღწერის შესაბამისად ქართლ-კახეთში ცხოვრობდა 220 ათასი, იმერეთში — 119 ათასი, სამეგრელოში — 75 ათასი, აფხაზეთში — 64 ათასი ადამიანი და არა 600 ათასი, როგორც ამას ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსი, შალვა ინალ-იფა, აშება, ლაკობა და სხვები ამტკიცებდნენ.

1867 წელს აფხაზეთის მოსახლეობა არ აღემატებოდა 65 ათას ადამიანს. აქედან 22 ათასი სამურზაყანოს მაცხოვრებელი იყო, ამიტომ, თვით აფხაზები 43 ათას შეადგენდნენ. 1926 წელს ჩატარებული აღწერის შესაბამისად აფხაზეთში ცხოვრობდა 67 ათასი ადამიანი — ქართველი და 56 ათასი აფხაზი. 1979 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთა რაოდენობა ხელოვნურად გაადიდეს და დააფიქსირეს აფხაზეთში მათი რაოდენობა 91 ათასი ადამიანით, ამავე დროს აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობა ხელოვნურად შეამცირეს და 240 ათასამდე დაიყვანეს. სინამდვილეში კი აფხაზეთში მცხოვრებ 530 ათას მაცხოვრებლიდან 280 ათასს შეადგენდა ქართული მოსახლეობა, 70 ათასს — აფხაზი, 75 ათასს — სომეხი, 70 ათასს — რუსი, 35 ათასს — ბერძენი, ესტონელი, ებრაელი, თურქი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

საქართველოს არსებობის ყველა ეტაპზე აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. რიგ შემთხვევაში ქართულ სახელმწიფოებრიობაში აფხაზეთი სამეფოდ შედიოდა, რიგ შემთხვევაში სამთავრობოდ, რესპუბლიკად, ავტონომიურ რესპუბლიკად, მაგრამ ყოველთვის ქართველი და აფხაზი ხალხი ერთად იბრძოდნენ საქართველოს სახელმწიფოს გასამტკიცებლად, ცხოვრობდნენ და ლოცულობდნენ ქართულ ენაზე, ერთობლივად ქმნიდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, კულტურას. და სამწუხაროა, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რომელიც ქრისტეშობამდე საუკუნეებში იკარგება, მოხდა ისეთი ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი, რომელიც წარმოუდგენელი და მიუღებელი იყო ქართველ-აფხაზთა ურთიერთობაში. ქართველ-აფხაზთა ურთიერთობების განხილვა ცალკე საკითხია და მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ისტორიკოსები კიდევ არაერთხელ დაუბრუნდებიან ამ მეტად საჭირო თემას და დაწერენ იმას, რაც ისტორიულად მოყვება ქართველი და აფხაზი ხალხის თანაცხოვრებას.

## II. აფხაზეთში პოლიტიკური სიტუაციის გართულება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით

აფხაზეთის პროვოკაციული ომი გარკვეული ძალების მიერ დიდი ხნის წინათ იყო ჩაფიქრებული. აფხაზეთი იმ საცეცხლე წერტილად იყო მიჩნეული, რომელსაც საჭირო შემთხვევაში ძირშივე უნდა აღეკვეთა ქართველთა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. 1989 წელს, თითქმის ყველგან ერთდროულად დაიწყო ეროვნებათშორისი კონფლიქტები: დნესტრისპირეთში, ყარაბახში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ნიშანდობლივია, რომ ოთხივე ამბოხებული რეგიონის ლიდერები შედიოდნენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს "სოიუზის" ფრაქციაში და ბუნებრივია, იმართებოდნენ ცენტრიდან. ომის დაწყებამდე არძინბას არაერთხელ განუცხადებია: — "ომს თავად ქართველებს დავაწყებინებთ. ქართველების წინააღმდეგ ომი აფხაზ მცირე ერს აღიარებას მოუტანს, ხოლო მსოფლიო აღიარება კი დამოუკიდებლობას".

აფხაზეთის კონფლიქტი ანუ აფხაზეთის ომი, მართალია ფაქტობრივად 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო, მაგრამ საამისო ნიადაგი აფხაზმა სეპარატისტებმა მრავალი ათეული წლის წინათ მოამზადეს. მე შევახსენებთ მხოლოდ რამდენიმე მოვლენას აფხაზეთის პოლიტიკური ცხოვრებიდან — მოვლენათა იმ გრძელი ჯაჭვიდან, რამაც ლოგიკურად განაპირობა აფხაზეთში ომის დაწყება და რაშიც უმძიმესი ბრალი თავისი ხალხისა და კაცობრიობის წინაშე აფხაზ სეპარატისტებს, მათ ფარულ, თუ ახლა უკვე ცნობილ დამქაშებსა და პოლიტიკურ ლიდერებს ედებათ.

თითქმის 40 წლის წინათ, 1957 წელს, აფხაზმა ინტელიგენციამ მაშინდელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს მიმართა თხოვნით, რათა გადაენყვიტათ საკითხი აფხაზეთის რუსეთის იურისდიქციაში გადასვლის შესახებ; ათი წლის შემდეგ, 1967 წელს, აფხაზმა საზოგადოებრიობამ მეორედ მიმართა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს და სხვა ინსტანციებს წინადადებით, რათა აფხაზეთი გასულიყო საქართველოს სსრ შემადგენლობიდან; ათი წლის შემდეგ, 1978 წელს, სსრკ ახალი კონსტიტუციისა და შესაბამისად საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით კვლავ დგება საკითხი აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლისა და მისთვის საქართველოს შემადგენლობიდან თავისუფლად გასვლის უფლების მინიჭების შესახებ; ათი წლის შემდეგ, 1988 წელს, აფხაზებმა კვლავ მიმართეს რუსეთის ხელმძღვანელობას, რათა შეცვლილიყო აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი და მისთვის მიეცათ საკავშირო რესპუბლიკის უფლებამოსილებანი; იგივე მოთხოვნა განმეორდა 1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში აიდგილარას მიერ მოწყობილ მიტინგზე, ხოლო 1989 წლის 15 ივლისს აფხაზებმა მოაწყვეს აფხაზ-ქართველთა შეტაკება ეროვნებათშორის ნიადაგზე და ამით პირველი, უკვე შეიარაღებული გამოსვლა დააფიქსირეს საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ შეტაკებაში დაიღუპა 17, დაიჭრა 448 ადამიანი.

თუკი თვალს გადავავლებთ უფრო ადრინდელ ეტაპებსაც, აქაც ვნახავთ აფხაზთა სეპარატისტულ განწყობებს და ისევე, როგორც დღეს, მათ მფარველებსა და დამქაშებს.

ომი აფხაზეთში პრაქტიკულად გარდაუვალი იყო. აფხაზეთის ქართველობამ რამდენიმეჯერ შეძლო მისი აცილება, მაგრამ ეტყობა ყველა ძალისხმევა არ გამოდგა შედეგიანი. აფხაზთა მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი — პოლიტიკური თუ ძალისმიერი, ამწიფებდა და აახლოებდა შეიარაღებულ კონფლიქტს. მაშინ, 15-16 ივლისის მოვლენებისას, მთელი საქართველო დადგა ფეხზე, მეორე დღესვე მდინარე ღალიძგას 50 ათასზე მეტი ქართველი მოადგა, ჩვენშიც იყო მებრძოლი სული, ყველანი ერთიანი ვიყავით და ამიტომ მტერმა ვერ დაგვამარცხა. სამწუხაროდ, მაშინ ჩვენ არავინ დაგვისჯია, არავითარი დასკვნები არ გაგვიკეთებია, მტერმა კი ყველაფრის გათვალისწინებით დაიწყო მზადება მეორე შემოტევისათვის, რომელიც 1993 წლის შემოდგომაზე წარმატებით დაასრულა. ამ დროისათვის აფხაზებმა ვითომდაც გაძარცვეს რუსეთის შეიარაღებული ძალების საწყობები და ხელთ იგდეს 1000-ზე მეტი ავტომატი, 275 ტყვიამფრქვევი, ბეტეერები, საბრძოლო მასალები. აფხაზეთში სისტემატიურად ტარდებოდა ადიღეის, ყაბარდოს, ჩეჩნეთის კულტურის დღეები, რომელთა დელეგაციებში 500-600 ახალგაზრდა იმყოფებოდა, ფესტივალის შემდეგ ისინი რჩებოდნენ გუდაუთაში და იწყებდნენ მზადებას საბრძოლო მოქმედებისათვის. ჩამოდიან ბოევიკები ყარაბაღიდან, დნესტრისპირეთიდან, თურქეთიდან, სირიიდან, რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან, შემოაქვთ საბრძოლო ტექნიკა, დაიწყო მოსახლეობის მობილიზაცია. სვეტლანა ჩერვონაია თავის წიგნში აღწერს არძინბასთან საუბარს: — "ჩვენ კარგა ხანია მზადა ვართ. ჩვენ ნახევარ საათში შეგვიძლია თოფის ქვეშ დავაყენოთ მთელი მოსახლეობა. ჩვენი არსენალები სავსეა თქვენი, რუსული იარაღით და ნებისმიერ მომენტში შეგვიძლია მივიღოთ ორჯერ, სამჯერ მეტი, ჩვენ დავუკავშირდით კაზაკობას. მალე აქ დაიწყება ომი და მარტო კავკასია კი არა, მთელი რუსეთი ამოქმედდება". ამ დროს კი ჩვენი ქართველობა ეწევა უდარდელ ცხოვრებას. ნაწილი ყოფილი პრეზიდენტის მხარეზეა, ნაწილი მის ოპოზიციაშია, ნაწილს საერთოდ არ აინტერესებს არც ერთი, არც მეორე, ნაწილიც — სეპარატისტებთან თანამშრომლობს. თბილისს ჩვენ ფიზიკურად მოწყვეტილი ვართ, იქ სამოქალაქო ომია, ჩვენთვის არავის სცალია. დაიწყო ქართველთა დისკრიმინაცია. ჩვენი ბოლო სესიები ტარდებოდა აფხაზ და დაქირავებულ ბოევიკთა გარემოცვაში, ავტომატების ქვეშ, ჩვენ გვაიძულებდნენ ხელი აგვენია საქართველოდან გამოსვლაზე, ყოველივე ქართულის უარყოფაზე. გვთხოვდნენ და გვაშინებდნენ კიდევაც.

ბევრს ახსოვს ხრუშჩოვის ცნობილი გამონათქვამი: "თუკი ქართველები ჭკუით არ მოიქცევიან — მათ აფხაზებს შევასევ". ეს ლოზუნგი დღემდე მუშაობს და სამწუხაროდ, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოს შემოუსიეს არა მარტო აფხაზები, არამედ სხვა ეროვნებისა და რჯულის კაციჭამიები.

ომამდელი აფხაზეთი უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო პრაქტიკაში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა ომამდე 530 ათას ადამიანს შეადგენდა. აქედან 300 ათასი, ანუ 56,6% ქართული მოსახლეობა იყო. აფხაზები — 80 ათასი, ანუ 16%, დანარჩენ მოსახლეობას შეადგენდნენ: რუსები, სომხები, ბერძნები, ესტონელები, ებრაელები. მიუხედავად ასეთი დიდი სხვაობისა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 15 დეპუტატიდან 8 აფხაზი იყო, 8 პირველი მდივნის პოსტიდან — 5 აფხაზი გახლდათ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 140 დეპუტატიდან — 57 აფხაზი, ქართველი — 53, აფხაზეთის 12 მინისტრიდან — 8 აფხაზი ეროვნების იყო. აფხაზებს ჰქონდათ უნივერსიტეტი, საკუთარი ტელევიზია, თეატრი, სკოლები, გამომცემლობები, ჟურნალ-გაზეთები, თავისი უმაღლესი საბჭო და უმაღლესი სასამართლო, აფხაზი ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში შეღავათებით ირიცხებოდნენ. ერთი სიტყვით ის, რაც ჰქონდათ ომამდე აფხაზებს, დღეს, რუსეთის ფედერაციის ბევრ სუბიექტს, მათ შორის რესპუბლიკებსაც არ გააჩნიათ.

1991 წელს აფხაზეთში ჩატარდა აპარტეიდული არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი წინააღმდეგი იყო ასეთი საარჩევნო კანონის, იმ დროს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე — ეს არჩევნები მაინც ჩატარდა. გარდა იმისა, რომ კანონში წინასწარ ჩაიდო დეპუტატთა ეროვნული შემადგენლობა — 28 აფხაზი, 26 ქართველი, 11 სხვა ეროვნებისა, საარჩევნო ოლქები წინასწარ იყო დაყოფილი აფხაზთა სასარგებლოდ. მაგალითისათვის, იქ, სადაც მე ვიყრიდი კენჭს — გაგრის 28 საარჩევნო ოლქში, ამომრჩეველთა რაოდენობა 15 ათასს აღემატებოდა, ხოლო იქ, სადაც კენჭს იყრიდა აფხაზი, მაგალითისათვის კაპბა — ტყვარჩელის საარჩევნო ოლქი — ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 2 ათას ადამიანს და ასე იყო თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში. საარჩევნო კანონში ისიც იყო ჩადებული, რომ ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ხმების 2/3 რაოდენობით, რაც უხეშად დარღვეულია და აქედან გამომდინარე, ყველა დადგენილება, მათ შორის მიღებული აფხაზთა კონსტიტუცია, არაკანონიერია და კანონსაწინააღმდეგო. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო საარჩევნო პრაქტიკაშიც აფხაზეთის 1991 წლის არჩევნებიც უპრეცედენტო შემთხვევაა.

აფხაზი სეპარატისტები შესაშური იმპერატიულობით აკეთებდნენ თავიანთ ბინძურ საქმეს, როგორც ბრძოლის ველზე, ასევე იდეოლოგიურ ფრონტზე. პირველ რიგში მათ დაიწყეს დანაშაულებრივი იდეოლოგიური ბაზის ჩამოყალიბება. აფხაზური ფაშიზმის იდეოლოგიური მანქანა, ქართველთა დისკრედიტაციის მიზნით, წიგნს წიგნზე აქვეყნებს მსოფლიო ხალხთა სხვადასხვა ენებზე, ცრუმეცნიერული ნაშრომების, გამოკვლევების, ფალსიფიცირებული განცხადებებისა და სხვადასხვა დოკუმენტების გამოყენებით ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ამახინჯებენ ფაქტებს, ავრცელებენ ცრუ მონაჭორს, ხელოვნურად ქმნიან ვითომდა საქართველოს აგრესიას პატარა, საცოდავი ერის წინაშე. სკოლის დაწყებით

კლასებში ისწავლება ახლად შეთხზული, ვითომდა ერთ დროს დამოუკიდებელი აფხაზთა სახელმწიფოს ისტორია, წლების განმავლობაში იქმნება მტრის ხატი ქართველთა სახით, აფხაზების ყველა უბედურებაში თბილისს და ქართველებს ადანაშაულებენ. ის ტრაგედიაც, რომელიც 100 წლის წინათ მოხდა აფხაზეთში და ისტორიაში შესულია, როგორც მუჰაჯირობა, თურმე ქართველების მოწყობილი ყოფილა. ქართველთა წინააღმდეგ მებრძოლი აფხაზები ეროვნულ გმირებად არიან მიჩნეული და ყოველივე ამან შექმნა წინაპირობები ანტიქართული იდეოლოგიური ბაზის ჩამოყალიბებაში. შემდეგი ეტაპები იყო რიგი კანონსაწინააღმდეგო აქტებისა და დადგენილებების მიღება, რომლებმაც პრაქტიკულად მოწყვიტეს აფხაზეთი საქართველოს და აკრძალეს საქართველოს იურისდიქციის გავლენა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციიდან გამოყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების კომიტეტი, პროკურატურა, სხვა სამეურნეო თუ საბიუჯეტო ორგანიზაციები. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ ომის დაწყებამდე მიღებულ იქნა დადგენილება 1978 წლის კონსტიტუციის შეწყვეტისა და 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ, რომლითაც ფაქტიურად გამოცხადდა აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

60-იანი წლებიდან აფხაზეთის ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების მაღალი თანამდებობის და სხვა პირებისაგან ჩამოყალიბდა და მოქმედებდა ექსტრემისტ[illegible] ჯგუფები, რომლებიც [illegible] საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული [illegible] მთლიანობის ხელყოფ[illegible] ლობიდან აფხაზეთის [illegible].

ამ დანაშაულებრივი [illegible] განხორციელების გასაადვილებლად და საერთაშორისო [illegible] საზოგადოებრიობის შეცდომაში შესაყვანად [illegible] განზრახ ამახინჯებდნენ და აყალბებდნენ ის[illegible] ფაქტებს, მიმართავდნენ პოლიტიკურ ინსინუაციებს. მოვლენების მიკერძოებულ ინტერპრეტაციას, დემაგოგიას, ცილისწამებას, შანტაჟს, ლეგენდებს თხზავენ ქართველთაგან აფხაზეთის ტერიტორიის დაპყრობის, აფხაზური [illegible] და [illegible] განადგურების შესახებ.

სეპარატისტები ათეული წლების განმავლობაში [illegible] ქართველების და აფხაზების [illegible] ლებლობის [illegible] მისაღწევად ერთმანეთს უპირისპირებდნენ აფხაზეთის ავტოქტონურ მკვიდრთ.

სახელმწიფო პოლიტიკად იქციეს ფაშისტური მეთოდებით "თვითგამორკვევის უფლების" რეალიზაციისათვის შეიარაღებული ბრძოლა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ძალადობრივი დარღვევა, დემოგრაფიული ვითარების შეცვლა ეთნიკური ჯგუფების განადგურებითა და განდევნით.

ისტორიული ორიენტაციის შე[illegible] მეზობელ და მეგობარ ხალხებს საქართველოს "მტრის" სახეც უხატავდნენ, რუსეთში ზოგიერთის გულის მოსაგებად [illegible] ამტკიცებდნენ, თითქოს აფხაზეთი რუსეთი იყოს, რუსეთს ეკუთვნოდეს მისი მთელი სიმდიდრე. უწინარესად ყოფილი საკავშირო ჯანმრთელობის კერები

•••

ჩრდილოეთ კავკასიაში და [illegible] ქვეყნებში მცხოვრებ მაჰმადიანებს [illegible], რომ კავკასია ერთიანი და განუყოფელია მუსულმანთათვის, რომ ქართველები ფიზიკურად ანადგურებდნენ აფხაზებს და [illegible] მოითხოვდნენ დახმარებას.

აფხაზეთში მოთარეშე ექსპრეზიდენტის ბანდფორმირებებს აქეზებდნენ საქართველოს ხელისუფლების დასამხობად, დივერსიების და ტერორისტული აქტების მოსაწყობად, ქვეყანაში განუკითხაობის და ქაოსის დასამკვიდრებლად.

მთელი სიმძლავრით ამოქმედდა ექსტრემისტების პროპაგანდისტული მანქანა. შესაშური სისწრაფით დაიწყო მოძრაობა — "დაჩაგრული" აფხაზების გადარჩენისათვის მატერიალური სახსრების და იარაღის შესაგროვებლად, უცხო ქვეყნებში მკვლელთა შენაერთების ჩამოსაყალიბებლად და საქართველოში გამოსაგზავნად.

ზოგიერთი სახელმწიფოს საინფორმაციო საშუალებებმა, რომლებიც ვერ გაერკვნენ მოვლენათა რეალურ ვითარებაში, აშკარად პროაფხაზური პროპაგანდა გააჩაღეს "საბრალო და დევნილი" აფხაზების დასაცავად, "კაციჭამია" ქართველების წინააღმდეგ ლაშქრობის მოსაწყობად.

ფაშისტური სეპარატიზმის იდეოლოგიის და მისი პრაქტიკული ნაბიჯების გამოსააშკარავებლად გამოძიებით მოპოვებული და დაფიქსირებულია არაერთი დოკუმენტური მტკიცება აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის რბევის და გენოციდის შესახებ.

სეპარატისტებმა 1990 წლის გაზაფხულიდან განსაკუთრებით გაააქტიურეს ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

1990 წლის 23 აგვისტოს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ.კობახიამ, დეპუტატმა დ.აჯინჯალმა და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში გააყალბეს ისტორიული ფაქტები, ამტკიცებდნენ, თითქოს საქართველოსთან აფხაზეთს არასოდეს არაფერი აკავშირებდა და დასაბამი მისცეს სიძულვილის ახალ ტალღას, რამაც უდიდესი ვნება მიაყენა ქართველთა და აფხაზთა ტრადიციულ ძმობას და მეგობრობას.

სეპატარისტები თავიანთ ბინძურ საქმიანობას სოციალური აფეთქებისა და სისხლისმღვრელი შეტაკები ; პროვოცირებისთვის მეთოდურად და გეგმაზომიერად წარმართავდნენ ორგანიზაცია "აიდგილარას" მეშვეობით, რომლის საპროგრამო დებულებაა აფხაზეთის და მთლიანად საქართველოს ისტორიის, აფხაზურ-ქართული ურთიერთობის გაყალბება.

საქმის მასალებით დამაჯერებლად არის წარმოდგენილი "აიდგილარას" და სხვა ორგანიზებული გაერთიანებების ლიდერთა ანტისახელმწიფოებრივ ქმედობათა მთელი სპექტრი. ისინი განუწყვეტლივ და გამიზნულად ავრცელებდნენ განცხადებებს, მონოდებებს, ე.წ. "მეცნიერულ გამოკვლევებს", რომელთა ძირითადი მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევა.

ასეთი "ნაშრომების" გამოცემა საშური გულმოდგინებით ხორციელდება ამჟამადაც. მაგალითად, "აფხაზია ხრონიკა ნეობიავლენნოი ვოინი", "ბელაია კნიგა აფხაზიი", "აფხაზსკაია ტრაგედია" და ა.შ.

აფხაზი სეპარატისტები ამტკიცებენ, თითქოს ქართველები ესწრაფვიან აფხაზთა "გაქართველებას", თითქოს აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ვშემადგენელი ნაწილი, რომ იგი მრავალი საუკუნის განმავლობაში დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო იყო.

როგორც სეპარატისტთა იდეოლოგი ალექსი გოგუა ამტკიცებს, ქართველებმა "ინტელიგენციის განადგურებით ან დაუძლურებით, აფხაზური სკოლების დახურვით, აფხაზეთის საუკეთესო მიწებზე საქართველოს სხვა რაიონებიდან 200 000-ზე მეტი კაცის ჩასახლებით, რამაც მკვიდრი მოსახლეობის ნაწილის ასიმილაცია გამოიწვია, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ხალხი და მისი კულტურა შოკურ მდგომარეობაში ჩააგდო, მისი ავტონომია კი ფარატინა ქაღალდად იქცა". ამასვე ამტკიცებენ ბ.თარბა, ბ.სალარია და სხვები. ძირითადად ამას ეფუძნება განხეთქილების და საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოცილების მთელი პოლიტიკა.

მანტაჟსა და დემაგოგიაზე დახელოვნებულ სეპარატისტთა ამ ცილისწამებებს რატომღაც სათანადო პრინციპული რეაგირება ყოველთვის არ მოყვებოდა. ამით თავსგასულები, როგორც მართებულად დაასკვნის მეცნიერებათა დოქტორი ქალბატონი სვეტლანა ჩერვონნაია, "1990-1992 წლებში აფხაზეთის ნაციონალისტური პრესის ფურცლებზე, ავტონომიურრესპუბლიკურ რადიოსა და ტელევიზიაში, უნივერსიტეტის აუდიტორიებიდან, ინსტიტუტებსა და სკოლებში მასობრივ ცნობიერებაში განუწყვეტლივ ქმნიდნენ მტრის ხატს — საქართველოს. მტერი იყო ნებისმიერი ქართველი, უახლოესი მეზობლის ჩათვლით. მას ბრალდებოდა აფხაზი ხალხის ყველა უბედურება, ცხოვრების დონის დაცემა, სადღესასწაულო რიტმის დარღვევა, ძირითადი საქონლის ნაკლებობა, ესაოდა მან ყველაფერი ხელში ჩაიგდო, ყველაფერი გაძარცვაო. იგი აფხაზებს სისხლს სწოვს და მის დოვლათს თბილისისკენ ეზიდებაო. რიგითი ქართველი ბანდიტად, მკვლელად, ულმობელ სადისტად იხატებოდა". მტრობისა და შუღლის ასეთი იდეების პროპაგანდამ შვა ქართველების მიმართ ფიზიოლოგიური სიძულვილის იდეოლოგია, რომელმაც აფხაზეთის ქართველობის ტრაგედია მოამზადა.

აფხაზ ეთნოკრატებს ჯგუფური ინტერესების საერთო ეროვნულად წარმოჩენა და სეპარატიზმისთვის ბაზის შექმნა

საგრძნობლად გაუიოლა ზოგიერთ ქართველ ურა პატრიოტთა მოქმედებამაც, როცა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლაში არ ერიდებოდნენ ქვეყნის არაქართველი მოსახლეობის მისამართით შეურაცხმყოფელ გამოთქმებსა და მუქარას.

არცთუ იშვიათად ამ გამოხდომათა ობიექტი აფხაზებიც იყვნენ, აყენებდნენ რა საეჭვოდ საქართველოში მათ უფლებებსა და ავტოქტონურობას. ამ დაუფიქრებელმა და გაუმართლებელმა ქცევამ სეპარატისტთა ძალისხმევით, წლების განმავლობაში აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩანერგილი გარკვეული უნდობლობა გააღრმავა.

•••

ყოველი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი გარანტირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ აღიარებულ საზღვრებში, რაც ცხადია, საქართველოზეც ვრცელდება. სსრ კავშირის დაშლისას ალმა-ათის 1991 წლის 21 დეკემბრის შეთანხმებით საქართველოს, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკების, სუვერენიტეტი დადასტურდა მის კუთვნილ მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჩათვლით. ეს აფხაზმა ეთნოკრატებმაც კარგად იციან. ამიტომაც საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის დანაშაულებრივი გზით გამოყოფის სასარგებლოდ სამართლებრივ არგუმენტაციას სეპარატისტებმა კვაზი საკანონმდებლო ნანამძღვრები და ყალბი იურიდიული მექანიზმი დაუდეს საფუძვლად.

1990 წლის 25 აგვისტოს ავტონომიურ რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია "აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ", რომელმაც ცალმხრივად, საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების საწინააღმდეგოდ, ფაქტობრივად გამოაცხადა საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლა. ამ დეკლარაციით "აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოში უზრუნველყოფილია იმ ერის ინსტიტუციური წარმომადგენლობა, რომელმაც სახელწოდება მისცა რესპუბლიკას".

შეთქმულ სეპარატისტთა მიზნები აშკარად გამოიკვეთა 1990 წლის 26 აგვისტოს დადგენილებაში "აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ".

მათვე "მშვიდობიანი ხერხებით" დემოგრაფიული ვითარების შეცვლის და აფხაზების მექანიკური მატების მისაღწევად მიიღეს დისკრიმინაციული დადგენილებები "აფხაზეთის ასსრ-ში მოქალაქეთა ჩაწერის შეზღუდვის" შემდგომ "გვარის

და ეროვნული კუთვნილების შეცვლის შესახებ", რითაც პრაქტიკულად რეგიონში აკრძალეს არა აფხაზი პირების ცხოვრება. ეს დადგენილება არ ვრცელდებოდა შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებიც ყოველგვარი დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე თავს აფხაზებად აცხადებდნენ. მათ მუდმივად ჩაწერას სეპარატისტები უაღრესად გამარტივებული და საიდუმლო წესით ახდენდნენ.

მარტო 1992 წლის მარტში სოხუმში, ოჩამჩირეში და სხვა რაიონებში მუდმივად ცხოვრების ნება დართეს სირიიდან, იორდანიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ 100 პირს. უკანონო ჩაწერის პრაქტიკა შემდგომშიც ინტენსიურად მიმდინარეობდა, ხოლო კონფლიქტის დაწყების შემდეგ ფართო მასშტაბებით გაგრძელდა. სეპარატისტები გადამთიელ "ბოევიკებს" ჯილდოდ აფხაზეთში ცხოვრებისა და თარეშის უფლებას აძლევდნენ.

დიახ, ისინი სეპარატისტთა დანაშაულებრივი მიზნების რეალიზაციისათვის ჩამოყვანილი "ბოევიკები" იყვნენ.

• • •

დადგინდა, რომ მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში, კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეში, შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, სადაც ხელმძღვანელობის გარკვეულმა ნაწილმა აგრესიული სეპარატიზმი მოღვაწეობის მთავარ მიმართულებად აირჩია, შეიქმნა ე.წ. მოხალისეთა შემკრები პუნქტები, საიდანაც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ბანდიტები და მკვლელები, მათ შორის ბევრი ავღანეთის ომში გაწვრთნილი.

დაქირავებულ მკვლელთა შეკრებასა და დაფინანსებაში განსაკუთრებით დიდია მთიელ ხალხთა კონფედერაციის ლიდერის მუსა შანიბოვის "დამსახურება". ეს ის მუსა შანიბოვია, რომელმაც საქართველო და მისი დედაქალაქი უბედურების ზონად, ტერორისტული და დივერსიული აქტების პოლიგონად გამოაცხადა. ჩვენი თხოვნით მის მიმართ რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, მაგრამ შემდეგ შეწყვიტა, დანაშაული ვერ დავუდასტურეთო. აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეების, უმწეო ქალების, მოხუცებისა და ბავშვების სადისტური ხოცვა-წამებით გამოიჩინეს თავი შამილ ბასაევმა და მისმა ხროვამ, რომლის დაუსჯელობა საკმაოდ ძვირად დაუჯდათ თვით რუსეთს და მის მოქალაქეებს. ფაქტია, რომ რუსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა დაქირავებული მკვლელების, მათ შორის შ.ბასაევის მიერ საქართველოში ჩადენილ უმძიმეს დანაშაულობებს ჯეროვანი შეფასება არ მისცეს, ჩვენი არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად.

დადასტურებულია, რომ აფხაზეთის კონფლიქტში ე.წ. მოხალისეები სეპარატისტთა შეიარაღებული ბანდების თითქმის 60 პროცენტს შეადგენდნენ.

და ბოლოს დასკვნითი ეტაპი -- ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლა, ამ მიზნით გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ჩატარება.



ბატონი ედუარდ შევარდნაძე სოხუმში, 1992 წელი.

**თამაზ ნადარეიშვილი**

ქ. თბილისი
1996 წ.

"აფხაზეთში — საქართველოს ძირძველ კუთხეში დაბრუნება, იქ ქართული გენისა და სულის აღორძინება, ჩემი ცხოვრების მიზანია".

**თამაზ ნადარეიშვილი**

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო დადგენილება

**"8" მაისი 1996 წ.**

აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებისა და მისგან გამომდინარე ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო, სამეურნეო, კერძო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილება "აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ", — უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და იურიდიულ-სამართლებრივი დოკუმენტია, რომელშიც პირველად სახელმწიფოებრივ დონეზე გაანალიზებული და შეფასებულია აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია და გაკეთებულია ყოველმხრივ ობიექტური დასკვნები.

საკითხის განხილვის პროცესში წარმოდგენილ მოხსენებებსა და სხვა დოკუმენტებში, საქართველოს პრეზიდენტის საპროგრამო სიტყვაში, პარლამენტარების გამოსვლებში წარმოჩენილ იქნა და შეფასება მიეცა აფხაზ სეპარატისტთა, მათი გარეშე და შინაური მხარდამჭერი ძალების მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ქართველი ხალხის და აფხაზეთში მოსახლე სხვა ხალხების მიმართ დიდი ხნის წინათ დასახულ და უკანასკნელ წლებში ჩატარებულ მოღალატურ ქმედებებს, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებს, ათასობით და ათიათასობით მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის საზარელ ფაქტებს, მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების გათელვას, ქართველთა ეთნიკურ წმენდას, გენოციდს.

პარლამენტის დადგენილებაში დასახულია შესაბამისი ღონისძიებები კონფლიქტის მოსაწესრიგებლად, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მისაღწევად, მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად. პარლამენტმა სერიოზული ყურადღება დაუთმო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თბილისში განთავსებულ საკანონმდებლო, აღმასრულებელი დასასამართლო ხელისუფლების სტრუქტურების მუშაობის საკითხებს, ჩათვალა ისინი აფხაზეთის ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად, მოითხოვა მათი სტატუსის ნათლად განსაზღვრა და გაუმჯობესება, არსებული პირობების შესაბამისად დასახა მათი როლის ამაღლების გზები აფხაზეთის დევნილი და ლტოლვილი, მთელი მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განხილვასა და მოგვარებაში.

ყოველივე ეს მოითხოვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების, დეპუტატების, ყველა სამთავრობო, სამეურნეო, კერძო სტრუქტურების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების მუშაობის გაუმჯობესებას, მოსახლეობის ნაწილში არსებულ დაპირისპირებათა დაძლევისა და დაგმობის მიღწევას, მათი ყველა შესაძლებლობისა და ძალისხმევის წარმართვას აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღსადგენად და კონსტიტუციური წესრიგის დასამყარებლად, იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა უპირობოდ და უსაფრთხოდ დასაბრუნებლად, ადამიანებისათვის ცხოვრებისა და შრომისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად და დასამკვიდრებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პარლამენტის დოკუმენტების მომზადებასა და სხდომებზე მათ განხილვაში, მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ, იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ჩვენმა თანამემამულეებმა მოსკოვიდან, სანკტ-პეტერბურგიდან, სოჭიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესრულებაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილება "აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" — მოწონებულ და მიღებულ იქნეს შესასრულებლად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო, სამთავრობო, სამეურნეო, კერძო სტრუქტურებისა და უწყებებისათვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.

2. აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რათა მიღებულ იქნეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ გასატარებელი ორგანიზაციულ-პოლიტიკური, სამართლებრივ-იურიდიული, სოციალურ-ეკონომიკური და საინფორმაციო-იდეოლოგიური ღონისძიებების განხორციელების სამუშაო გეგმა.

სამუშაო გეგმის წარმოდგენილი პროექტი გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით — დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს, აპარატის ხელმძღვანელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო, სამთავრობო, სამეურნეო, კერძო სტრუქტურებთან და ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ ყველა შესაძლო ზომა სამუშაო გეგმაში დასახული ღონისძიებების შესასრულებლად.

4. რეკომენდაცია მიეცეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს, მინისტრთა საბჭოს, ქალაქების მერიებსა და რაიონების გამგეობებს, სამინისტროებს, უწყებებს, სამეურნეო და კერძო სტრუქტურებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მთელი თავიანთი მუშაობა წარმართონ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესრულებისათვის, ამ საქმეში აქტიურად ითანამშრომლონ საქართველოს პარლამენტის აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ცენტრალურ სტრუქტურებთან და ორგანიზაციებთან, ხელისუფლების რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანოებთან.

5. საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებით შესაბამისად ახალი, ყოვლისმომცველი დადგენილების შემუშავებასა და მიღებასთან დაკავშირებით მოამზადოს და გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას წინადადებები საქართველოს სახელმწიფო მეთაურის, მინისტრთა კაბინეტის მიერ აფხაზეთის კონფლიქტზე, იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, მათ მშობლიურ კერებში უპირობო და უსაფრთხო დაბრუნების საკითხებზე ადრე მიღებული ბრძანებულებებისა და დადგენილებების შესრულების მიმდინარეობაზე ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების გასათვალისწინებლად და შესაბამისი ეფექტური ღონისძიებების გასატარებლად.

6. ეთხოვოს გაზეთების "საქართველოს რესპუბლიკისა" და "სვობოდნაია გრუზიას" რედაქტორებს, ბატონებს გურამ გოგიაშვილმა და აპოლონ სილაგაძეს მათი გაზეთების ფურცლებზე აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებისათვის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ დასახული ღონისძიებების, აფხაზეთის იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი, მისი მთელი მოსახლეობის პრობლემების, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უფრო ვრცლად გაშუქებისათვის, ამ საკითხებზე მთელი საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის უკეთ ინფორმირებისათვის დაანესონ ყოველ კვირაში ერთხელ ჩანართი-ფურცელი "აფხაზეთი".

7. საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დადგენილებების შესრულებისადმი კონტროლისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს:

ა) შეიქმნას უმაღლესი საბჭოს კომისია; კომისიის შემადგენლობა დამტკიცდეს (სია თან ერთვის).

ბ) შესრულების მიმდინარეობისა და მისდამი კონტროლის საკითხები რეგულარულად მოხსენდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, განხილულ იქნას უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმების სხდომებსა და სხვა ორგანიზაციულ-მასობრივ ღონისძიებებზე.

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1996 წლის 8 მაისის სხდომის დადგენილებები თავიანთი დანართებით გადაეგზავნოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრს.

9. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს რადიოთი და ტელევიზიით, გამოქვეყნდეს საქართველოს პარლამენტსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აფხაზეთის საკითხის განხილვისადმი მიძღვნილ კრებულში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თ.ნადარეიშვილი

## . საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე — აფხაზეთში, ათწლეულების განმავლობაში მოქმედმა სეპარატისტებმა გარეშე ძალთა მხარდაჭერითა და ხელშეწყობით 1992 წლიდან მოაწყვეს ქართველების გენოციდი და ეთნიკური წმენდა, რომელსაც შეეწირა შვიდ ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, უგზო-უკვლოდ დაიკარგა ათასზემეტი, დაიჭრა და დასახიჩრდა ათი ათასამდე ადამიანი. ბარბაროსულად დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი ჟიული შარტავა და სხვა ხელმძღვანელი პირები. მშობლიური ადგილებიდან გაძევებულია აფხაზეთის მოსახლეობის 80 პროცენტი. დამწვარი, გაძარცული და განადგურებულია 20 000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, დანგრეულია სკოლები, ბაგა-ბაღები, კულტურის ცენტრები, ეკლესიები, ხუროთმოძღვრებისა და ისტორიული ძეგლები.

სეპარატისტების მიერ ორგანიზებული ტერორისა და აპარტეიდული რეჟიმის მსხვერპლი გახდნენ ასევე აფხაზეთის ბერძნები, ებრაელები, რუსები, უკრაინელები, სომხები და თვით აფხაზებიც, რომელთა ერთი ნაწილი ომს შეეწირა, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა მიეტოვებინა სახლ-კარი და თავი შეეფარებინა საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონებისათვის, საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის.

აფხაზეთი გადაიქცა ტერორისტების, იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრეების და სხვა ორგანიზებულ დამნაშავეთა სათარეშო განუკითხავ, უკონტროლო ტერიტორიად, რომელიც ახალ უბედურებათა გავრცელებით ემუქრება არა მარტო საქართველოს, არამედ მიმდებარე რეგიონებსაც.

სეპარატისტულმა ძალებმა არაადამიანური უსასტიკესი მეთოდების გამოყენებით, ეთნიკური წმენდისა და მასობრივ მკვლელობათა გზით აფხაზეთის ტერიტორია დროებით ჩამოაშორეს საქართველოს. ადგილი ჰქონდა დემოგრაფიული სიტუაციის ძალადობით შეცვლას, რაც დღემდე გრძელდება.

ა მ ო ნ ა წ ე რ ე ბ ი

1

თამაზ ნადარეიშვილი

# გენოციდი აფხაზეთში

ნაწილი 2

ქ. თბილისი
1996 წ.

## III. სამხედრო კონფლიქტი და ქართველთა გენოციდი აფხაზეთში

აფხაზურ მხარესთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, 1992 წლის 10 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება, რათა აფხაზეთში, თავისივე ქვეყნის ტერიტორიაზე შესულიყო თავდაცვის სამინისტროს გარკვეული კონტინგენტი, კონტროლის ქვეშ აეყვანა საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები, აღეკვეთა მათზე ყაჩაღობისა და ტვირთების დატაცების ფაქტები, რომლებიც მძიმე ვალად ედებოდა საქართველოს რესპუბლიკას, ამავე დროს აღედგინა წესრიგი, განეიარაღებინა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები. 1992 წლის 14 აგვისტოს, როდესაც ამ შენაერთებმა გადაკვეთეს გალისა და ოჩამჩირეს ადმინისტრაციული საზღვარი, აფხაზთა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. ამით მათ მოაწყვეს ომის პროვოცირება, დაიღვარა სისხლი, გაჩნდა პირველი მსხვერპლი. ომი ფაქტობრივად დაიწყო არძინბას რადიოგამოსვლით საყოველთაო მობილიზაციის შესახებ. უხერხულია ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ის, რაც მოხდა აფხაზეთში, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად შეფასდეს. იქ იყო ომი, სამამულო ომი, სადაც ჩვენ, ქართველები ვიცავდით ჩვენს ქვეყანას, სამშობლოს, ჩვენს ქართულ ქალაქებსა და სოფლებს. ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ კარგად შეიარაღებული და განვრთნილი სამხედრო შენაერთები. ოკუპანთა უმრავლესობა რუსეთის მოქალაქენი გახლდათ: ჩეჩნები, ადიღები, ყაბარდოელები, კაზაკები, რუსები, თათრები. საომარ მოქმედებებში მონაწილეობას ღებულობდნენ ბოევიკები: სირიიდან, იორდანიიდან, თურქეთიდან, დნესტრისპირეთიდან, კარაბახიდან, ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა სომხური "ბაგრამიანის" სახელობის ბატალიონი. გარდა დაქირავებული ბოევიკებისა, ჩვენ გვებრძოდნენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს რეგულარული სამხედრო შენაერთები, მათ შორის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 345 სადესანტო პოლკი, გუდაუთაში დისლოცირებული სამხედრო-საჰაერო ძალების ესკადრილია, ოჩამჩირესა და გუმისტაზე დისლოცირებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბატალიონები. ბრძოლების დროს მოწინააღმდეგეს ეხმარებოდნენ სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები, რომლებიც ზღვიდან ბომბავდნენ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს. ჩვენი ქალაქებისა და სოფლების აღების გეგმები მტკიცდებოდა მოსკოვში, გენერალურ შტაბში. საინფორმაციო, იდეოლოგიური საქმიანობა ჩვენს წინააღმდეგ წარმოებდა რუსეთის ტელევიზიის და რადიოს, პრესის

მეშვეობით, რომელიც ყალბ, პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა. ომის მსვლელობისას აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოგზავნილი იყო სამხედრო მზვერავები, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის საზიანო საქმიანობას ეწეოდნენ. და ბოლოს, აფხაზეთის ოკუპაციის შემდგომ ამ ძალებმა დაირქვეს სამშვიდობო ქვეყანაყოფების სახელი და დღეს ამ რანგში იცავენ მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომამდელი აფხაზეთი უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო პრაქტიკაში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა ომამდე 530 ათას ადამიანს შეადგენდა. აქედან 300 ათასი, ანუ 56,6% ქართული მოსახლეობა იყო. აფხაზები — 80 ათასი, ანუ 16%, დანარჩენ მოსახლეობას შეადგენდნენ: რუსები, სომხები, ბერძნები, ესტონელები, ებრაელები. მიუხედავად ასეთი დიდი სხვაობისა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 15 დეპუტატიდან 8 აფხაზი იყო, 8 პირველი მდივნის პოსტიდან — 5 აფხაზი გახლდათ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 140 დეპუტატიდან — 57 აფხაზი, ქართველი — 53, აფხაზეთის 12 მინისტრიდან — 8 აფხაზი ეროვნების იყო. აფხაზებს ჰქონდათ უნივერსიტეტი, საკუთარი ტელევიზია, თეატრი, სკოლები, გამომცემლობები, ჟურნალ-გაზეთები, თავისი უმაღლესი საბჭო და უმაღლესი სასამართლო, აფხაზი ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში შეღავათებით ირიცხებოდნენ. ერთი სიტყვით ის, რაც ჰქონდათ ომამდე აფხაზებს, დღეს, რუსეთის ფედერაციის ბევრ სუბიექტს, მათ შორის რესპუბლიკებსაც არ გააჩნიათ.

• • •

დადგინდა, რომ მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში, კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეში, შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, სადაც ხელმძღვანელობის გარკვეულმა ნაწილმა აგრესიული სეპარატიზმი მოღვაწეობის მთავარ მიმართულებად აირჩია, შეიქმნა ე.წ. მოხალისეთა შემკრები პუნქტები, საიდანაც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ბანდიტები და მკვლელები, მათ შორის ბევრი ავღანეთის ომში განვრთნილი.

დაქირავებულ მკვლელთა შეკრებასა და დაფინანსებაში განსაკუთრებით დიდია მთიელ ხალხთა კონფედერაციის ლიდერის მუსა შანიბოვის "დამსახურება". ეს ის მუსა შანიბოვია, რომელმაც საქართველო და მისი დედაქალაქი უბედურების ზონად, ტერორისტული და დივერსიული აქტების პოლიგონად გამოაცხადა. ჩვენი თხოვნით მის მიმართ რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, მაგრამ შემდეგ შეწყვიტა, დანაშაული ვერ დავუდასტურეთო. აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეების, უმწეო ქალების, მოხუცებისა და ბავშვების სადისტური ხოცვა-წამებით გამოიჩინეს თავი შამილ ბასაევმა და მისმა ხროვამ, რომლის დაუსჯელობა საკმაოდ ძვირად დაუჯდათ თვით რუსეთს და მის მოქალაქეებს. ფაქტია, რომ რუსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა დაქირავებული მკვლელების, მათ შორის შ.ბასაევის მიერ საქართველოში ჩადენილ უმძიმეს დანაშაულობებს ჯეროვანი შეფასება არ მისცეს, ჩვენი არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად.

დადასტურებულია, რომ აფხაზეთის კონფლიქტში ე.წ. მოხალისეები სეპარატისტთა შეიარაღებული ბანდების თითქმის 60 პროცენტს შეადგენდნენ.

და ბოლოს დასკვნითი ეტაპი — ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლა, ამ მიზნით გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ჩატარება.

ის, რაც აფხაზეთში სეპარატისტებმა ჩაიდინეს და ამჟამადაც სჩადიან, სრულებითაც არ არის მხოლოდ ნაციონალიზმის, შეურაცხყოფის და შურისძიებით გამოწვეული ეთნიკური კონფლიქტი. შეკრებილი მასალები მიანიშნებს, რომ კავკასიაში ფუნდამენტალისტური სახელმწიფოს დასაარსებლად სეპარატისტებმა ჩრდილოეთ კავკასიელ კონფედერატების და საზღვარგარეთელი სხვა თანამზრახველების მონაწილეობით და ხელის შეწყობით დაგეგმეს ორგანიზებული შეთქმულება. აგრესიული ზრახვების აღსასრულებლად რეგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონის გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭირო იყო აფხაზეთიდან მოსახლეობის უდიდესი ნაწილის — ქართველების ფიზიკური განადგურება და განდევნა. ამ ტერიტორიის და მისი მიმდებარე შავი ზღვის მონაკვეთის დაპყრობა. ამიტომაც სეპარატიზმის, ნაციონალიზმის და ექსტრემიზმის შხამით მონამლული უცხო ქვეყნების ათასობით მკვლელი შეუსიეს საქართველოს. მათ აფხაზეთში მხოლოდ ქართველობის გამო ექვსიათასამდე ადამიანი დახვრიტეს, ჩამოახრჩვეს და დაწვეს, 20 ათასზე მეტი დაასახიჩრეს და დაახეიბრეს, სიკვდილის რეალური მუქარით მშობლიური კერებიდან აყარეს და განდევნეს ასიათასობით მშვიდობიანი მოსახლე. —

2 თავისუფალი საქართველო 14-21 მაისი, 1996 წ.

# სოხუმის აღება რუსეთის არმიის გენერალურ შტაბში დაიგეგმა

პირველი მაისის სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ არ მისცა საშუალება საზოგადოებრივ დამცველს, ლია ბერუაშვილს დაეკითხა ერთ ერთი დაზარალებული რევაზ ქვანია, პროფესიონალი მზვერავი, რუსეთის არმიის სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ოფიცერი, ამჟამად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამსახურის თანამშრომელი. ინტერვიუ, რომელსაც გთავაზობთ, სხდომის შემდეგ, ქუჩაში იქნა აღებული

- თქვენ თქვით, რომ მსახურობდით გროზნოში, შემდეგ აფხაზებთან, ახლა საქართველოს სტრუქტურებში ხართ. მაპატიეთ პირდაპირი კითხვისთვის; მე მაინტერესებს: ვის ექვემდებარებოდით - ამიერკავკასიის ოლქს, რუსეთს, საქართველოს, თუ ვის?
- ადრე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს, ახლა
- საქართველოს.
- როდესაც ჩეკაში მსახურობდით, ვისი საკადრო ოფიცერი იყავით, რუსეთის?
- დიახ რუსეთის.
- ე.ი. ხართ რუსეთის არმიის საკადრო ოფიცერი?
- ეხლა მე საქართველოს არმიაში ვიმყოფები.
- როგორ ფიქრობთ, 27 ივლისის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, არსებობდა გარანტიები იმისა, რომ არ აიღებდნენ სოხუმს? აფხაზები ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს?
- ნურ ყველა ვალდებულება შეასრულეს. ახლა
- არც ერთი.
- ხომ არ გახსოვთ, როდის დაიწყო ხალხის ევაკუაცია რუსეთის გემებით - თავიდანვე, ბრძოლების დასაწყისში, თუ უფრო ბოლოსკენ?
- არა, სოხუმი უკვე აღებული იყო...
- მე გავეცნობოდი ოპერატიულ მონაცემებს, რომელშიც არის სრული ინფორმაცია იმაზე, თუ რა ხდებოდა აფხაზეთში. ეს არ არის დახურული ინფორმაცია - იგი იბეჭდებოდა კიდეც. თქვენ, როგორც ჩეკისტმა, რა იცით ამის შესახებ.
- თქვენ იცით, ვინ გეგმავდა სოხუმის აღებას?
- არა, იქნებ მითხრათ...
- გენერალი კოლესნიკოვი, რუსეთის არმიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, და გენერალი სიგუტკინი.
- ამ მასალებში იყო კიდევ ასეთი მომენტი და მე მინდა გადავამოწმო თქვენთან. იქ ნათქვამია, რომ სოხუმის აღება უფრო ადრე იყო დაგეგმილი, მაგრამ იმ მომენტისთვის გაცხადდა ამ ოპერაციაში რუსეთის ჯარების მონაწილეობის ნაფუძრი და, რათა ეს მეტ-ნაკლებად შეენიღბათ, ქალაქის აღება სხვა დროისთვის გადაიტანეს. მართლა ასე იყო თუ არა?
- არა, იქ ყველაფერი გეგმის მიხედვით კეთდებოდა - მე ასე ვფიქრობ. უფრო მეტიც, რომ კოლესნიკოვი და სიგუტკინი ხელმძღვანელობდნენ ამ ოპერაციას. სოხუმის აღების შემდეგ კოლესნიკოვი დარჩა, ხოლო სიგუტკინი ჩამოაცილეს - პენსიაზე გაუშვეს.
- ვისთან ჰქონდა აფხაზურ მხარეს კონსულტაციები?
- ამას აკეთებდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი.
- ე.ი. ყველაფერს ისინი უკეთებდნენ - მასალებს, გეგმებს, რუკებს?
- ყველაფერს. აბა რა გეგონათ, ვინ გამოაგზავნა ხალხი ლუბიანკიდან - ეს ხომ გენერალ ლებედის არმია იყო. მათ ისეთი ჟავშანჟილეტები ეცვათ, გინდ გისვრია, გინდ არა - მაინც არ ეცემოდნენ.
- თქვენ ისინი ნანახი გყავთ? სად და როდის?
- შრომის მიმართულებაზე, როდესაც ფუნიკულიორს იღებდნენ; კინდღიშიც იყვნენ...
- და ეს თქვენ თვითონ ნახეთ?
- რასაკვირველია. რას ამბობთ. რამდენი აიყვანეს ტყვედ...
- მიკვირს კიდეც, თქვენ რომ ამას ამბობთ. ხელისუფლება ამტკიცებს, თითქოს სულელმა ქართველებმა ჯერ ერთმანეთი დახოცეს, შემდეგ აფხაზებს დაესხნენ თავს, ხოლო რუსეთის არმია, როგორც წესი, სამშვიდობო მისიით გამოდის.
- და რას აკეთებენ ეს სამშვიდობო ძალები, იცით? არაფერს. იგივე ოკუპანტი გახლავს ფულით, გაქვს მანდარინი, რომელიც იქიდან გააქვთ. აბა ნახეთ, აფხაზების ფორმირება რუსებთან ერთად, როცა უნდათ, შემოდიან ზუგდიდში. ძარცვავენ, კლავენ ხალხს, მერე გამოასვენებენ ილებენ. რის საფუძველზე ხდება ეს? რას აკეთებს იქ ოკუპანტი?
- თქვენ ფიქრობთ, ამაში მხოლოდ ოკუპანტია გარეული?
- ეს ჩემი ვარაუდია.
- თქვენ ხომ მზვერავი ხართ - რა, შევარდნაძემ, ხელისუფლებამ არ იცის ეს ყველაფერი?
- იცის, როგორ არა. რამდენჯერ მოახსენა ჩვენმა ხელმძღვანელობამ. ამბობენ, დავამყარებთ წესრიგს. არაფერსაც არ აკეთებენ. რატომ არის ოკუპანტის შტაბი სოხუმში და არა ზუგდიდში? რას აკეთებენ იქ ამ ეუთო-ს, გაერო-ს მისიები? ბიჭვინთაში ისვენებენ და მეტს არაფერს. გაერო
- ეს უბრალოდ მაფიაა.

## "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი" აფხაზეთის შესახებ

გერმანიის დიდი გაზეთი "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი", თავის 8 დეკემბრის ნომერში, - ეხება კონფლიქტების წყაროებს კავკასიაში -, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, სხვათა შორის, წერს:

"მოსკოვი გაჯავრებულია თბილისზე". კრემლის ხელმძღვანელებს რუსეთის სამშვიდობო ჯარები კავკასიაში მიაჩნია კარგ ინსტრუმენტად მისი გავლენის შენარჩუნებისათვის. რუსეთის ამგვარი მოქმედება ნათელი გახდა პარლამენტის არჩევნების დროს აფხაზეთში. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად გამოთქვამდა უკმაყოფილებას ამ"არაკანონიერ" არჩევნების შესახებ; ამავე დროს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გააკრიტიკა კრემლი იმისათვის, რომ რუსეთმა სეპარატისტების საარჩევნო სამზადისს დუმილით შეხვდა.

უდაოა, კლიმატიური პირობები მოსკოვსა და თბილისს შორის მოღუშული გახდა. სახელდობრ ოთხი კვირის წინ საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "საქართველოს საზღვრების შესახებ", რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ რუსეთის სასაზღვრო ჯარები გაყვანილ იქნას საქართველოს ტერიტორიიდან. ამგვარად, აფხაზეთის პარლამენტის არჩევნები არის მიმართული საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. გაეროს სამხედრო მეთვალყურე აფხაზეთში - პერ კარშტრომი - დარწმუნებულია, რომ კონფლიქტი გამწვავდება".

21-22 დეკემბრის(1996 წ.) იგივე გაზეთი კი ვრცლად ეხება საბჭოთა კავშირიდან წარმოშობილი "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" დღევანდელ ცხოვრებას, და წერს:

დიდი აფეთქება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხუთი წლის წინათ - 1991 წლის 8 დეკემბერს, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, - მოხდა ხმაურის გარეშე. საბჭოთა კავშირისაგან წარმოიშვა 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც მოყვა ფორმალურად, 21 დეკემბერს, "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" შექმნა. ამ სახელმწიფოების განვითარება ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიამდე მოხდა სხვადასხვა დონით, რაც ვერ აკმაყოფილებს დემოკრატიის დასავლურ მოთხოვნებს. უფრო დამყარდა ამ სახელმწიფოებში ძველი კომუნისტური ხელმძღვანელების ავტორიტარული ხელისუფლება, რომლის მთავარი მიზეზია დემოკრატიული ტრადიციების უქონლობა და ძლიერი ნომენკლატურა, ეკონომიკური პრობლემები და ძალისმიერი ეროვნული პოლიტიკა.

რუსეთში სახელმწიფო ბიუროკრატია და კრიმინალური ელიტა ხელს უშლის რეფორმების გატარებას. მოქალაქეები, ილუზიის გარეშე, ირჩევენ უფრო ნაკლებ უბედურებას და ხმას აძლევენ ბორის ელცინსა და კომუნისტებს, რომლებსაც ალექსანდრე სოლჟენიცინი "ახალ ოლიგარხიას" უწოდებს.

ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში კი ზედმეტია დემოკრატიაზე ლაპარაკი. ამ ხუთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას თავისუფლება თავზე მოესხია და უფრო უარს იტყოდენ მასზე. ყველა ცდა ეს სახელმწიფოები გამხდარიყვნენ ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა ირანი ან თურქეთი - მარცხით დამთავრდა.

ბალტიის სახელმწიფოები - ესტონეთი, ლიტვა და ლატვია - განცალკევებულია და ცდილობენ ევროპის კავშირში და ნატოში გაწევრიანებას, მაგრამ უშედეგოდ. ევროპის კავშირი ანგარიშობს ეკონომიკურ ხარჯებლიანობას, ხოლო ნატო ანგარიშს უწევს რუსეთს, რაც აფერხებს ამ სახელმწიფოების ევროპის კავშირში და ნატოში გაწევრიანებას.

უკრაინა დამდგარია დემოკრატიის გზაზე, მაგრამ უკრაინის მოქალაქეებს აკლიათ ენერგიული მოქმედება ამ მიმართულებით. მაგრამ უეჭველია, რომ უკრაინამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები დემოკრატიისაკენ და ამით წინაა ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით.

მოლდავეთი კი იმყოფება ყველაზე უფრო ნომენკლატურას მარწუხში, თუმცა მოლდავეთმა შესძლო პირველი გამოვლის ჩაბარება: ერთი თვის წინათ, დემოკრატიული არჩევნების გზით, პრეზიდენტ პეტრუ ლუცინსკიმ შეცვალა მირჩეა სნეგური.

კავკასიის სახელმწიფოები - სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო - ბრძოლობენ საბჭოთა მემკვიდრეობის წინააღმდეგ, რომლებიც გახვეულ იქნენ ომებში, და რუსეთის ორომტრიალში. მხოლოდ ახლა ახერხებენ კავკასიის ეს სამი სახელმწიფო თანდათანობით პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯების წინ გადადგმას. პოზიტიურ განვითარებას ხანგრძლივი ხასიათი მიეცემა მხოლოდ მაშინ, როცა ეთნიკური კონფლიქტები მოგვარდება, - დასძენს დიდი გერმანული გაზეთი"ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებები "რუსეთის თვალით", უფრო ზუსტად, "ელცინის თვალით" უყურებს - შეგნებულად თუ შეუგნებლად - დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებიც აღმოცენდა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად. დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და პოლიტიკური მოღვაწეები გვერდს უვლიან იმ მყვირალა ფაქტს, რომ - საქართველოს ისტორიაში რომ დარჩება - "აფხაზეთის კონფლიქტი" პოსტბოლშევიკური რუსეთის ლეგალური [illegible] მიერაა მოწყობილი და რუსეთის იარაღის ძალით ინსცენირებული, რასაც მოჰყვა სამას-ათასზე მეტი ლტოლვილი-ხიზანი საქართველოში, კ.ი. ქართველობა თავის მიწა-წყალზე გახდა ლტოლვილი დიდმპყრობელი-შოვინისტური იმპერიული პოლიტიკის შედეგად. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცის დასავლეთმა, მაგრამ თავს არიდებს რუსეთის "გაგულისებას", რადგან რუსეთი ახლაც კი იმუქრება ატომური ომის საშიშროებითაც კი. იგორ როდიონოვმა, თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ჯალათმა, რომელიც ახლა რუსეთის თავდაცვის მინისტრია - ესტუმრა რა ნატოს მთავარსარდლობას ბრიუსელში და ისევ დაბრუნდა რა მოსკოვში, - 1996 წლის 13 დეკემბერს, როგორც როიტერის სააგენტო იტყობინება, არაპირდაპირ ისევ დაემუქრა მთელს მსოფლიოს ატომური ომის საშიშროებით, როცა განაცხადა:
ცივი ომი სინამდვილეში [illegible] ნატოს გაფართოება, რომ რუსეთი აღუგში ჰყავდეს. [illegible] - [illegible] სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი -, რომლებსაც [illegible] შესაძლებლობა მსოფლიო ნაცარ-ტუტად აქციოს.

პოსტბოლშევიკური რუსეთის ამგვარი აგრესიული პოლიტიკის შედეგია ის, რომ დასავლეთი - ნებსით თუ უნებლიეთ - ერთ სიტყვასაც კი არ ამბობს სამას-ათასზე მეტი ლტოლვილების შესახებ საქართველოში, თუმცა განუწყვეტლივ ლაპარაკობენ და მოქმედებენ ლტოლვილების გამო ბოსნია-ჰერცოგოვინაში. და ასეთ პირობებში, ჩვენ გასაკვირველი დიპლომატიური მოქმედება არ გვესაჭიროება დასავლეთთან და რუსეთთან, რომ როგორმე ჩვენი ლტოლვილები დავაბრუნოთ თავიანთ მიწა-წყალზე?..

კ.ი., მიუნხენი, 13.12.1996 წ.

---

**თამაზ ნადარეიშვილი**



ნადარეიშვილი თამაზ ვლადიმერის ძე დაიბადა 1954 წლის 19 ივლისს ქ.გაგრაში. 1971 წელს დაამთავრა გაგრის პირველი საშუალო სკოლა, 1971-1974 წლებში სწავლობდა თბილისის უმაღლეს სამხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო სასწავლებელში. 1981 წელს დაამთავრა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1974-1979 წლებში მუშაობს საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის სისტემაში. 1979-1990 წლებში კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა, იყო გაგრის პარტიის ქალაქკომის მეორე მდივანი. 1990 წელს არჩეულია საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად, 1991 წელს — აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატად და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. 1992 წელს არჩეულია საქართველოს პარლამენტის წევრად, ამავე წელს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. 1993 წელს დანიშნულია აფხაზეთის თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარედ. 1993 წლის ნოემბერში დანიშნულია საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერად. 1995 წლის თებერვალში არჩეულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. 1993 წლის მარტში მინიჭებული აქვს გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. 1993 წლის ივლისში დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

გარდა პოლიტიკური მოღვაწეობისა, ბატონი თამაზ ნადარეიშვილი სისხლხორცეულადაა დაკავშირებული აფხაზეთთან. ის შთამომავალია აფხაზეთში ცნობილი სათავადო გვარისა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ერთიან ქართულ სახელმწიფოში მართავდნენ აფხაზეთს. ქართველებისა და აფხაზების სალოცავი ენა ყოველთვის ქართული იყო, აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა, რაშიც უდიდესი დამსახურება და როლი შერვაშიძეთა დიდ საგვარეულოს მიუძღვის.

დღეს ბატონი თამაზ ნადარეიშვილი აგრძელებს თავის წინაპართა ისტორიულ მისიას, იბრძვის ჩვენი ქვეყნის ერთიანობისათვის, აფხაზეთში ქართული გენისა და სულის აღორძინებისათვის, ერთიანი, ძლიერი, ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.



სახელმწიფოს მეთაური ბატონი ედუარდ შევარდნაძე სოხუმში. 1993 წლის ოქტომბერი.

"აფხაზეთში — საქართველოს ძირძველ კუთხეში დაბრუნება, იქ ქართული გენისა და სულის აღორძინება, ჩემი ცხოვრების მიზანია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

## <u>საქართველო და უცხოეთში მცხოვრები ქართველობა</u>

I.

"საქართველო და უცხოეთში მცხოვრები ქართველობა" - ასეთ სათაურს ვაძლევ ამ გასაუბრებას იმიტომ, რომ - მიუხედავათ იმისა, რომ საქართველო 1991 წლის 9 აპრილიდან ისევ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა - უცხოეთში მცხოვრები ქართველობა, ან უფრო ზუსტად, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პირველი, მეორე და აწ უკვე მესამე თაობა ვერ ახერხებს ნორმალური ურთიერთობის დამყარებას საქართველოს სახელმწიფოებრივ ორგანოებთან, რის მიზეზი, უდავოა, ჩვენი ემიგრაციის წარსულში უნდა ვეძიოთ.

II.

ქართული ემიგრაციის, <u>პოლიტიკური</u> ემიგრაციის პირველი ტალღა მოედო განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებს იმის შემდეგ, როცა დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის 25 თებერვალს და დაამყარა საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმი. საქართველოს ხალხისაგან დემოკრატიული გზით არჩეული, ე.ი. კანონიერი მთავრობა - ნოე ჟორდანიას მეთაურობით საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, - შეეხიზნა საფრანგეთს, რომ განეგრძო ბრძოლა ბოლშევიკური ოკუპანტების წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის მიზნით; ამის შედეგად ბევრი ქართველობა შეეხიზნა განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, და პოლიტიკური ემიგრაციის ცენტრი გახდა პარიზი, და ამით გახდა ჩვენი ეროვნული მთავრობის სადგომი, რის შედეგად ყველა პოლიტიკური პარტია თუ დაჯგუფება, შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობდა ხელი შეეწყო საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმისათვის.

III.

პოლიტიკური ემიგრაციის სფეროში ადგილი ჰქონდა პარტიებისა და დაჯგუფებების ისეთ დაუნდობელ ბრძოლას, რომ ჩვენ, ემიგრაციაში მყოფი ქართველები, ოსტატურად გამოგვიყენა ბოლშევიკურმა რუსეთმა, რაც საშინელი ფორმით გამომჟღავნდა იმაში, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის - ნოე რამიშვილის - მკვლელიც კი იპოვეს ჩვენს რიგებში, 1930 წელში.

IV.

პოლიტიკურმა ბრძოლამ ემიგრაციაში ისეთი ფორმა მიიღო, რომ ბოლშევიკურ პროპაგანდასა და ქართული პოლიტიკური ზოგიერთი წრეების პროპაგანდას შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ იყო, რადგან საბრალდებულო სკამზე, ყოველთვისა და ყოველ შემთხვევაში, იჯდა "მენშევიკები","მენშევიკური მთავრობა", და პოლიტიკური ემიგრაციის ამგვარი წრეები იმასაც კი ვერ აღიქვამდნენ, რომ ისინიც ბოლშევიკებსავით, "მენშევიკებში","მენშევიკურ მთავრობაში" საქართველოს ეროვნულ მთავრობას გულისხმობდნენ, ეროვნულ მთავრობას, რომელიც არჩეული იყო ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიულ არჩევნებში.

IV.

და ამგვარი ბრძოლა, პოლიტიკური ბრძოლა გრძელდება დღესაც განსაკუთრებით პარიზში, მიუხედავათ იმისა, რომ დღეს ქართული ემიგრაციის დიდი უმრავლესობა აღნიშნული პოლიტიკური ემიგრაციის პირველ, მეორეს თუ მესამე თაობას ეკუთვნის. და ჩვენი ემიგრაციის ყველაზე უფრო დიდი უბედურება იმაში გამოიხატება, რომ ბევრმა ჩვენთაგანმა ვერ გაიგო, ან, არ სურს გაიგოს, რომ საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივდამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ამის შედეგად, უცხოეთში უკვე არსებობს არა <u>პოლიტიკური</u> ემიგრაცია, არამედ უცხოეთში მცხოვრები ქართველობა; და ამის შედეგია ის, რომ საქართველოს პარლამენტში, რომელიც არჩეულ იქნა დემოკრატიულად 1995 წლის 5 ნოემბერს, - არსებობს <u>"მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტი"</u>, რომლის თავჯდომარეა აკადემიკოსი გურამ შარაძე.

V.

ვიმეორებ: როგორც ჩანს, უცხოეთში მცხოვრებ ქართველობის ერთმა ნაწილმა ვერ აღიქვა, ან, არ სურს აღიქვას, რომ საქართველო დღეს არის <u>დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო</u> და ამიტომ "ძველი" ტერმინოლოგია და <u>მოქმედება</u>, რომელსაც ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ ემიგრაციაში 1991 წლის 9 აპრილამდე, დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე გამოუსადეგარია და ისტორიას უნდა ჩაბარდეს. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ასე არ არის, რის უახლესი მაგალითია საქართველოს მთავრობის არქივის ნაწილის გადატანა საქართველოში, რაც უსაფუძვლო ბჭობის საკითხი გახდა, რომელშიც, როგორც აღნიშნეს, ფრანგული პოლიციაც კი ჩაურევიათ. ვაი, სირცხვილო!.. ვაი, უმეცრებავ!..

VI.

ჯერ ერთი: როგორც კი პოლიტიკურ ემიგრაციას გამოეცალა ძველი,გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწეები, ჩვენ დავიბენით; ზოგჯერ დავემსგავსეთ ცხვერებს მწყემსის გარეშე. ამას მოყვა ის, რომ - მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის მეორე თუ მესამე თაობა საფრანგეთში დაიბადენ და აღიზარდენ, და მათთვის დემოკრატია, რომ იტყვიან ხოლმე, "უცხო ხილი" არ არის, - ქართული სათვისტომო საფრანგეთში კაქციეთ პოლიტიკურ ორგანიზაციათ სწორედ მაშინ,როცა ამის საჭიროება სრულიად არ არსებობს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, დღეს საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა. ამას მოყვა - თავის მხრივ - ის, რომ სათვისტომო გახდა ამა-თუ-იმ პოლიტიკური დაჯგუფების თუ პირის საჯიჯგნი ობიექტი, რაც ისე შორს მიდის, რომ, წარმოიდგინეთ, ანალოგიურ მდგომარეობა ჰქონია ადგილი წმინდა ნინოს ეკლესიის კომიტეტშიც კი!..

VII.

ჩვენი "ძველი თაობა" კი სათვისტომოს პოლიტიკურ ბრძოლებში არ რევდენ, რადგან პოლიტიკური ბრძოლა პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფებების საქმე იყო. ამის გამო სათვისტომოს თავჯდომარის კანდიდატურის შერჩევა ხდებოდა ყველა პარტიისა და პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენელთა მიერ, რის შემდეგ საერთო კრება ირჩევდა სათვისტომოს თავჯდომარეს. ჩვენი "ძველი თაობის" ეს ბრძნული წესრიგი დარღვეულ იქნა ქართული ემიგრაციის მეორე თუ მესამე თაობის მიერ, რასაც მოყვა ის, რომ სათვისტომოს თავჯდომარეებად ხდება ისეთი პირების არჩევა, რომელთა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა არსად არ ჩანდა სულ ცოტა სათვისტომოს წევრთა უმრავლესობისათვის.

VIII.

ამას, თავის მხრივ, მოყვა ისიც, რომ მე პირადათ უკვე აღარ ვიცი არის ქართული სათვისტომო საფრანგეთში პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ამგვარი გაუგებრობის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ სათვისტომო უკვე ყველაფერში ერევა - არის ეს მისი საქმე თუ არა. ისევ არქივის საქმეს რომ დავუბრუნდეთ: საქართველოს ეროვნული მთავრობის არქივის ბატონ-პატრონი იყო არა სათვისტომო ან ესა-თუ-ის პარტია, არამედ საარქივო კომისია, რომელიც მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს საქართველოს ეროვნული მთავრობის ანდერძით, რომ არქივი უნდა გადაეცეს მის კანონიერ მესაკუთრეს საქართველოს მთავრობას. ამდენად, საქართველოს მთავრობის კომისია არასოდეს არ ყოფილა სათვისტომოს უფლებამოსილების ქვეშ და არც დღეს არ არის იგი. რა თქმა უნდა, საარქივო კომისიას, რომლის წევრი მეც გახლავართ, შეუძლია ინფორმაცია მისცეს სათვისტომოს და,საერთოდ, ქართველობას, მაგრამ ის ვალდებული არ არის მოიქცეს ასე. ანალოგიურ მდგომარეობაშია ლევილის ქართული მამული, რომლის უფლებამოსილება "სოსიეტეს"="მესაკუთრეების"(და მათი მემკვიდრეების) ხელშია, და მოქმედებს შვიდი პირის ანდერძის შესაბამისად, ანდერძისა, რომელიც განსაზღვრავს ქართული მამულის ბედს; რომ ქართული მამული უნდა გადაეცეს მის კანონიერ მესაკუთრეს საქართველოს მთავრობას, ანდერძში ჩამოყალიბებული პირობების თანახმად.

IX.

ამდენად გაუგებარია, რომ სათვისტომომ თუ სათვისტომოს ცალკეულმა პირებმა საჭიროდ ჩათვალეს ფრანგული ორგანოების არქივის საქმეებში ჩარევა, და ამით, იურიდიულ სტატუსს რომ თავი დავანებოთ, - მორალურ საზღვარს გაშორდა. წესი და რიგი უნდა იქნას დაცული მაშინაც კი, როცა ამა თუ იმ ორგანიზაციას თუ პირს ესა თუ ის მოქმედება "არ მოსწონს!"

X.

და წესი და რიგი მოითხოვს, რომ საქართველოს ეროვნული მთავრობის მემკვიდრეობას უცხოეთში უნდა დაეპატრონოს საქართველოს დღევანდელი მთავრობა. ამ საკითხში შეუძლებელია არსებობდეს ორი აზრი. და თუ ვინმეს საქართველოს დღევანდელი მთავრობა "არ მოსწონს", მაშინ იბრძოლოს - პოზიცია-ოპოზიციის სფეროში - იმისათვის, რომ მომავალ არჩევნებში "მისმა აზრმა" გაიმარჯვოს და თვითონ მოექცეს საქართველოს მთავრობაში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ დემოკრატია არის უმრავლესობის ბატონობა, და უმცირესობამ უნდა აღიაროს ეს თუ მას სურს ნამდვილი დემოკრატიული წესყოფილების განმტკიცება საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI.

საქართველოში დემოკრატიული წესყობილების განმტკიცების ერთერთი მხარეა ის, რომ დღევანდელი საქართველოს მთავრობა დაეპატრონოს ჩვენი ეროვნული მთავრობის მემკვიდრეობას, და ამაში ჩვენ, ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ საქართველოს მთავრობას და მის ორგანოებს უცხოეთში.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1996 წლის 21 დეკემბერი

## ჩვენ ბრალდებას ვუყენებთ რუსეთს!..

I.

ჩვენ ბრალდებას ვუყენებთ რუსეთს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების გაუქმებაში თუ შევიწროებაში გასული ორასი წლის განმავლობაში.

II.

ჩვენ ბრალდებას ვუყენებთ რუსეთს საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის დაქუცმაცებაში, დარიგებაში თუ მითვისებაში გასული ორასი წლის განმავლობაში.

III.

ჩვენ ბრალდებას ვუყენებთ რუსეთს საქართველოს სახელმწიფო მკვიდრი მოსახლეობის - ქართველებისა და აფხაზების - დევნაში, შევიწროებაში, ერთმანეთის წინააღმდეგ დაპირისპირებაში და გენოციდშიც კი გასული ორასი წლის განმავლობაში.

IV.

ჩვენ ბრალდებას ვუყენებთ მეფის რუსეთს, რომ მან დაარღვია 1783 წლის ე.წ-ლი "გეორგიევსკის ტრაქტატი" და 1801 წელს მოახდინა ქართლ-კახეთის, ხოლო შემდეგ მთელი საქართველოს ანექსია-დაპყრობა; ამით საქართველოს სახელმწიფო გააუქმა და იგი, როგორც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, რუსეთის იმპერიას შეუერთა.

V.

ჩვენ ბრალს ვდებთ მეფის რუსეთს იმაში, რომ მან საქართველოს მოსახლეობას გარუსების გზას დაადგა უკვე 1801 წლიდან ქართველობის შევიწროებით და საქართველოში რუსების, სომხებისა და სხვა ერების შვილების ჩამოსახლებით. ამას მოყვა ქართველთა რაოდენობის საქართველოს მთელი მოსახლეობის 70-თ პროცენტამდე დაყვანა.

VI.

ჩვენ ბრალდებას ვუყენებთ საბჭოთა რუსეთს იმაში, რომ მან 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის დაარღვია და დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს სახელმწიფო დაიპყრო 1921 წლის 25 თებერვალს და ამით გამოთიშა საქართველოს სახელმწიფო მსოფლიოს სახელმწიფოთა საერთო ოჯახიდან.

VII.

ჩვენ ბრალს ვდებთ საბჭოთა რუსეთს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ტერიტორიის დაყოფა-დანაწილებაში, რომლის დროს საქართველოს ტერიტორია დაურიგა მეზობელ ქვეყნებს და თვით რუსეთმაც მიითვისა სოჭი და მისი რაიონი თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. ამის შედეგად, საბჭოთა საქართველოს შერჩა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 91.100-ს კვადრატულ კილომეტრიდან მხოლოდ 69.700-ი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია.

VIII.

ჩვენ ბრალდებას ვუყენებთ საბჭოთა რუსეთს იმაში, რომ მან - განაგრძო რა მეფის რუსეთის არარუს ერთა ასიმილაციის პოლიტიკა, - საქართველოში, "ინტერნაციონალური პოლიტიკისა" და მუშახელის ნაკლებობის საბაბით, - ჩამოასახლა უცხო ერის შვილები, განსაკუთრებით რუსები.

IX.

ჩვენ ბრალს ვდებთ პოსტბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობას მეფის რუსეთისა და საბჭოთა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გაგრძელებაში, რომლის შედეგად საქართველოში აფხაზი და ოსი ექსტრემისტები აამხედრეს ქართველი ერის წინააღმდეგ; რასაც მოყვა ძმათა შორის სისხლის ღვრა, რომლის დროს თითქოს ოს და აფხაზ ექსტრემისტებმა გაიმარჯვეს საქართველოს შეიარაღებუ-

ლი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, სინამდვილეში კი რუსეთმა აწარმოა "გამოუცხადებელი ომი" აწ უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

X.

ჩვენ ბრალს ვდებთ პოსტბოლშევიკურ რუსეთის ხელმძღვანელობას იმაში, რომ მან ე.წ.-ლი "ეთნიკური კონფლიქტი" აფხაზეთსა და შიდა ქართლში გამოიყენა ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისათვის, როცა აფხაზეთში ქართველთა ღია გენოციდი ჩაიდინეს აფხაზ-ექსტრემისტების ნიღბით, რასაც მოყვა აგრეთვე სამას-ათასი ქართველის გასახლება საქართველოს ამ კუთხიდან და ქართველთა ლტოლვილებად გადაქცევა თავისივე სამშობლოში.

XI.

ჩვენ ბრალს ვდებთ პოსტბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობას იმაში, რომ მან არა მარტო მოიწონეს ლენინის მიერ შექმნილი ე.წ.-ლი "სამხრეთ ოსეთის" "რესპუბლიკის" თუ "ოლქი" შექმნა შიდა ქართლში, არამედ შეეცადეს საქართველოს გულის - შიდა ქართლის - საქართველოდან ჩამოშორებას, რომლის დროს ათასობით ქართველობა გაძევებულ იქნა მათს მშობლიურ სახლ-კარიდან, და შიდა ქართლში დღესაც ბატონობს ოსი ექსტრემისტები, რა თქმა უნდა, პოსტბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობის იარაღის ძალით.

XII.

ჩვენ ბრალდებას ვუყენებთ პოსტბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობას იმაში, რომ ის დღესაც - ე.წ.-ლი რუსეთის "სამშვიდობო" სამხედრო ძალებით - წინ ეღობება ქართველი ლტოლვილების დაბრუნებას აფხაზეთსა და შიდა ქართლში, და რუსეთის სამხედრო ძალებით გათამამებული ოსი და აფხაზი ექსტრემისტები ისე მოქმედებენ საქართველოს, ქართველი ერის ერთობის წინააღმდეგ, რომ ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად.

XIII.

ჩვენ ბრალს ვდებთ პოსტბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობას იმაში, რომ - გარეკეს არ ქართველობა საქართველოს უძველეს მიწა-წყლიდან - აფხაზეთისა და შიდა ქართლიდან,- საქართველოს ეს რეგიონები აქციეს არაქართველ ექსტრემისტთა საბრძანებლად, რითაც რუსეთი კიდევ უფრო აძლიერებს არაქართველ-

XIV.

ჩვენ ბრალს ვდებთ პოსტბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობას იმაში, რომ მან იარაღის ძალით შეიყვანა საქართველოს აწ დამოუკიდებელი სახელმწიფო ე.წ.-ლ "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში", საქართველოში,25 წლის ვადით, განალაგა თავისი შეიარაღებული ძალები ხუთ ბაზაში, ხოლო საქართველოს საზღვრებზე დგას ისევ რუსეთის შეიარაღებული ძალები საქართველოს შეიარაღებული ძალების ნომინალური მონაწილეობით.

XV.

ჩვენ ბრალს ვდებთ პოსტბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობას იმაში, რომ - ცდილობს რა შექმნას საქართველოში და ამით კავკასიაში "სტაბილური არასტაბილური" მდგომარეობა - ხელს უწყობს საქართველოს პარტიული თუ არაპარტიული დაჯგუფებების ერთმანეთის წინააღმდეგ დაპირისპირებას თვით ეთნიკური კონფლიქტების გაღვივების გზით, რომლის დროს იარაღით, საჭურველით და თვით რუსეთის შეიარაღებული ძალების პირდაპირი ჩარევით, როგორც ეს მოხდა აფხაზეთსა და შიდა ქართლში, - იმ დაჯგუფებას თუ ეთნიკურ ჯგუფს ამარჯვებინებს, რომლებიც - შეგნებულად თუ შეუგნებლად - წამოვებულია დიდმპყრობელ-შოვინისტების ანკესზე.

XVI.

ჩვენ ბრალს ვდებთ პოსტბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობას იმაში, რომ იგი ეყრდნობა არა ერისა და პიროვნების თავისუფლების პრინციპებს, რომელიც ჩამოყალიბებულია გაეროს პროგრამაში თუ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში, რომელსაც რუსეთმაც ხელი მოაწერა, არამედ იმპერიულ პრინციპს: უფლება შაშხანის ლულიდან გამოდის!..

XVII.

და ვითომ პოსტბოლშევიკური რუსეთის აღნიშნულ და არაღნიშნულ ვაი-პოლიტიკაში საქართველოს მიმართ, შეუძლია გარდატეხა მოახდინა რუსეთის 1996 წლის 3 ივლისის საპრეზიდენტო არჩევნებმა?..

XVIII.

ვითომ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რუსეთი დაადგება ცივილიზებული დიდი

დემოკრატიული სახელმწიფოების გზას პატარა სახელმწიფოების გარდაუვალი უფლებები არა მარტო იურიდიულად, არამედ ფაქტიურადაც აღიაროს და ხელი აიღოს, ვთქვათ, საქართველოსნინაგარეო და საშინაო პოლიტიკის დამუხრუჭებაზე ყოველი ჯურის ექსტრემისტებისა და ეთნიკური დაჯგუფებების წაქეზებით საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ?..

XIX.

ვიმედოვნებთ, დემოკრატიული რუსეთი უარს იტყვის მეფის რუსეთის, ბოლშევიკური რუსეთისა და პოსტბოლშევიკური რუსეთის იმპერიულ პოლიტიკაზე განსაკუთრებით მისი მეზობელი აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოების მიმართ; და ეს იქნებოდა საყრდენი იმისა, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდეს საქართველოსა და რუსეთს შორის.

კარლო ინასარიძე
პარიზი-ლევილი, 1996 წლის 4 ივლისი

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო თ



საქართველოს
კონსტიტუცია

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

მუხლი 4. – საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის – შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლით.
საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

ეროვნული ჰიმნი

დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი



**შეკითხვა:** საქართველოს გერბს ვინ შემოავლო შვიდქიმიანი ვარსკვლავი და ამით იგი შეცვალა?..

ქართული ეროვნული საზ.მო უცხოეთში
პარიზი-ლევილი, 1996 წლის 21 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Conseil National Georgien

CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
FRANCE - T. 60-84-61-51

Paris, le 21.6.1995

# მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას!

საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს!

პატივცემულო თანამემამულენო,

ქართული სათვისტომოს გამგეობას საფრანგეთში მიუღია დადასტურება იმ ცნობისა, რომ საქართველოს პარლამენტს გადაუწყვეტია საქართველოს დროშის, ჰიმნისა და გერბის შეცვლა. ვეყრდნობით რა ამ ცნობას, ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში დარწმუნებულია, რომ თქვენ განსაკუთრებული სიდარბაისლით და ეროვნული შეგნებით მიუდგებით ამ საკითხის განხილვას და თავს აარიდებთ მოქმედებას, სახელმწიფო სიმბოლოების შეცვლით კიდევ უფრო არ გამწვავდეს საქართველოს ეროვნული დაქსაქსულობა.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრებისათვის საჭიროა ეროვნული სახელმწიფოებრივი სიმბოლოების – დროშის, გერბის და ჰიმნის – ტრადიციის დაცვისაკენ მოწოდება. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენი სამფეროვანი შინდისფერი დროშა, შავი და თეთრი ზოლით, როგორც ვიცით, ღრმა შინაარსითაა გაჟღენთილი: შინდისფერი საქართველოს თავისუფლებისათვის დაღვრილი სისხლის, შავი – გლოვის, ხოლო თეთრი თავისუფლების სიმბოლოებია; გერბზე – თეთრი გიორგი შვიდი მნათობით –, სულ ცოტა, შვიდიათასი წლის ისტორია გაიხსენა: დასაბამიდან ქართველური ტომები თაყვანს სცემდნენ ხარს როგორც გამჩენ ძალას, რომელიც შრომას ამსუბუქებდა; ხარის რქები დაუკავშირა ნაკლულ მთვარეს; ახალი (თეთრი) მთვარე კი ადამიანის სახეს, და ასე წარმოიშვა თეთრი გიორგი: "გეორგის" ხომ მიწადმოქმედია. თეთრი გიორგი კი ქრისტიანულ ხანაში წმინ-გიორგად იქცა; და საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, პირველყოვლისა ივანე ჯავახიშვილის რჩევით, თეთრი გიორგი შვიდი მნათობით მიიღო და დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო გერბად, რადგან იგი აერთიანებს როგორც ქრისტიან, ისევე მაჰმადიან ქართველობას, თუმცა ქრისტიანიზმი ჩვენი მსოფლხედვის ბაზა გახდა. საქართველოს ჰიმნის – "დიდების" – ტექსტი და მუსიკა კი ქართული ჰუმანიზმის გამოვლინებაა, რომელიც ჭეშმარიტებას ქადაგებს, რაც საერთო საკაცობრიო გალობათაც შეიძლება მიჩნეულ იქნას. ასეთივე ეროვნული ჰუმანიზმითაა გაჟღენთილი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, რომელიც – მიუხედავად ჩვენი გაფრთხილებისა – 1995 წლის 24 აგვისტოს შეცვლილ იქნა ახალი კონსტიტუციით, რომელიც თავისი ჰუმანურობით მეტად ჩამორჩება საქართველოს რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციას, თუ გნებავთ, სიკვდილით დასჯის ისევ შემოღებით.

თუ ვიღებთ მხედველობაში, რომ საქართველოს პარლამენტმა – თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების შემდეგ (1990 წლის 28 ოქტომბერი) პირველსავე სესიაზე არ დააკანონა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშის, გერბის, ჰიმნისა და კონსტიტუციის ისევ აღდგენა, და შემდეგ გერბი – თეთრი გიორგი შვიდი მნათობით – შეცვალა, – ვითომ ჩვენვე გვსურს – შეგნებულად თუ შეუგნებლად – ჩვენი რესპუბლიკური ხანის სახელმწიფოებრივი ტრადიციისა და ამით ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრივი საძირკვლების შერყევა?..

გამოვდივართ რა აღნიშნული დებულებებიდან, უმორჩილესად გთხოვთ საქართველოს რესპუბლიკის ტრადიციული სიმბოლოების შეცვლისაგან თავი შეიკავოთ, რაც ნიშნავს ამასთანავე 1918 წლის 25 მაისის საქართველოს რესპუბლიკის გერბის ისევ აღდგენას.

გვჯერა, რომ ჩვენი თხოვნა მისაღებია თქვენთვის და საქართველოს მოსახლეობის დიდი, დიდი უმრავლესობისათვის.

დიდება საქართველოს!..
დიდება ქართველ ერს!..
მრავალჟამიერ!..

ღრმა პატივისცემითა და ქართული სალამით,

ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში

თავმჯდომარე: (კარლო ინასარიძე)

პარიზი-ლევილი, 1995 წლის 21 ივნისი

---

შენიშვნა: უმორჩილესად გთხოვთ ამ მიმართვის ასლი, თუ შესაძლებელია, დაურიგოთ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს.

# Vom Weltbild der Georgier

Von *Grigol Robakidse*

Platon läßt Sokrates, während dieser mit Glaukon diskutiert («Politeia», 6. Buch), sagen: «Das Gesicht ist nicht Sonne, weder es, noch dasjenige, dem es innewohnt, von uns Auge genannt. Aber das Sonnenartigste, denke ich, ist es gewiß von allen Organen der sinnlichen Wahrnehmung.» Plotin, der spätere Nachfolger Platons, prägt: «Das sonnenhafte Auge.» Viel später noch äußert Goethe in einer Verszeile: «Wär' nicht das Auge sonnenhaft, die Sonne könnt' es nie erblicken.» Sokrates setzt im selben Gespräch weiter fort: «Sie, die Sonne, ist nicht Ge-Sicht, aber die Ursache davon, und wird von ihm gesehen.» In seiner Lehre über das Licht sagt Goethe im Grunde dasselbe: das Auge erwachse dem Licht. Im ganzen eine bis ins Plasma des Sich-bildenden-Seins treffende Einsicht, deren eigentlicher Urheber Platon ist: der «Göttliche».

Nun vernehme man die georgische (kharthwelische) Sprache – nach Jacques de Morgan, «L'Humanité préhistorique», eine der vier Ursprachen der Welt: neben der baskischen, etruskischen, hethitischen. «Schauen» hat dort in der Wurzel «Sonne»: «mse» – «msera». Die Einsicht der großen Drei wird hier zum ontischen Bild. Das Auge ist bei den Georgiern mehr als «sonnenhaft»: es ist die Sonne selbst. Während des Reifens der Weintrauben pflegt der georgische Winzer zu sagen: «Das Auge ist in die Traube eingegangen.» Mit dem «Auge» meint er hier die Sonne. Platon meditiert über das Auge, Plotin stempelt es als «sonnenhaft», Goethe urteilt über dasselbe. Der georgische Winzer dichtet: bringt es zum Bild, und zwar im Geschehen und somit zum Mythos. Die Schau wird hier zur sonnerfüllten Weintraube selbst.

Die Sonne erscheint in Georgien als Inbegriff des Lebens schlechthin. Sie brennt: ist Feuer. Wie wäre Heraklit von Ephesos überrascht und erfreut gewesen, hätte er gewußt, daß im Georgischen «Leben» und «Feuer» im Wurzelstamm einander entsprechen. Das Leben brennt. Das Pferd, das feurigste von allen Lebewesen, hat in seiner georgischen Benennung den Wurzellaut vom Feuer. Noch merkwürdiger: «Besen» scheint im Georgischen eine gewisse Verwandtschaft mit Feuer zu haben. Vielleicht ist hier das reinigende Element des Fegefeuers angedeutet. Was reinigt, macht heil: gesund. «Rein» und «Heil» sind georgisch identisch. Identisch sind im Georgischen auch der Reine und der Heilige. Reinigen bedeutet bei den Georgiern: «Festigen». Was «rein» ist, ist «fest», urteilen die Georgier. Festsein meint: Ganzsein. Kommt das «Feste» aus dem «Reinen» und ist das «Rein» identisch, dann ist anzunehmen, daß «Heil» und «Ganz» dasselbe sind: und im Georgischen ist es auch so.

Man sieht, daß hier hinter jeder wesenhaften Erscheinung die Sonne wurzelt. Sie ist es, die das Sein durchbildet. Diese Durchbildung wird vom Auge erschaut, das mit der Sonne wesensgleich ist. Daher eine besondere Auffassung der «Farbe» bei den Georgiern. Diese ist für die Georgier nicht bloß «Eigenschaft», sondern das Element selbst. Will der Georgier das Wort «Alles» gebrauchen, so sagt er: «qwelapheri», das heißt: alle Farben. Wenn

er dagegen das Wort «Nichts» anwendet, sagt er: «arapheri», das heißt: keine Farbe. Manchmal verwandelt er hier das «Was» in das «Wie». Er fragt zuweilen nicht: wie hast du es gemacht – er fragt: wie «farben» hast du es gemacht.

Der Sonnenblick in einer Erscheinung wird zu deren Wesensbild. Je stärker, desto prägnanter. Daher die tiefe Bedeutung, die im Georgischen das Wort «Ssache» = Antlitz hat. Es ist mehr als «Visage»: unter dem Antlitz versteht der Georgier das Strahlbild des Wesens. Es ist mir keine andere Sprache bekannt, in der Gott so angesprochen wird: «O schen ssachiero!» – O Du, Antlitzhafter! Bei den Georgiern kommt das immer vor. Was Antlitz hat, ist göttlich – so urteilen die Georgier. Selbst die Person wird in Georgien von der Sonne bestimmt. Statt der Bekräftigung «bei Gott» sagt man dort «bei deiner Sonne». Hier ist auch das persönliche Fürwort zu beachten: nicht einfach «bei Sonne», sondern «bei deiner Sonne»: als hätte jedes Menschenwesen seine eigene Sonne. In dem berühmten epischen Werk von Schotha Rusthaweli «Der Mann im Pantherfell» (12. Jh.) tröstet die Heldin Nestan ihren Geliebten Tariel aus dem Kerker: «Die Sonne wird ohne dich nicht sein, weil du ihr Teil bist -- Wahrlich wirst du mit ihr zusammen sein als ihr ungetrübtes Sternbild – Da sehe ich dich, da bilde ich dich mir als sie.» Mit diesem «da» meint die Heldin das lichte Reich der Gestirne. In der letzten Zeile ist auch zu beachten, daß hier – «da sehe ich dich, da bilde ich dich» – nicht schlicht die Zukunft gemeint ist, sondern das Immerwährende. Das georgische Verbum nämlich hat eine feine Wendung für das ewig Beginnende.

Allem Anschein nach haben die Georgier in der Urzeit die Sonne als lebensbildendes Wesen mythisch erfaßt und kultisch verehrt. Versenkt man sich verweilend tief in die Sonnenschau, welche die Welt der Georgier so mannigfach durchbildet, wird man den Spuren jenes Zeitalters nachtasten, das in allen Überlieferungen als «golden» genannt wird. Statt «Goldenes Zeitalter» gebrauche ich «Goldene Zone» (des Seins). Seit Hesiod stellt man sich den Wechsel der Zeitalter historisch vor: erst lebte man, so wird angenommen, im Goldenen Zeitalter, dann im Silbernen, dann im Kupfernen, dann im Eisernen. Diese Reihenfolge verstehe ich anders. Die Sinnbilder – das Goldene, das Silberne, das Kupferne, das Eiserne – wesen in jedem Zeitalter. Ein Zeitalter könnte als golden oder als silbern oder als kupfern oder als eisern bezeichnet werden, je nachdem, wie weit in ihm eines von diesen Sinnbildern sich als vorherrschend behauptet. So auch in Bezug auf ein Volk, ja auf den Einzelnen selbst. Jeanne d'Arc zum Beispiel: sie gehört ihrem Wesen nach ins Zeitalter des Goldes, wiewohl sie in unserem Zeitalter lebte.

Das Kennmal der Goldenen Zone: man lebt hier sonnenhaft. Sonnenhaft leben heißt: innerlich bereit sein, sich gleich Sonne zu verschenken, und dieses wiederum bedeutet: Mut zum Sein haben. Wer diesen Mut hat – nicht zu vergessen: das Sein ist Glück und Gefahr in einem – der allein vermag des Schicksals innezuwerden. Das Schicksal schlägt ihn nie: es bricht in ihm wie seine ihm innewohnende Kraft aus. Und siehe: Mut, Schicksal, Glück stammen im Georgischen von ein und denselben Wort: «bedi.»

In der Goldenen Zone lebt man, wie man beschaffen ist: nach eigener Art und Kraft. Daher dort die sakrale Ordnung: Hierarchie. In Georgien war das Leben so geordnet. Hier nur einige Beispiele. Ich kann die Hand einer Frau küssen, und in jeder Sprache habe ich das Wort dafür. Georgisch heißt es: «kozna.» Ich darf aber die heilige Jungfrau – eigentlich ihr Bild – nicht

ეროვნული ბიბლიოთეკა

küssen, dafür brauche ich ein anderes Wort, und die georgische Sprache gibt es mir: «ambori.» Oder: ich kann in einem Hause singen, in der Bethalle aber nicht. Für den ersten Fall haben sie das Wort «simghera», für den zweiten «galoba». Oder auch: Die heilige Schrift soll andere Buchstaben haben denn die weltliche. Die Georgier haben beides. Dann noch: ich kann einen Menschen «Herr» nennen, nie aber Gott. Um die hieratische Zäsur hier zu setzen, gebrauchen die Georgier zwei verschiedene Worte: «batoni», wenn es sich auf den Menschen bezieht, und «uphali», wenn auf Gott. Und das Erstaunliche: das Wort «Macht» wird im Georgischen nicht von «batoni» abgeleitet, sondern von «uphali». Die Macht – wohlgemerkt: die echte – ist also sakraler Natur. Und endlich das Überwältigende: «Kaiser» heißt georgisch wörtlich: *Der Handreife.* Was bedeutet es? Man muss reich sein, um zu schenken; man muß mächtig sein, um sich zu wehren; man muß begnadet sein, um zu segnen. Man vergegenwärtige sich die Bedeutung der *Hand* in der Kulturgeschichte, man denke auch an die Verleihung der Weihe durch die Handauflegung. René Guénon übersetzt das arabisch-hebräische Wort «barakah» als «influence spirituelle». Auch in Georgien taucht dieses Wort auf, und gerade in Verbindung mit der Hand. Man sagt: «barakhiani cheli»: die Hand voll von «barakah». Ja, im Wortbild *Der Handreife* ist die ganze Konzeption des «Priesterkönigs» plastisch zum Ausdruck gebracht.

Auf dem Dwali-Berg – erzählt eine georgische Sage – sassen von Zeit zu Zeit die Könige. Sie bemühten sich, einen vom Himmel fallenden Stern aufzufangen, um mittels dessen das Geschick ihrer Völker auf rechte Weise zu lenken. Eine pyrenäische Gralvariante lautet: der Gral sei ein Stein, aus der Krone des gestürzten Luzifers – Lichtträgers – abgefallen. Die Könige der georgianischen Sage, scheint es, wollten diesen Stein – d.h. den Gral – in die Hände bekommen. Der Sinn der Sage leuchtet hier klar auf: der Herrscher soll seine irdische Macht durch die Himmelskräfte nähren und festigen. Die Kraft des Himmels erscheint hier im Bilde des fallenden Sterns.

Eine andere Sage setzt die erste weiter fort. Auf demselben Dwali-Berg hatte Königin Thamar (1184–1212) einen Schrein, in dem ein im Fallen aufgefangener Stern ruhte. Einmal, als die Königin auf der Reise war, näherte sich ihre Magd dem Schrein, öffnete ihn, und: jäh flog der Stern in den Himmel zurück. Hier wird angedeutet: erstens, der Unbefugte darf das Symbol der sakralen Herrschaft nicht anrühren, und zweitens, der Herrscher soll fortwährend darauf bedacht sein, daß er die Macht nicht aus der Hand verliert.

Dieser Auffassung der Herrschaft waren sich die Georgier nicht nur mythisch bewußt. In dem bedeutsamen Werk von Giorgi Merčule (10 Jh.) «Das Leben des heiligen Grigol Chandstheli» wird behauptet: Gott habe die Könige zur Verwaltung der Welt eingesetzt. Königin Thamar äußert: «Der königliche Thron ist mir beglaubigt worden - erst von Gott und dann von meinen Eltern.»

Das Reich war für die georgischen Herrscher das Heilige Reich. Es war für sie eine überaus strenge Aufgabe, die sie sich stellten. Es ist anzunehmen, daß sich die Herrschaft der georgischen Könige in der Geschichte ihres Landes als bildende Strahlkraft erwiesen hat, wenn gleich nicht immer.

Nach der zur Mythe werdenden Aussage des georgischen Winzers – «Die Sonne ist in die Traube eingegangen» – kann man wohl annehmen, daß den Georgiern die Mythenbildung in reichem Maße eigen ist.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Wie anders die georgische Mythe! Sie weiß auch, daß der Jäger sterblich ist, und als solcher kann er die Göttin, die Unsterbliche, nicht erreichen. Zugleich aber weiß sie, daß er, wiewohl von Gott abgefallen, seiner göttlichen Herkunft nicht ganz verlustig gegangen ist. Gewiß west in ihm nicht mehr das Paradiesische – es glüht aber immerwährend in seiner sehnsüchtigen Rückerinnerung. Ahnungsvoll schaut er rückwärts in den Garten Eden und schmeckt das Verlorene im Bilde. In der Liebe ist dieses Bild: Dali. (Beatrice, Laura, und die «Herrin» in der mittelalterlichen Minne.) Schimmert es nicht durch jede Liebesbegegnung? Die Göttin sagt: der Jäger könne sie lieben, er dürfe aber nie mehr die sterbliche Frau berühren. Das besagt: der Liebende muß in der sterblichen Geliebten ihr unsterbliches Bild lieben, mythisch ausgedrückt: Dali. Verfällt er sinnlich dem vergehenden Element der Geliebten, zerstört er dieses Bild und sich selbst. Er richtet sich zugrunde.

Als Vollendung des georgischen Weltbildes erscheint das Symbol des Weinrebenkreuzes:

Bewegt von höherer Eingebung, traf eine Jungfrau aus Kappadokien, namens *Nino*, in Georgien ein. Das geschah im 4. Jahrzehnt des 4. Jahrhunderts. Sie war es, die die Georgier zum Christentum bekehrte. Aus Weinreben schnitt sie das Kreuz und umwickelte es mit ihren Haaren.

Das Kreuz war immer aus Holz oder aus Eisen gemacht, ebenso aus Stein. Hier aber haben wir ein Kreuz, aus Weinreben geschnitten und mit den Haaren der Bekehrerin umwunden. Hat es etwas zu bedeuten?

Dem Gottessohn entspricht mythisch – sei es vorausgeschickt – die Sonne. Nun denken wir zurück an die Worte des georgischen Winzers, die er während des Reifens der Weintrauben zu sagen pflegt: «Das Auge ist in die Traube eingegangen.» Wobei das «Auge» die «Sonne» meint. In dem Fall des Weinrebenkreuzes übertragen, würde es heißen: der Gottessohn ist in die Weinrebe eingegangen, und zwar als der Leidende. (Es gibt, nach Bachofen, auch die «leidende Sonne».) Das Leiden des Gottessohnes wächst hier gleichsam aus der Weinrebe, dem rauschvollsten Sprößling der Erde. Es soll also nicht einfach als «Qual» aufgenommen werden, sondern als das durch Selbstopfer vollzogene welterlösende Ereignis. Dabei erscheint die Erde als bildsame Empfängerin der Logoskräfte. Daß das Kreuz mit den Haaren der Jungfrau umwickelt ist, weist auf die jungfräuliche Empfängnis hin.

Dieses Kreuz – Segen und Heil Georgiens – ruht heute, nach vielen Odysseen, in der Ssion-Kathedrale der Hauptstadt Georgiens: Tbilissi.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გრიგოლ რობაქიძის გერმანულ ენაზე გამოცემული ნაწარმოებები

**Grigol Robakidse : „Das Schlangenhemd".** Ein Roman des georgischen Volkes.
Mit einem Geleitwort von Stefan Zweig.
Verlegt bei Eugen Diederichs in Jena. 1928.

**Grigol Robakidse : „Megi - Ein Georgisches Mädchen".**
Roman.
Rainer Wunderlich Verlag Tübingen. 1932.

**Grigol Robakidse : „Die gemordete Seele".** Roman.
Eugen Diederichs Verlag in Jena. 1933.

**Grigol Robakidse : „Der Ruf der Göttin".** Roman.
Eugen Diederichs Verlag in Jena. 1934.

**Grigol Robakidse : „Die Hüter des Grals".** Roman.
Eugen Diederichs Verlag Jena. 1937.

**Grigol Robakidse : „Dämon und Mythos".**
Eine magische Bildfolge.
Eugen Diederichs Verlag Jena. 1935.

**Grigol Robakidse : „Kaukasische Novellen".**
Im Jnsel-Verlag zu Leipzig. 1932.

გრიგოლ რობაქიძე: „გველის პერანგი", რომანი ქართველი ერისა. სტეფან ცვაიგის „შესავალით", იენა 1928 წ.

გრიგოლ რობაქიძე: „მეგი - ქართველი ქალიშვილი" რომანი. ტიუბინგენი - 1982 წელი.

გრიგოლ რობაქიძე: „ჩაკლული სული". რომანი. იენა 1982წ. (1979 წ.)

გრიგოლ რობაქიძე: „ქალღმერთის ძახილი". რომანი. იენა 1984 წელი.

გრიგოლ რობაქიძე: „წმინდა გრალის მცველნი" რომანი. იენა 1987 წელი.

გრიგოლ რობაქიძე: „კავკასიური ნოველები" ლაიფციგი 1932 წელი.

გრიგოლ რობაქიძე: „დემონი და მითოსი" ჯადოსნური სურათთა - რიგი. იენა 1985 წელი...

„ქართული კულტურა, ასე ინდივიდუალური და ეგზომ უნივერსალური, ქართველი ერის წიაღ-დან უნდა აგრძელებდეს თავის გთარებას.... რამდენად ინდივიდუალურია კულტურა, იმდენად უნივერსალურია იგი." –გრ. რობაქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლ ა ზ ე ბ ი   დ ა   ჩ ვ ე ნ

"აღდგომა" - მარტი 1996

# ლაზებს ლათინური შრიფტი?

შარშან, ნოემბერში, გაზეთ „აღდგომაში" დაიბეჭდა ინტერვიუ გერმანელ ეთნოგრაფ ვოლფგანგ ფიურსტენთან, რომელიც თურმე უკვე სამი ათეული წელია იკვლევს ლაზურ ენას, რომელსაც თან ერთვოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ნაპოლეონ ლემონჯავას მოკრძალებული კომენტარი. წაკითხულმა ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა.

დიდი ხანია, მაინტერესებს, ვინა ვართ ქართველები და რას ნიშნავს საქართველო. ძალიან გამიხარდა, როცა იგივე კითხვა ბულგარელმა მკითხველმა დაუსვა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" თავიანთი ლიტერატურული გაზეთის მეშვეობით. ჩვენმა მეცნიერებმაც არ დააყოვნეს და პასუხი ბროშურის სახით გაუგზავნეს. ეს ბროშურა — „რა არის საქართველო და ვინ არიან ქართველები", შედგენილი ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის რედაქტორობით, 1983 წელს ხელში ჩამივარდა. მოკლედ და ლაკონიურადაა განხილული ქართველი ერის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია. იგი ასე იწყება: „ქართულად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსა შინა თვინიერითა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების". ბროშურაში თავმოყრილი ჩვენი საოცარი და საინტერესო ისტორია რამდენჯერმე გადავიკითხე, მაგრამ პასუხი მთავარ კითხვაზე, რა არის საქართველო და ვინა ვართ ქართველები გვერდზე (განმიკვ. მეგრ.) დარჩა.

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ლეგენდებიც, მაგრამ ყველა მათგანი არასრულყოფილების გრძნობას ბადებს და მათი ნამდვილობაც საეჭვოა. მაგ. ქართის ტომების არსებობა და მათს მიერ სახელმწიფოს შექმნა; კორდუების ტომები — საკორდაველო და ბოლოს საქართველო; ძმების — ქართლოსის, პაოსის და ეგროსის გამრავლებით სახელმწიფოების შექმნა...

ბევრჯერ მიფიქრია და საუბრისას მითქვამს, რომ ცალკე ქართველი არ არსებობს, საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებს, ერთად აღებულს, ჰქვია ქართველი, ყველა კუთხეთა ერთობლიობას კი — საქართველო. და, აი, როცა წავიკითხე ილია ჭავჭავაძის მიერ 1866 წელს დაწერილი შესანიშნავი წერილი „საქართველო", სწორედ იქ ვნახე დასტური ამგვარი მოსაზრებისა: „ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის... განვთითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასო დავიჭერით... იმერელი — იმერელია, გურული — გურული, ქართლელი — ქართლელია, მათი შემკრებულობითი ცნება კი — საქართველო არ არსებობს".

მაშ, ასე, რას ნიშნავს საქართველო? ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, აჭარა, აფხაზეთი, მთა-თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, მესხეთ-ჯავახეთი (დღეისათვის ეს შემოგვრჩა მხოლოდ იმ დიდი საქართველოდან. ისიც დაჭრილ-დაჩეხილი, აყრილი, აღრეული, წართმეული, გავერანებული) — ამ კუთხეების კრებითი სახელიაო სა-ქართ-ველო, ბრძანა დიდმა ილიამ.

მიაქციეთ ყურადღება ქართ ფუძეს. იგი სრულყოფილი ლაზური (მეგრულ-ჭანური) სიტყვაა და ნიშნავს შეერთებას, შეყრას, მიმატებას (კეთებასაც) მაგ. მტკვარს შეუერთდა არაგვი (მტკვარს არაგვიქ ქართ); ნიკოს შეეყარა გრიპი (ნიკოს გრიპიქ ქართ); ვანოს ნახირი თედოს ნახირს შეუერთდა (ვანოშ ჯოგიქ თედოშ ჯოგის ქართ). ქართველს მეგრულად ქორთუ ჰქვია, თბილისს — ქართი; აფხაზები ქართველებს ქირთუას ეძახიან.

არ არსებობს სიტყვა მისი მნიშვნელობის გარეშე ე.ი. ყოველ სიტყვაში დევს მისი მნიშვნელობა, მაგრამ ამ მნიშვნელობების ახსნა ყოველთვის ვერ ხერხდება მხოლოდ ქართული ენის მეშვეობით. და სწორედ აქ გვჭირდება მოშველება იმ ენებისა, რომლებმაც შექმნეს და ასაზრდოეს (და დღესაც ასაზრდოებენ) სალიტერატურო ენა. მაგ. გიორგი (გიერგ. სვან.) მეგრულად რგვას ნიშნავს; მარგალი (მეგრელი) — მრგველს. ალბათ აქედან მოდის, რომ ჩვენ, ქართველებს, მიწათმოქმედებს გვიწოდებენ.

ძალზე საინტერესოა ბატონ გაიოზ ერაძის წიგნი „საქართველო და აფხაზეთი" და მის მიერვე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (1996 წ. N2, N3) გამოქვეყნებული წერილი „როდის შექცია ზურგი აფხაზეთმა საქართველოს". ეს ნაშრომები სავსეა ჩვენთვის დღემდე უცნობი სიტყვების განმარტებებით. ვრწმუნდებით, რომ არ ყოფილა არავითარი ჭანური, ლაზური, მეგრული, სვანური ენები, არამედ არის ერთი უძველესი წარმართული ენა სალიტერატურო (ნაკრები) ქართული ენით და ერთ-ერთი უძველესი, უმარტივესი და ულამაზესი დამწერლობით.

„მეგრული ქართულის გამოულევი სკივრია"-ო — შენიშნავს აკაკი წერეთელი და სწორიცაა. გამოულევი იმიტომაა, რომ (ლაზურ - ჭანური) მეგრული მილიონამდე სრულყოფილ სიტყვას მოიცავს, მაშინ, როცა სხვა ენები ასი ათასის ფარგლებში მერყეობენ და მათი სიტყვების უმრავლესობა თითქმის საერთოა, იდენტური.

ისევ ინტერვიუს და მის კომენტარს მივუბრუნდეთ. ლაზებს დამწერლობა არა აქვთ და მათი გაზეთი „სქანი ნენა" სტამბულში ლათინური შრიფტით გამოდისო, — ამბობს გერმანელი მკვლევარი; კომენტარის ავტორი ქართველი ენათმეცნიერი კი სეპარატიზმის დაბრალების შიშით ფრთხილობს და ეთანხმება მხოლოდ...

ლაზებს დამწერლობა არა აქვთო? როგორ შეიძლება ამის სერიოზულად თქმა. ვინც ამას ამტკიცებს, მისი მიზნები საითკენაცაა მიმართული, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. რაც შეეხება გაზეთ „სქანი ნენას", თუ ისეთ მიზნებს არ ისახავს, როგორსაც ისახავდნენ მეგრულ „ყაზახიშ გაზეთს" თუ „ტორონჯს", მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ მაშინაც კი, თუ ეს ასეა, რა ხელი გვაქვს გადამთიელ კაცთან, როცა ეს საქმე ჩვენი სისხლხორცეული საქმეა, ჩვენი მისახედია (ასეთი თემები ერთგვარად ტაბუდადებულიცაა).

გერმანელი მკვლევარი აღნიშნავს მეგრულისა და ლაზურის ლექსიკის 20-25%-ით განსხვავებას. არცაა გასაკვირი, რამდენიმე საუკუნე შუა გახლეჩილი ენა განიცდის სხვადასხვა ენების გავლენას, სხვაობაც ამითაა გამოწვეული. მაგრამ აქ მთავარია ათასწლობით შენარჩუნებული ჯიში, ჯილაგი, გენი და გონი. ასე რომ, ლაზთათვის ყველაზე უფრო მოხერხებულია საკუთარი დამწერლობა, მშობლიური ქართული, ანიდან პოემდე, რომლის შექმნა-ჩამოყალიბებაში, მათ საქართველოს სხვა კუთხეებზე ნაკლები წვლილი როდი უდევთ.

**ჯუმბერ აბრამია**

'აზრი სწორი და შრომა მედგარი,
ბედნიერების მოსაპოვებლად
ერთი სახსარი მხოლოდ ეგ არი.'

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "შეყვარებულთა დღესასწაული"

### 14 თებერვალი: წმ. ვალენტინის დღე

1.

მე-5 საუკუნიდან 14 თებერვალი არის იტალიელი ეპისკოპოსის წმინდა ვალენტინის დღე, წმ. ვალენტინისა, რომელიც 270 წელს, როგორც წამებული გარდაიცვალა რომის ახლოს. ლეგენდის მიხედვით, წმ. ვალენტინი დროგამოშვებით, მონასტრის / კედლიდან ყვავილის თაიგულს გადაუგდებდა ხოლმე ახალგაზრდებს, რის შედეგად წარმოიშვა ჩვეულება 14 თებერვალს სიყვარული ერთმანეთს შორის ყვავავილებით ან სხვა საჩუქრით / გამოეხატათ შეყვარებულებს.

2.

შესაძლებელია ეს ჩვეულება გამომდინარეობს ძველი რომაული განაყოფიერების დღესასწაულიდან -"ლუპერკალია" - , რომელსაც 15 თებერვალს დღესასწაულობდნენ ბუნების ღვთაების ფაუნუსის საპატივცემლოდ, რომლის ადგილსამყოფლად მიჩნეული იყო ტყეები და მთები. ფაუნუსი მიჩნეული იყო ჯოგების მფარველად; შემდეგ იგი გაიგივებულ იქნა პან-თან, რის შესაბამისად იგი წარმოდგენილ იქნა რქებით და ვაცის ფეხებით. ფაუნები, ანტიკურ იტალიაში მინდვრებისა და ტყეების ქალღმერთები არიან: ფაუნუსის მეუღლე, და,ან ქალიშვილი, ასევე მისი ვაჟები. "ფაუნა" მიჩნეულია აგრეთვე როგორც "ბონა დეა", ე.ი. როგორც "კეთილი ღვთაება.". "პან-ი" კი მიჩნეულია "აღტკინებულ არსებად".

3.

უილიამ შექსპირი თავის კომედიაში-"ზაფხულის-ღამის-სიზმარში" - ეყრდნობა რა ანტიკურ წიგნს ცხოველების შესახებ - მიუთითებს, რომ ფრინველების "დაწყვილება" აღნიშნულ დროში ხდება. მე-14 საუკუნეში კი ინგლისში, ახალგაზრდა ვაჟიშვილები და ქალიშვილები ლოტარიით ან შემთხვევითობის არჩევდნენ ერთმანეთს როგორც ვალენტინი და ვალენტინა, რომლის დროს ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს ერთი წლის ვადით, რომ წმ. ვალენტინის დღეს მარტო არ ყოფილიყვნენ.

4.

ისევ-და-ისევ ცდილობდნენ,განსაკუთრებით ყვავილებით მოვაჭრენი, 14 თებერვალი - "შეყვარებულთა დღე" - მივიწყებას არ მისცემოდა. ინგლისის ზოგიერთ რესტორანში კავალერს შეუძლია მისი საქმროს დაპატიჟება, რომლის დროს რესტორანი სტუმრებს მიართმევს ხოლმე "გულის ფორმის ბიფშტექს".

5.

ასე გამეფდა 14 თებერვალი, განსაკუთრებით ქრისტიანულ ქვეყნებში, როგორც "შეყვარებულთა დღესასწაული", რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება უმთავრესად ყვავილებით, რომელთა თაიგულებს, ლეგენდის თანახმად, წმინდა ვალენტინი გადაუგდებდა ხოლმე მონასტრის კედლიდან შეყვარებულ ახალგაზრდებს.

6.

"გაარშიყება, ღიმილი, აღტაცება, ერთმანეთით გატაცება - 14 თებერვალი ვალენტინის დღესასწაულია - ყვავილებია უმშვენიერესი ენა მსოფლიოში", - აი, წმინდა ვალენტინის დღის საბრძოლო ლოზუნგი.

7.

აი, ამგვარი მოგონებითა და აღტკინებით დღესასწაულობენ ხოლმე ყოველ წლის 14 თებერვალს "შეყვარებულთა დღეს" განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

კ.ი.,პარიზი, 1997 წლის 14 თებერვალი

"თქვენ რომ არ იყოთ ქალებო,
რა იქნებოდა ქვეყანა,
ვისაც რა უნდა ისა თქვას,
მე კი გადარზთ მზესთანა."

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხედავს მგზავრი მოვლენის მხოლოდ ჩონჩხს?

> მიზანი არის გზა ყოველ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ მოვლენაში, რადგან ყველაფერი დინებაშია და ყოველი მოვლენა თეზისის-ანტითეზისისა და სინთეზის ჯაჭვურ რეაქციაში ექცევა, რასაც ისევ გზასთან მივყევართ. ამიტომ ამბობს ავსტრიელი პოეტი პეტერ ჰანდკე: 'მხოლოდ გზაში ვგრძნობ ჩემს თავს მთლიანად ჩემთან'.
>
> "Ganz bei mir fuehle ich mich erst unterwegs".
>
> Peter Handke
>
> და არა მარტო ატომ-ტენტექნიკის ეპოქამ, არამედ ინფორმაციის ავტოსტრადამ გამოიწვია ამ ნახევარი საუკუნის წინათ დაწერილი 'მგზავრის წერილის' გამოქვეყნება, რადგან, ვიმეორებთ, გზაა მიზანი.

I.

ტექნიკამ რადიკალურად შეცვალა მგზავრის შთაბეჭდილების შექმნის მოსამზადებელი პროცესიც კი: თუ წინათ ერთი ქვეყნიდან, ერთი სახელმწიფოდან მეორეში მგზავრობას დღეები-თვეები სჭირდებოდა, რაც ადამიანს, ამავე დროს, ფსიქოლოგიურად ამზადებდა ახალი ხალხის-ერის გაცნობისათვის, ახლა საათები, არა, ხანდახან საათიც კი არ არის საჭირო იმისათვის, რომ ერთი ქვეყნიდან მეორეში იქნე "გადასროლილი". "გადასროლილი" ვამბობ, იმიტომ, რომ, ალბათ, შორს არ არის ის დრო, როცა თვითმფრინავის ალაგს ყუმბარისებური რაკეტი დაიჭერს, რომელიც მგზავრს ერთი ქვეყნიდან-კონტინენტიდან მეორეში "გადაისვრის".

ამგვარ "გადასროლას" დღესაც აქვს, თუ გნებავთ, თავისი "საკუთარი" ფსიქოლოგია: ადამიანი, რომელიც დილით პარიზში, შუადღეზე ბერლინში, საღამოს ლონდონში და შემდეგ დღეს ნიუ-იორკშია, - ხედავს, გრძნობს არა ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი თუ ამერიკელი ხალხის რაობას, არამედ ამ ხალხთა "ჩონჩხს". დილით საჭირო იყო ფრანგული ენა, ზნე-ჩვეულება, შუადღეზე გერმანული, საღამოს ინგლისური...მგზავრს ებადება აზრი:"საიდან ამდენი ენები, ამდენი სხვადასხვაობა და ერთგვარი (ტექნიკური) სიახლოვე!?.. შეძლებს ტექნიკა,(შეიძლება) ძველი კარჩაკეტილობის საფუძველზე აღმოცენებული ერების გათქვეფას და ახალი ერის-ხალხის-ენის წარმოშობას? თუ ნაწილობრივად უკვე შეძლო? და აქ მგზავრი ჭოჭმანობს: თუ ზემოთაღნიშნული აზრი სიმართლესთან ახლოა, მაშინ რატომ არ მოხდა ირლანდიელთა ინგლისის ერში გათქვეფა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელებმა შეძლეს ინგლისური ერის მათზე თავმოხვევა?

თუ ხედავს მგზავრი მოვლენის მხოლოდ ჩონჩხს?

II.

იქ, სადაც "დრო ფულია" (და სად არ არის დრო ფული), ადამიანმა უნდა დაემორჩილოს საათის ისარს. თვით მთელი წარმოება ემორჩილე-

ბა მას; და სად "ეკარგება" ადამიანს ყველაზე უფრო მეტი დრო, თუ არა სასადილოში. და აქაც (უკვე დიდი ხანია) შემოჭრილა რადიკალიზმი: შეხვალ სასადილოში, ამოარჩევ სასმელ-საჭმელს, გადაიხდი ღირებულებას, დაჯდები მაგიდასთან...სრულიად გამოთიშულია მომტანის (ამ "მდაბიო" ხელობის წარმომადგენლის) ფუნქცია. ადამიანი ემსახურება თავისთავს!.. აქ ადამიანი ცოტა ამაღლებულად გრძნობს თავს!..

თუ ხედავს მგზავრი მოვლენის მხოლოდ ჩონჩხს?

III.

"მდაბიო" ხელობა? - ყველაზე უდაბლესი ფორმა "ფულის გაკეთებისა" არის ე.წ-ლი "საჩუქრით" ცხოვრება, ან, უფრო სწორად, (ნახევრად)ოფიციალური მათხოვრობა!..ამბობენ, კინოთეატრის დასაჯდომადგილზე მიმყვან პერსონალს, საყავეში გამყიდველებს თუ მომტანი, სასტუმროს მომსახურე პერსონალს და სხვა მრავალთ, - საერთოდ არ ჰქონიათ ხელფასი! პირიქით, ისინი ვალდებული ყოფილან ფული,რომელსაც ისინი "გამოიმუშავებენ", თავის "პატრონს" გაუნაწილონ! ეს (ნახევარად)მათხოვრობა, სხვადასხვა ქვეყანაში ღებულობს სხვადასხვაგვარ ფორმას: ერთში - კინოთეატრში შესვლის დროს "საჩუქრის" მიღება (თითქმის) აკრძალულია; მეორეში - "საჩუქრის" გარეშე,თითქმის, წარმოუდგენელია დასაჯდომი ალაგი იშოვო; მესამეში - ტაქსის შოფერი "თხოულობს", ღირებულებაზე ზევით, ათ პროცენტს; მეოთხეში - "დაუწერელი კანონის" თანახმად, თითქმის, პირისპირ...

ჩამოხვალ სადგურზე თუ არა, სულ პატარა ჩემოდანიც რომ გქონდეს ხელში, "მეკურტნე" ეცდება როგორმე (ხანდახან პირდაპირ ძალით) ჩამოგართვას ის და მიგიტანოს ტაქსამდე, რის შემდეგ მისი ზრდილობიანი გამოსალმება პირდაპირპროპორციულია "საჩუქრის" სიდიდესთან: მისცემს ცოტას, არც კი დაგემშვიდობება ხოლმე ისე გაგშორდება გულმოსული; მისცემ ბევრს, მისი შესყიდული თავაზიანობა(არა,ზოგჯერ, ძაღლივით დაქუცი) პირდაპირ აუტანელია,აუწერელია!.. სასტუმროს წინ გაჩერებისთანავე, "მოსამსახურეები" მორბიან ტაქსთან და ჩამადანი მიაქვთ...არც კი გეკითხებიან, საით? შოფრის (საჩუქრით ნაყიდ) ღიმილით დამშვიდობების შემდეგ, საჭიროა სასტუმროს მოსამსახურეთა ღიმილის დამსახურება...გგონია კაცს ყველაფერი რიგზეა და მიდიხარ მაღლა...ლიფტიდან გამოსვლის შემდეგ ისმის ლიფტის წამყვანის გულმოსული დამშვიდობება...თურმე ჩვენს მგზავრს დავიწყებია მისი თავაზიანი დამშვიდობების ყიდვა...

მათხოვრობა კინოში, მათხოვრობა სასადილოში, მათხოვრობა

საყავეში, სასტუმროში...მათხოვრობს კაცობრიობა?..იყიდება ზრდილობა, იყიდება სიცილი, იყიდება ფეხსაცმელი,ქალი,კაცი... მეფობს ფული!.. სად არის ადამიანთან ადამიანური დამოკიდებულება? სად არის ადამიანი-ადამიანობა?.. უბადრუკი იქნებოდა აზრი, თუ ყველა ამის მიზეზების ძებნას თვით ამ სახლში დავიწყებდით!..

თუ ხედავს მგზავრი მოვლენის მხოლოდ ჩრნჩსს?

## IV.

მგზავრი კვირას არ მოგზაურობს. ის შევიდა კუნძულის(ინგლისის) "თავისუფლების კუნძულში" - "ჰაიდ პარკში( Hyde Park ); შეერია ხალხის მასის ელემენტი მასას. ამ"ედემის ბაღში" ყოველი ჯურის (უსაქმო?) ხალხია თავმოყრილი. აქაური პროტაგონისტები ("პროფესიონალური") მომხსენებლებია; მათ ემატება ადამიანები, რომლებიც, რაც არ უნდა დაჯდეს, "ოპოზიციონერებია"; შემდეგ(უმრავლესობა) მსმენელები, რომლებსაც დღეს,,ალბათ, კინოში თუ თეატრში წასასვლელი ფული არ აქვთ და აქ არიან მოსული გასართობად; და ბოლოს მგზავრები(ჩვენი მგზავრის ჩათვლით), რომლებიც, თითქოს, მსოფლიოს ყოველი კუთხიდან, როგორც "წარმომადგენლები", მოსულანო!..

ერთ ტრიბუნაზე მღვდელი ქადაგებს ეკლესიის დაცვის აუცილებლობაზე!.. მგზავრი ამჩნევს აქ რამდენიმე "ოპოზიციონერს", მაგრამ, როგორც ჩანს, მათ არ უნდათ ღმერთს "ომი გამოუცხადონ" და გაემართენ მეორე ტრიბუნისაკენ!.. ჩვენი მგზავრიც გაყვა მათ. მეორე ტრიბუნაზე ერთი (შუახნის) "ლეიბორისტი" აკრიტიკებს მთავრობას!.. აქ "ოპოზიციონერები" იცავენ (მთავრობის) პოზიციას!.. აზრთა თავისუფალი შეჯახება, აუცილებლად, ქარიშხლის ამოვარდნას მოასწავებდა, რომ ამ დროს ერთ (მთავრობის) პოზიციის დამცველ ოპოზიციონერს მომხსენებელ "ლეიბორისტისათვის" კამფეტი არ მიეწოდებინა!.. "ლეიბორისტმა", რომელსაც თავისი ანტითეზის გასამაგრებლად ერთ წიგნიდან ამონაწერის წაკითხვა ჰქონდა დაწყებული, - შეწყვიტა ციტატის კითხვა, სიამოვნებით გამოართვა "ოპოზიციონერს" კამფეტი; შემდეგ დახედა საათს და თქვა "სადილზე მაგვიანდებაო"! მოხსნა და დაკეცა თავისი ტრიბუნა, მოიკიდა ზურგზე და გაუდგა გზას!.."რა ეწერა იმ წიგნში?" - ეს,რა თქმა უნდა, მსმენელებმა ვერ გაიგეს. მაგრამ ჩვენი მგზავრი - იმ იმედით, რომ ისტორიკოსები გამოაკვლევენ, თუ რა ეწერა იმ წიგნში -გაეშურა მესამე ტრიბუნისაკენ. მესამე ტრიბუნაზე "კონსერვატორი" იცავდა მთავრობის პოზიციას სკოლების საკითხში. "ოპოზიციონერები" კი, თითქმის ყველა იგივე პირი, - ახლა იცავენ ოპოზიციის("ლეიბორის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეზის") პოზიციას!.. ჩვენმა მგზავრმა გაიღიმა...და მიადგა მეოთხე ტრიბუნას, სადაც უმეტესად (მოხუცი) ხალხი, მღვდლის ლოცზა-რობით, გალობდენ!..

ერთი ნაყინით გაგრილებული ნერვებით, მიადგა ჩვენი მგზავრი შემდეგ ტრიბუნას, სადაც მომხსენებელი ყველაფერს უარყოფდა (ანარქისტები) და როდესაც აქაც ნაცნობი "ოპოზიციონერები" ამოტივტივდენ, ჩვენი მგზავრი განშორდა ამ ტრიბუნას და მივიდა ერთ

დიდ ჯგუფთან, რომლის ორატორი ჩრდილოეთ-ირლანდიის ირლანდიასთან დაბრუნებას მოითხოვდა!.. მომხსენებელს რომ მისი შესაფერი მსმენელები ყოლოდა, ჩვენი მგზავრი ამ ტრიბუნიდან არ წავიდოდა!..

მეზობელ ტრიბუნაზე ერთი ჭაღარა კაცი ქადაგებდა, რომ ძაღლს კვირაში აუცილებლად ესაჭიროება ერთხელ ტანის დაბანა!.. ვინაიდან მგზავრს უფრო ადამიანების, ვიდრე ძაღლების პრობლემები აინტერესებდა, გაეშურა შემდეგ ჯგუფისაკენ. აქ მომხსენებელს ტრიბუნა არ ქონდა. მგზავრს ესმოდა ხშირად სიტყვა "სოციალიზმი". გაიფიქრა:"ალბათ, აქ არიან ისინიო!" და მიიწევდა თხლად მოფანტული ჯგუფის ცენტრისაკენ. "ცენტრში" იდგა ჭუჭყიან-ჩამოძონძილ ტანსაცმელში, დაუვარცხნავ-გაუპარსავი "ბოჰემელი", რომელიც თავისი ალკოჰოლით გაჟღენთილი სიცხიანი ხმით("მენციერულად") ამტკიცებდა, რომ "სოციალიზმია მხოლოდ უბედურებაო!"მგზავრმა ვერ გაიგო მსმენელებს უფრო "მომხსენებლის" ფიზიოლოგიური გამომეტყველება აინტერესებდათ თუ მისი სიტყვები!.. ჩვენი მგზავრი ჩაფიქრდა და მოაგონდა ერთი მისი მეგობრის სიტყვები(-,რომელიც მან პასუხად მიიღო, როცა მან თავის მეგობარს ევროპის ერთერთი დიდი ქალაქის გარეუბნის ბუჩქებში - ზამთრის ყინვების დროს - მცხოვრებ "ლუმპე პროლეტარიატზე" მიუთითა):"სწორედ-ეს არის თავისუფლება! ვისაც რა უნდა, იმას აკეთებსო!.." მგზავრმა ამ საცოდავი ორატორის ყურებას ვერ გაუძლო და ჩაუარა გვერდით ერთ ჯგუფს, რომლის "ტრიბუნი" რელიგიის პროტესტანტული გაგების სისწორეს ამტკიცებდა!..

მიუხედავათ ტექნიკის მიერ (რადიკალურად) შეცვლილი შთაბეჭდილების შექმნის მოსამზადებელი პროცესისა, მგზავრს მაინც ცხადათ ჩარჩა მახსოვრობაში ერთი (მიქელ-ანჯელოს "დავითის" მსგავსი) "ჰაიდელის" სახის გამომეტყველება, რომელიც, საკმარისი სიცხადით, გამოხატავდა ირონიას "ჰაიდუე თავისუფლებისადმი"!..

თუ ჩვენი მგზავრი მოვლენის ჩონჩხსაც ვერ ხედავს?

V.

მგზავრს არ აქვს ღრმად ჩაფიქრების დრო! ხვალ, ვახშმად, ის ტოკიოში დაპატიჟებული მეგობართან!..

კარლო ინასარიძე, ლონდონი, 3 ივლისი 1953 წელი

==============================

შენიშვნა: "ჰაიდ-პარკის" შესახებ, სხვათა შორის, ასე წერს "ბრიტანეთის ენციკლოპედია" ("Encyclopedia Britanica"): "მე-17 და მე-18 საუკუნეებში ეს ბაღი იყო ყველაზე უფრო საყვარელი ადგილი დუელებისათვის, და დღემდე დარჩა პოლიტიკური და სხვა სახის დემონსტრაციების ადგილად (როგორც ტრაფალგის მოედანიც), იმ დროს, როცა მარბლის კარების (რომელიც ჰაიდ-პარკის კუთხეში დგას. კ.ი.) ახლოს თავს იყრიან ორატორები, რომლებიც ბჭობენ სოციალურ თუ რელიგიურ პრობლემებზე".

==========================

## ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

### "რუსეთი აგონიის პირასაა"

"აჟანს-ფრანს-პრესის" ცნობით, ალექსანდრე სოლჟენიცინმა განაცხადა, რომ რუსეთი არის "აგონიის პირას". მისი აზრით, როგორც სოლჟენიცინმა განაცხადა ფრანგულ გაზეთ "მონდში", - რუსეთში ჯერ კიდევ არ არის დემოკრატია და პრესის თავისუფლება. დღევანდელ რუსეთის ხელმძღვანელობას, სოლჟენიცინის აზრით, არ გააჩნიათ მინიმალური ნიჭი იმისა, რომ წაბაძონ დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებს.

აფპ-27.12.96 წ.

### ფრანგი სოციოლოგი - პიერ ბურდიო - კაპიტალიზმისა და ბოლშევიზმის შესახებ

პიერ ბურდიო, პროფესორი ცნობილ "კოლეჟ დე ფრანს-ის" ელიტურ სკოლაში, ამბობს, რომ "ნამდვილი დემოკრატია შეუძლებელია ეკონომიკური მინიმალური დემოკრატიის გარეშე". "რაც რაციონალიზაციად სახელდება, არის დაუმუხრუჭებელი და ცინიკური კაპიტალიზმი...დამხობამ კარიკატურული სოციალიზმისა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ბატონობდა, მოსპო ყოველი ჯურის ოპოზიცია. ადამიანებს ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ჰორიზონტს იქეთ არარაობაა და ისტორიამ მიაღწია დასასრულს. ამგვარი დამბლადაცემულობა საშინელებაა."

მპ-50-1996. გვ.172

### დემონსტრაცია სსრკ-ასათვის

საბჭოთა კავშირის დაშლის მეხუთე წლისთავზე, ე.ი. 1996 წლის 8 დეკემბერს, მოსკოვში ადგილი ჰქონდა კომუნისტებისა და ნაციონალისტების დემონსტრაციას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათას-ხუთასამდე კაცმა და მოითხოვეს საბჭოთა კავშირის ისევ აღდგენა. დემონსტრანტები ელცინსა და გორბაჩოვს უწოდებდნენ "მოღალატეებს".

როგორც ცნობილია, 1991 წლის 8 დეკემბერს ელცინმა და ბელორუსიისა და უკრაინის პრეზიდენტებმა საბჭოთა კავშირის გამოაცხადეს დაშლილად და შექმნეს ე.წ-ლი "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა".

ზც-9.12.1996 წ.

## მოქანდაკე ზურამ წერეთლის წარმატებანი

ასოშიეიტედ-პრესის სააგენტოს ცნობით, 50 მეტრის სიმაღლისაა მოქანდაკე ზურამ წერეთლის მიერ შექმნილი "პეტრე დიდის" ქანდაკება მდინარე მოსკოვის სანაპიროზე, რომელიც ახლა დამთავრდა. იმავე სააგენტოს ცნობით, მოქანდაკე ზურაბ წერეთელს დიდი წარმატება აქვს იმის გამო, რომ მას მეტად მხარს უჭერს რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი.

ასოშიეიტედ-პრესის სააგენტო:13.12.96

## ბეკენბაუერი და ქართული ფეხბურთი

1998 წელში გადადგება მსოფლიო ფეხბურთის კავშირის - ფიფას - პრეზიდენტი ჟ. ჰავილანჟი, რომელიც 24 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა "ფიფას"; და ამ პოსტზე ერთერთი კანდიდატი იყო ფრანც ბეკენბაუერი, ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი და ახლა კლუბ "ბაიერნ" პრეზიდენტი. მაგრამ მის კანდიდატურას, გერმანიის ფეხბურთის კავშირის თავჯდომარის ეგიდიუს ბრაუნის განცხადებით, - არავითარი შანსი არ აქვს, რადგან ბეკენბაუერმა ვერ გამოიჩინა დიპლომატიური ნიჭი, როცა მან განაცხადა, რომ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატში პატარა ქვეყნები, როგორიცაა მოლდავეთი და საქართველო, - დაშვებული უნდა იქნან "წინა-საკვალიფიკაციო" შეჯიბრებაში და მხოლოდ შეუძლიათ შეხვდნენ "დიდი ქვეყნების" ეროვნული ნაკრების გუნდებს. ამდენად, "ფიფას" მომავალი პრეზიდენტის მოსაწონ კანდიდატად თვლიან შვედელ იოჰანსონს.

ზც-13.12.1996

## ჩეჩნეთში გამარჯვება შეუძლებელი იყო

რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს ყოფილმა მდივანმა - გენერალ ალექსანდრ ლებედმა - განაცხადა, რომ ჩეჩნეთში "გამარჯვება შეუძლებელი იყო...ჯარები გამოდიან ჩეჩნეთიდან, რადგანომის მოგება შეუძლებელი იყოო".

მ3-46-1996 წ.

## არჩევნები აფხაზეთში არალეგალურია

დე-პე-ას სააგენტოს ცნობით, საქართველოს პრეზიდენტმა - ედუარდ შევარდნაძემ - პარლამენტის არჩევნები აფხაზეთში, საქართველოს ამ პროვინციაში, ჩათვალა არალეგალურად. რუსეთმაც ჩათვალა ეს არჩევნები არაკანონიერად. კვირას, 25 დეკემბერს, აფხაზეთის პარლამენტის 35 დეპუტატიდან 30 არჩეულ იქნა უკანონოდ, რადგან აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

დე-პე-ა:26.12.96 წ.

## მსოფლიო მოსახლეობა

რეიტერის სააგენტოს ცნობით, მსოფლიო მოსახლეობა - აშშ-ს გამოკვლევის თანახმად - მატულობს უფრო ნელი ტემპით, ვიდრე მოელოდნენ. 1996 წელში მსოფლიო მოსახლეობა გაიზარდა 90-ი მილიონი სულით; გასულ წლებში კი მსოფლიო მოსახლეობის მატება უდრიდა 100-ს მილიონ სულს. გამოანგარიშებით 2025 წელს მსოფლიოში იქნება რვა მილიარდი ადამიანი. დღეს კი მსოფლიოში ცხოვრობს 5,9 მილიარდი ადამიანი.

რეიტერის სააგენტო,30.12.1996

## ზვიად გამსახურდიას "გააზრებანი?"

ანატოლი ხიმიჩკი ნარკვევთა ციკლში -"თბილისის ყამცეხილი ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა"("საქ.რესპუბლიკა",26.8.1996 წ.), სხვათა შორის, წერს:

"მეორედ საქართველოს მომავალ პრეზიდენტს 1991 წლის გაზაფხულზე შევხვდი მოსკოვის ამერიკის საელჩოში; ეს იყო აშშ სახელმწიფო მდივნის ჯ.ბეიკერის შეხვედრა მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან...გაიმართა აზრთა გაზიარება...როდესაც ზ.გამსახურდიას ჯერი დადგა, მან, არც აცია, არც აცხელა, და განაცხადა:

"[illegible] წარსულში [illegible] თავისუფლება [illegible]. ახლა დადგა დრო, როდესაც ამერიკამ [illegible] უნდა გაათავისუფლოს ხალხები. საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, ამიტომ ჩვენ ვთხოვთ ამერიკას, დაეხმაროს [illegible] გათავისუფლებაში და შემოიყვანოს საქართველოში ამერიკის ჯარები".

"...[illegible] ხასიათი [illegible] გამსახურდია მისი [illegible]: "საქართველო [illegible]!"

<u>გაზეთი "საქ.რესპუბლიკა",26.8.1996 წ.</u>

### აფხაზები სოხუმიდან კრასნოდარში გარბიან

[illegible] დროს სოხუმში მომხდარი ფაქტების გამო (ტერორისტული აქტები და სხვა) მოსახლეობაში „პანიკაა". დაფიქსირებულია დიდი სოჭის ზონასა და კრასნოდარის მხარეში აფხაზი (და არაპატრიოტი აფხაზი) მოსახლეობის დიდი რაოდენობით გასვლის ფაქტები.

„[illegible]", 10-11, 96 [illegible]

### ნარკოტიკები ცხინვალის რეგიონიდან შემოდის

სამხარეო პროკურორმა იმერეთის რეგიონში თამაზ ქუმსიშვილმა განაცხადა, რომ სამხრეთ და დასავლეთ ნარკოტიკების შემოტანის ცხინვალის რეგიონიდან [illegible] სამშვიდობო ძალები უწყობენ ხელს და დასძინა, რომ სამართლებრივ შემთხვევაში მხედ არიან ფაქტების დამამტკიცებელი დოკუმენტებიც წარმოადგინონ.

„[illegible]", 28.08.96, № 233

### რუსეთის პოლიტიკა კავკასიის მიმართ დანაშაულებრივია

[illegible] სახელმწიფო [illegible] წევრმა, [illegible], რომელიც რამდენიმე დღის წინ იმყოფებოდა აზერბაიჯანში და შეხვდა პრეზიდენტ ალიევს, განაცხადა, რომ რუსეთის პოლიტიკა კავკასიის მიმართ დანაშაულებრივია. მისი თქმით, რუსეთი ხელს უწყობდა აზერბაიჯანსა და საქართველოში სეპარატისტული დაჯგუფების გააქტიურებას. მებრძოლ მხარეებს იარაღით ამარაგებდა. რის შედეგადაც მან ამიერკავკასია, ფაქტობრივად, დაკარგა — აზერბაიჯანი და საქართველო რუსეთს აღარ უნდობიან.

„იბერია"

„[illegible]", 12-13 ოქტ., 1996 წ., № 124

### სეპარატისტებს რუსეთი მართავს

გუშინ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა შეხვდა გაეროს გენერალური მდივნის პირად წარმომადგენელს საქართველოში ედუარდ ბრუნერს.

ბატონ თამაზ ნადარეიშვილის განსაკუთრებული ძალისხმევა რომ არა, დიალოგი ედუარდ ბრუნერთან, რომელიც სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებს უნდა შეხვდეს, არ გაიმართებოდა.

თამაზ ნადარეიშვილმა დაასაბუთა რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ოპერაციის უპერსპექტივობა საქართველოში, რადგან, მისი აზრით, სეპარატისტული მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში სწორედ რუსეთის მიერ იმართება. ნადარეიშვილი კონფლიქტის სამშვიდობო-პოლიტიკურ მოწესრიგებას იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუკი გაეროს ეგიდითა და ძალებით განხორციელდება.

ედუარდ ბრუნერი გუშინვე გაფრინდა გაგრაში. მოგვიანებით იგი სოჭში კონფლიქტის რუს შუამავალთ შეხვდება და გამართავს თათბირს სამშვიდობო ოპერაციის სამომავლო სტატუსის შესახებ.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახური

„[illegible]", 10-11, ოქტ., 1996 წ., № 223

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეიმის ექო

# სამხედრო ძლიერების დემონსტრაცია

26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე აღინიშნა.

რადიოსადგურმა „თავისუფლებამ" ამ ფაქტთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაცია გადასცა:

საქართველომ სამხედრო სიძლიერის მასშტაბური დემონსტრაციით აღნიშნა დამოუკიდებლობის დღე. თბილისში გამართულ სამხედრო აღლუმში მონაწილეობა მიიღო 3000-ზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ: სატანკო, სარაკეტო და საარტილერიო ჯარმა, ავიაციამ. როგორც სააგენტო „როიტერი" იუწყება, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ქართულ ჯარს ძალუძს ქვეყნის მთელი ტერიტორიის გაკონტროლება.

დამოუკიდებლობის აღდგენის დღესვე, თბილისში ექს-პრეზიდენტ გამსახურდიას დახლოებით 2 ათასმა მომხრემ დემონსტრაცია გამართა. საქმე პოლიციელებთან შეხლა-შემოხლამდე მივიდა, რომლებმაც დემონსტრანტები ქალაქის ცენტრისკენ არ გაუშვეს.

ალიონი

„საქართველო", 28.5.1996

# ექსცესი 26 მაისს

26 მაისს ომონმა დაარბია მშვიდობიანი დემონსტრაცია. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს აცნობა პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველო" — ლიდერმა თენგიზ კიკაჩეიშვილმა.

26 მაისს 13 საათზე „მრგვალმა მაგიდამ — თავისუფალმა საქართველომ" ვაკის პარკში ჩაატარა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელზეც გამოტანილი ჰქონდათ საქართველოსა და ჩეჩნეთის დროშები. თ.კიკაჩეიშვილის თქმით, აქციაში მონაწილეობდა 6 ათასამდე ადამიანი. მიტინგის დამთავრების შემდეგ მშვიდობიანი პროცესია მთაწმინდისკენ გაემართა. ბარნოვის ქუჩაზე, კ/თ „ყაზბეგთან" ომონმა დაარბია სამშვიდობო პროცესია. მისივე თქმით, ომონელებმა დახიეს საქართველოს დროშა, ჩეჩნეთის კი გადააგდეს. აქციის ერთ-ერთი მონაწილე, ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის გამგეობის წევრი ლ.სულაბერიძე სასტიკად სცემეს და დააკავეს. იგი ამჟამად ვაკის რაიონის პოლიციაში იმყოფება.

როგორც სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში შსს პრესცენტრის უფროსმა, პოლკოვნიკმა ვ.გოგოლაშვილმა განაცხადა, იგი დაუკავშირდა ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს მ.სალაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს დროშის შეურაცხყოფის ფაქტს პოლიციის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, ხოლო რაც შეეხება ჩეჩნეთის დროშას, იგი გადააგდეს იმ მოტივით, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ქალაქის ქუჩებში არავინ გაატარებდა იმ დროშას, რომლითაც აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდი ხორციელდებოდა". ბრძანება დემონსტრაციის დარბევაზე არ ყოფილა, პოლიციელები მოქმედებდნენ თავიანთი შეხედულებისამებრ. რაც შეეხება სულაბერიძეს, ცნობა მისი ცემის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

იპრინდა

СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

31 МАЯ 1996 г.

# ДЕМОГРАФИЧЕСКАЯ СИТУАЦИЯ В ГРУЗИИ КРАЙНЕ НЕБЛАГОПРИЯТНА

Инга АБГАРОВА — «СГ»

Об этом сообщил на состоявшейся 22 мая пресс-конференции заместитель председателя Государственного департамента по социально-экономической информации, доктор экономических наук Анзор Тотадзе.

По его словам, демографическую ситуацию в Грузии можно сравнить только с российской, где положение также неблагоприятное. В других республиках бывшего Союза дела обстоят в этом плане гораздо лучше.

На пресс-конференции отмечалось, что государственные статистические ведомства располагают демографическими данными лишь за 1989 год. Согласно этим данным, в Грузии проживало 70,1 процента грузин и 30 процентов представителей других национальностей. В столице Грузии, по этим же данным, проживало 820 тысяч грузин (66 процентов), 150 тысяч армян (12 процентов), 124 тысячи русских (10 процентов), 33 тысячи осетин (2,4 процента), 16 тысяч украинцев (1,3 процента), 30 тысяч курдов и езидов (2,4 процента), 21 тысяча греков (1,8 процента).

Анзор Тотадзе отметил, что естественный прирост населения республики, по сравнению с другими государствами, невысок.

Для улучшения демографической ситуации в Грузии, по мнению А. Тотадзе, необходимо, чтобы в каждой семье было как минимум трое детей.

Коснувшись вопроса миграции населения, Анзор Тотадзе отметил, что начиная с 1994 года из Грузии выехало 66.847 человек, из них 13.249 грузин.

Первая в независимом Грузинском государстве перепись населения, как было заявлено на пресс-конференции, состоится в 1999 году.

## საქართველოს ეკონომიკა ციფრებში

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტის ცნობით, 1 მაისის მდგომარეობით, ქვეყანაში არ მუშაობდა 696 სამრეწველო საწარმო ანუ მათი საერთო რიცხვის 42 პროცენტი.

„კავკასიონი", 22.6.1996

## სამხრეთ ოსეთი არასდროს იტყვის უარს რესპუბლიკის სტატუსზე

სამხრეთ ოსეთის სახალხო ნიხასის (პარლამენტი) თავმჯდომარემ ლუდვიგ ჩიბიროვმა განაცხადა, რომ მოსკოვში ხელმოწერილ მემორანდუმში არაფერია ნათქვამი სამხრეთ ოსეთის სტატუსის თაობაზე, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა ჯერჯერობით ნაადრევია. მთავარია, რომ, მემორანდუმის თანახმად, მხარეები უარს ამბობენ ძალის გამოყენებაზე. ლუდვიგ ჩიბიროვის თქმით, სამხრეთ ოსეთი არის რესპუბლიკა და იგი არასოდეს იტყვის უარს ამ სტატუსზე.

იბერია

„რესპუბლიკა", 28.5.1996

## სტუმარს საყვედურობენ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი გუშინ შეხვდა დსთ-ს აღმასრულებელ მდივანს ივანე კოროტჩენიას.

თამაზ ნადარეიშვილმა დსთ-ს აღმასრულებელი მდივნის ყურადღება თანამეგობრობის განვითარებაში დაშვებულ შეცდომებზე და არსებულ ხარვეზებზე მიაპყრო, კერძოდ, დსთ-ს ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე კონტროლის არარსებობაზე. თამაზ ნადარეიშვილის თქმით, 19 იანვრის სამიტის გადაწყვეტილება აფხაზეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ბლოკადის თაობაზე მხოლოდ ქაღალდზე დაწერილ სიტყვებად დარჩა. მუხრუჭდება ლტოლვილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების პროცესი. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გააკრიტიკა სამშვიდობო ძალებისა და მათი მეთაურის ვასილი იაკუშევის საქმიანობა კონფლიქტის ზონაში.

თავის მხრივ, დსთ-ს აღმასრულებელმა მდივანმა განაცხადა, რომ აუცილებელია დსთ-ს ფარგლებში სამშვიდობო ინიციატივათა გააქტიურება და მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზების მექანიზმის შემუშავება.

BS-PRESS

## «თვალი მიჭირავს შენზედა»...

რუსეთი თავის ბალანსზე აიყვანს აფხაზეთის საკურორტო კომპლექსების დიდ ნაწილს. ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმეთა სამმართველოსა და აფხაზეთის წარმომადგენელთა შორის გამართულ კონფიდენციალურ მოლაპარაკებებზე. დევნილმა აფხაზეთის სახელმწიფო საკუთრების მართვის მინისტრმა არჩილ ჩიტავამ განაცხადა, რომ საქართველოში შექმნილი კომისია, რომელიც რუსეთ-საქართველოს ქონების სადაო საკითხების შესწავლითაა დაკავებული. ამ კომისიამ მოლაპარაკებები გამართა რუსეთის სახელმწიფო ქონების კომიტეტთან და გადაწყდა, რომ მხარეთა პრეტენზიები უნდა დაკმაყოფილდეს მას შემდეგ, რაც საქართველოს იურისდიქცია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელდება.

BGI

## რუსეთის საელჩო უარყოფს...

ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით აფხაზეთის სანატორიუმები გადაეცა რუსეთს, არ შეესაბამება სინამდვილეს. საქართველოში რუსეთის საელჩოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რუსეთი ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქონება საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაა.

იბერია

„რესპუბლიკა", 23.5.1996




## ბლოკადა გაირღვა

დალის ხეობა უკანასკნელი რვა თვის მანძილზე სრულ ბლოკადაში იმყოფებოდა. კოდორის ხეობის აღორძინებისა და განვითარების ფონდის „მონადირის" მიერ განხორციელდა ხიდას უღელტეხილის გზის გაწმენდა. სასიცოცხლო გზა, რომელიც აფხაზეთის სვანეთს ქუბერთან აკავშირებს, მთლიანად აღდგენილია. რამდენიმე დღეში დაიწყება პირველი ჰუმანიტარული დახმარების შეტანა ხეობის სოფლებში.

ალიონი

„რესპუბლიკა", 28.5.1996

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს ეროვნულ დღესასწაულთან — 26 მაისთან დაკავშირებით ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო მილოცვის დეპეშები.**

## ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო,

გილოცავთ თქვენ და მთელ ქართველ ხალხს საქართველოს ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს. თქვენი გასული წლის მიღწევები — ახალი კონსტიტუციის მიღება, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება და მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელება — სხვა ქვეყნებისათვის მაგალითი და საქართველოს შემდგომი წარმატებების საფუძველია. დღეს ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა უფრო მჭიდროა, ვიდრე ოდესმე და მომავალში მის შემდგომ გაღრმავებას მოველით. გისურვებთ ყოველივე კარგს.

გულწრფელად,

უილიამ ჯეფერსონ კლინტონი.

## მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

საქართველოს ეროვნულ დღესასწაულთან — 26 მაისთან დაკავშირებით გადმოგცემთ მილოცვას გერმანელი ხალხის სახელით. მეგობრული გრძნობით გამსჭვალულნი, თქვენს გვერდით ვდგავართ თქვენი ქვეყნის პარლამენტური დემოკრატიის განვითარებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, დიდი სიმპათიით ვადევნებთ თვალყურს თქვენი ხალხის ძალისხმევას თქვენს მიერ განვლილი მძიმე წლების შემდეგ მომავლის ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნების შესასრულებლად. გისურვებთ თქვენ და თქვენს მთავრობას ბედნიერებასა და წარმატებას.

დღევანდელი დღე არის კიდევ ერთი შესაძლებლობა, რათა დაგარწმუნოთ, რომ ფედერალური მთავრობა კვლავაც განუხრელად დაუჭერს მხარს საქართველოს ორივე რეგიონული კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოგვარების გზების ძიების საქმეში, ეთნიკური და რელიგიური შემწყნარებლობის დიდი ტრადიციების გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს ქვეყანაში ყველა მოქალაქეს მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობა ექნება.

სიხარულით ველოდები მომავალ თვეში თქვენთან შეხვედრას.

რომან ჰერცოგი,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი.

## მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს

ჩინელი ხალხის სახელით და პირადად გულწრფელად ვულოცავთ თქვენს ხალხს, გილოცავთ პირადად თქვენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს.

ვუსურვებ თქვენს ქვეყანას ეკონომიკურ განვითარებას, ბედნიერებას — თქვენს ხალხს. დაე, დღითიდღე ვითარდებოდეს მეგობრობა ჩინურ და ქართველ ხალხებს შორის და ჩინეთისა და საქართველოს მეგობრული თანამშრომლობა.

ძიან ძემინი,

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე.

## მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ,

ჩემი და ისრაელის ხალხის სახელით გილოცავთ საქართველოს ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს — 26 მაისს.

მინდა გულწრფელად გისურვოთ კარგად ყოფნა, ხოლო თქვენს ხალხს და ქვეყანას — პროგრესი და აყვავება.

ეზერ ვაიცმანი,

ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტი.

„საქ. რესპ.", 25.5.1996

---

რეზონანსი 1996 წლის 31 მაისი, პარასკევი 2

## ვლადისლავ არძინბა ავადმყოფობს

*(ალიონი)* წყაროს ვარაუდით, ავადმყოფობის მიზეზი უნდა იყოს ორი კვირის წინათ მის მიერ მიცემული რადიოინტერვიუ. იგი შეეცადა, რადიომსმენელთათვის აეხსნა გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების აუცილებლობა, ვინაიდან, მისი თქმით, ისტორიული სამურზაყანო არასოდეს ეკუთვნოდა აფხაზეთს. არძინბას აღნიშნულმა რადიოინტერვიუმ სეპარატისტთა უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში დიდი გაოცება და შეხლა-შემოხლა გამოიწვია, რის შემდეგაც, წყაროს მტკიცებით, არძინბა იძულებული გახდა თავი დაეცვა პოლიტიკოსთაგან, სოფელ ეშერაში მდებარე ერთ-ერთ აგარაკზე გაუჩინარებით, რომელსაც გაძლიერებული დაცვა იცავს.

სავარაუდოა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა არძინბას მოუწია მოსკოველი მფარველების ზეწოლით. „თუ ქართველებმა ბოლომდე ვერ შეაფასეს არძინბას პიროვნება, ჩვენ უსაფუძვლოდ გადაჭარბებით ვაფასებდით მას," — განაცხადა ერთ-ერთმა რუსმა პოლიტიკოსმა, სოხუმში არძინბას რადიოინტერვიუსთან დაკავშირებით გამოწვეულ უთანხმოებაზე.




## სამხედრო წვრთნა გალის რაიონში

გალის რაიონის სოფელ გუდავაში არსებული ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიგონზე ჩატარდა არძინბას ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს გეგმიური წვრთნა, რომელიც მიზნად ისახავდა მოწინააღმდეგის დესანტის უკუგდებას, ზღვის სანაპიროს დაცვას, ოფიცერთა მომზადებას, სხვადასხვა სამხედრო შენაერთების ურთიერთშეთანხმებული მოქმედების ორგანიზებას. წვრთნის დროს გამოიყენეს ჯავშანტექნიკა, არტილერია და ავიაცია, რომელიც ორი გამანადგურებელი თვითმფრინავით და ერთი ვერტმფრენით იყო წარმოდგენილი. აღნიშნულ წვრთნას ხელმძღვანელობდა აფხაზ სეპარატისტთა თავდაცვის მინისტრი სულთან სოსნალიევი.

იპრინდა.

გაზ. „კავკასიონი", 22.5.1996

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანექსიის მოზეიმეებს ანასხლეტი ქვა მაინც მოხვდათ

22 მაისს აღინიშნა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების 75-ე წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისში დაგეგმილი იყო მასშტაბური ღონისძიების ჩატარება ამიერკავკასიის ქვეყნების ხელმძღვანელების მონაწილეობით. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტმა რამდენიმე დღით ადრე გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება ასეთი ზეიმის მოწყობისადმი. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფება საკუთარ თავს დღესაც მე-11 წითელი არმიის მემკვიდრედ თვლის, რომელმაც 1921 წელს საქართველოს ანექსირება მოახდინა. ამის გაცხადებამ გენერალ ბელჩენკოს აუხსნელი გაოცება გამოიწვია.

იუბილემ ნაკლები ზარ-ზეიმით ჩაიარა დაჯგუფების შტაბის პლაცზე. თბილისის მერია, მთავრობისგან განსხვავებით, „ლმობიერი" აღმოჩნდა და აღნიშნული ღონისძიება (ოღონდ ვაკის პარკში) „თბილისური გაზაფხულის" პროგრამაში შეიტანა.

სააგენტო „ბი-ჯი-აის" ინფორმაციით, საქართველოს წარმომადგენლები ზეიმს არ ესწრებოდნენ. ისინი მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს სარკმლიდან უმზერდნენ განაწყენებულთა აღლუმს. ხოლო რუსეთის ოფიციალურ პირთაგან ღონისძიებას მხოლოდ რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმირ ზემსკი ესწრებოდა.

ესენგე-ს აღმასრულებელი დირექტორი ივან კოროტჩენია ამ დროს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს ხვდებოდა, სადაც მან აღნიშნა, რომ დროა, ესენგეს წესდებაში შეტანილ იქნას მეტი სიცხადე.

რუსეთის ელჩის თქმით, ეს ზეიმი არ იყო იმპერიული ამბიციების გამოვლენა. რეუტის თქმით კი, აღნიშნული დაჯგუფება იბრძოდა და ყოველთვის იბრძოლებს კავკასიაში მშვიდობისთვის.

იმავე დღეს, დაახლოებით 16 საათზე, რუსეთის სამხედროების თქმით, რუსთაველის გამზირზე მიმავალ მანქანაზე, რომელშიც რეუტი და მისი მოადგილე იმყოფებოდნენ, მოხდა თავდასხმა. საქართველოს შსს-მ უარყო აღნიშნული ფაქტი. შემოწმებამ არცენა, რომ მანქანის საქარე მინა წინ მისავალი მანქანის საბურავიდან ასხლეტილმა ქვამ ჩაამტვრია. ავთანდილ იოსელიანი კი, საერთოდ, რეუტის ამ ავტომობილში ყოფნას ეჭვქვეშ აყენებს.

ნ. კარმელაშვილი

გაზეთი "რეზონანსი", 27.5.1996

# ბერნარ ფასიე: მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ფრანგული კონტაქტები კვლავაც უნდა განვამტკიცოთ...

1 ივნისს საქართველოს ეწვევა საფრანგეთის სენატის თავმჯდომარე რენე მონორი. ვიზიტის წინა დღეს საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა ამ ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ჩვენს რესპუბლიკაში ბერნარ ფასიეს და სთხოვა მოეთხრო საპატიო სტუმრის ვიზიტის შესახებ.

ბატონი რენე მონორი თანამდებობით, ფაქტობრივად, მეორე პირია სახელმწიფოში და მისი სტუმრობა კიდევ უფრო განავითარებს და განამტკიცებს საქართველოსა და საფრანგეთს შორის საქმიან და მეგობრულ კონტაქტებს, განაცხადა ელჩმა. მიმდინარე წლის მარტის დამლევს ბატონ რენე მონორის მიწვევით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია იმყოფებოდა საფრანგეთში და სენატის თავმჯდომარის ჩამოსვლა საქართველოში საპასუხო ვიზიტია. ის შეხვდება თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელებს, პარლამენტის წევრებს, საქართველო-საფრანგეთის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლის თავმჯდომარეა ქალბატონი ლანა ღოღობერიძე. მსურს აღვნიშნო მისი განსაკუთრებული ღვაწლი ორი ქვეყნის ხალხების დაახლოების საქმეში.

ბატონი მონორი ეროვნულ ბიბლიოთეკასაც ეწვევა. იქ, გაიმართება გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება, ჩვენი სახელმწიფოების უძველესი ...ქტურული ტრადიციების ამსახველი ჯერ კიდევ შარდენისა და ბროსეს დროინდელი წიგნები. გაეცნობა აგრეთვე საქართველოში გამომავალ ფრანგულენოვან გაზეთს, რომელიც თავის დროზე ბოლშევიკებმა გააუქმეს. მიმაჩნია, რომ ეს თქვენს ქვეყანაში ფრანგული ენის ტრადიციების სიმბოლოა. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ისეთმა დიდმა მოღვაწეებმა, როგორიც იყვნენ დიუმა, შარდენი, საქართველოს პირველი ელჩი ევროპაში სულხან-საბა ორბელიანი. მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ფრანგული კონტაქტები კვლავაც უნდა განვამტკიცოთ და გადავცეთ თაობებს ეს კეთილი ტრადიცია.

ჩვენს საელჩოში სტუმრობისას ბატონი რენე მონორი შეხვდება საქართველოში მცხოვრებ ფრანგებს. სხვათა შორის, საელჩოში ფრანგული წიგნების ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს და ახლო მომავალში ნებისმიერი მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი იქნება ეს წიგნები.

საქართველოში ბევრი ფრანგული საერთაშორისო ორგანიზაცია მოქმედებს. ისინი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში წარმატებით მუშაობენ და ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას.

"საქართველოს რესპუბლიკა" – 1.6.1996

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხვალ 26 მაისია!

# აღლუმიდან—აფხაზეთისაკენ!

მტკვრის სანაპიროს მთელი თვის მანძილზე კამუფლირებული ბიჭები ამშვენებდნენ. შინაგანი ჯარების, უშიშროების ქვედანაყოფების, მესაზღვრეების, შეიარაღებული ძალების და არმიის მარშირება თბილისელებში 26 მაისის ასოციაციას იწვევდა.

დიახ, ეს ჯანსაღი, მხნე ჯარისკაცული ბიჭები მონაწილეობენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმში.

რესპუბლიკის მოედანი. მწყობრი ნაბიჯებით მიდიან პოლონელი კობა მოლჩანოვი და ქურთი თამაზ ხუდოიანი, აზერბაიჯანელი ბადირხან ილმაზოვი და ინგილოები ზაზა, ელიზბარ რისტიაშვილები, სამეგრელოში დაღუპული გენერლის შვილი, კაპიტანი ვალერი ბორისის ძე გრიგოლაშვილი. აქ არიან მრავალჭირგამოვლილი გენერალ-მაიორი ნოდარ მუსერიძე (№ 1 მოტომსროლელი ბრიგადის ოფიცერთა შემადგენლობის უფროსი), პოლკოვნიკი ტარიელ ჩქარეული (ჩოლოყაშვილის ბატალიონის მეთაური), პოლკოვნიკი სოსო ბოჭოშვილი, მაიორი გიორგი მოსიაშვილი (ეროვნული გვარდიის საარტილერიო დივიზიონის მეთაური).

მოაბიჯებს მწყობრში 8 ათასი გუშაგი. — ჩვენ მზად ვართ სამშობლოს დასაცავად, თუ საჭიროა, დღესვე აღლუმიდან — აფხაზეთისაკენ გავემართებით.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.



საქართველოს რესპუბლიკა

შაბათი, 25 მაისი, 1996

„მაშ რისთვის მინდა სიცოცხლე,
სული რადა მრჩავ პირშია,
თუ კი არ გამოვადგები
სამშობლოს გასაჭირშია.“

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში
### 1996 წლის 29 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ დოლარი | 1,2600 | ლიტვური ლიტი | 0,2734 |
| გირვანქა სტერლინგი | 1,9051 | ლატვიური ლატი | 1,9916 |
| გერმანული მარკა | 0,8216 | 10 ესტონური კრონი | 0,8913 |
| ეკიუ | 1,5448 | 100000 უკრ. კარბოვანეცი | 0,5936 |
| ფრანგული ფრანკი | 0,2427 | 10 ყაზახური ტენგე | 0,1762 |
| 10 იაპონური იენი | 0,1181 | მოლდოვური ლეი | 0,2426 |
| 1000 იტალიური ლირა | 0,8113 | ყირგიზული სომი | 0,0963 |
| შვეიცარიული ფრანკი | 1,0041 | 10000 ბელარუსის რუბლი | 0,7588 |
| ჰოლანდიური გულდენი. | 0,7351 | 10 უზბეკეთის სუმი | 0,2955 |
| 10000 თურქული ლირა | 0,1648 | 1000 აზერბ. მანათი | 0,2508 |
| 1000 რუბლი | 0,2200 | 100 სომხური დრამი | 0,2704 |

### ნაღდი ვალუტის გაცვლის კურსი ლარზე

| თბილისი: 29.05.96 14 სთ. | 1 US $ | | 1 DM | | 1000 R | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შესყიდვა | გაყიდვა | შესყიდვა | გაყიდვა | შესყიდვა | გაყიდვა |
| ნაღდი | 1,256* | 1,26 | 0,83 | 0,84 | 0,2410 | 0,2415 |

*შენიშვნა: ჯიხურების მაქსიმალური კურსი.

რეზონანსი 1996 წლის 30 მაისი, ხუთშაბათ(

## საფლავებს მოწყურებულნი

დაბა ბიჭვინთისა და ბზიფი-ალახაძის ტერიტორიაზე ჩარჩენილი ქართველებისათვის (ტერიტორიას აფხაზი ექსტრემისტები აკონტროლებდნენ) მეხის გავარდნის ტოლფასი იყო გაგრის დაცემა და მომხდარი ტრაგედია. იმ პერიოდში ორჯერ დახვრეტას სასწაულებრივ გადარჩენილი და დევნილი, სიმინდის ყანებსა და ტყეს ვაფარებდი თავს. სანდო პირებთან მქონდა კავშირი, რომლებიც მამარაგებდნენ ინფორმაციებითა და საკვებით. ერთად ვაწყობდით ტყვეობიდან თავის დაღწევის და მოსალოდნელი აყვანის შიშით ადგილის გამოცვლის გეგმებს.

საზარელი ამბები მოპქონდათ ჩემი ნაცნობ-მეგობრების წამებისა და დახვრეტისა. მოკლედ, ჩემი თავშესაფარი იყო ქალაქისათვის სანაგვედ გამოყოფილი ადგილის მიმდებარე სიმინდის ყანები და ევკალიპტების ტყე.

გაგრის ტრაგედიის მესამე დღეა. 5 ოქტომბერი. დილის 2 საათი. ჩემგან 200-300 მეტრზე ატყდა ტრაქტორისა და თვითმცლელების ინტენსიური მოძრაობა. ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო. მივუახლოვდი აღნიშნულ ადგილს სულ რაღაც 40-50 მეტრში, თუმცა დიდი რისკის ფასად. საზარელი სურათის მოწმე გავხდი. სულით ხორცამდე შეძრული დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ვუყურებდი, რაც იქ ხდებოდა. ტრაქტორს გაეთხარა 30-40 მეტრის სიგრძის, 1,5 მეტრი სიგანის და ამავე სიღრმის ორმო. თვითმცლელ მანქანებს განუწყვეტლივ მოპქონდათ გაგრიდან ქართველ ვაჟკაცთა გვამები და ორმოში ყრიდნენ. როდესაც ორმო აივსო, ტრაქტორმა გადაუარა პირღია ორმოს, ცხედრები ჩატკეპნა და მიწაც მიაყარა. მერე ყველანი წავიდნენ. ადგილიდან დაძვრას ვერ ვახერხებდი. ყურში ისევ ჩამესმოდა მისაყვათებული კენესა ზოგი ჯერაც ცოცხალი მეომრისა, რომლებიც ცოცხლად დამარხეს და ჩატკეპნის დროს ძვლების მტვრევის ხმა.

არასრული ცნობებით, იმ დღეს აღნიშნულ ადგილას დაუსაფლავებიათ (თუ ამას ქრისტიანული წესით დასაფლავება ჰქვია) 500-მდე ცხედარი, რა თქმა უნდა, ყოველგვარი აღრიცხვისა და რეგისტრაციის გარეშე.

ენგულ იობაძე

## აღდგომა
მაისი, 1996

### ხალხური ხიბრძნე თავისუფლების შესახებ:

'ხჯობს მონობაში გადიდკაცებულს,
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!'

ალექსანდრე ლებედი და იგორ როდიონოვი – 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის ჯალათები:

*Rußland*

# Ohne Schuß, mit Gas

**Zum Verteidigungsminister stieg ein General auf, dem der Dichter Jewtuschenko einmal „Grausamkeit" vorgeworfen hat.**

Die waffenlosen Protestler vor dem Regierungsgebäude von Tiflis beteten gerade das Vaterunser, am 9. April des Revolutionsjahres 1989, da schlug die russische Ordnungsmacht zu.

Ihr Einsatzleiter war der Befehlshaber des Wehrbezirks Transkaukasus, der Afghanistan-erfahrene General Igor Nikolajewitsch Rodionow. Er hatte aus Moskau Weisung erhalten, um jeden Preis die 100000 Demonstranten für den Austritt Georgiens aus der UdSSR niederzuschlagen – aber ohne zu schießen.

Rodionows Männer, dabei Fallschirmjäger aus Tula und Sonderpolizisten, führten außer vier Panzern denn auch keine Waffen mit. Sie benutzten Feldspaten und chemische Kampfstoffe. Nachher lagen 19 Tote auf dem Rustaweli-Boulevard, darunter zwei erwürgte Mädchen und ein geköpftes Kleinkind. 138 Opfer kamen mit Symptomen der Einwirkung eines Nervengases ins Krankenhaus. Kein Schuß war gefallen.

Ein Fallschirmjägerregiment hatte jener Alexander Lebed kommandiert, der jüngst zum obersten Verantwortlichen für Rußlands Sicherheit aufstieg. Tiflis, so Lebed, war einer jener „Brennpunkte", über die er in der Umbruchzeit „spazierte". Sein Wunschkandidat wurde vorige Woche Verteidigungsminister Rußlands: der Spaten-und-Gas-General Rodionow, 59.

Präsident Boris Jelzin, 65, bildet nach dem Wahlsieg seine neue Regierungsmannschaft. Von Wahlreisen in 30 Regionen erschöpft, über drei Wochen lang dem Blick seiner Untertanen entrückt, ließ Jelzin einen minderrangigen Besucher einen Tag warten, bis er ihn – den US-Vizepräsidenten Al Gore – im Regierungssanatorium Barwicha bei Moskau vorließ.

Beim Fototermin erschraken Beobachter über das blasse, starre Antlitz Jelzins, der mühsam durch den Raum tappte wie einst der Sowjetchef Leonid Breschnew in seinen letzten Jahren. Staatsgast Gore aber huldigte dem Symbol russischer Staatsmacht, er sei gut in Schuß, gar lustig gewesen.

Nach dem starken Votum der Bevölkerungsmehrheit für diesen Präsidenten (eher: gegen seinen kommunistischen Rivalen) hat Jelzin die Machtverhältnisse im Kreml jetzt geordnet. Wie einstmals Deutschlands Reichspräsident Hindenburg kann er beruhigt eine zweite Amtsperiode antreten: Lebed sorgt für Sicherheit; der altneue Premier Wiktor Tschernomyrdin beschafft mit seinen Rohstoffexporten Devisen und, im Westen ist er hoch angesehen, Kredite.

Zur Besänftigung der Reformer und Intellektuellen zog Jelzin als Dritten im Bunde einen studierten Wirtschaftsingenieur wieder an sich, der als eine Art russischer Treuhandchef die Privatisierung der Volkswirtschaft durchgesetzt hat, erst im Januar von Jelzin abgesetzt und dann mit der Organisation des Wahlkampfs beauftragt war: Anatolij Tschubais, 41.


FOTOS: REUTERS

**Panzer in Tiflis 1989:** Auf Befehl von oben

Der wurde Jelzins „Erster Berater" und Leiter des Präsidialamts. Nicht einmal der Reform-Zar Alexander II., rühmte er seinen Herrn, habe soviel wie jener für Rußland getan.

Die drei Machthaber lassen sich – ein bewährtes Herrschaftsmittel – gegeneinander ausspielen: Es geht darum, wer in vier Jahren, wenn Jelzin laut Verfassung nicht noch einmal antreten kann, ihm nachfolgen wird. Lebed blieb versagt, gleich Vizepräsident zu werden; am Wahltag soll er (was er dementiert) Jelzins Leibwächter mit Anrufung der vierten Gewalt der USA bedroht haben: „Wenn Ihr mich nicht zum Präsidenten durchlaßt, gehe ich zu CNN und verkünde, Jelzin sei tot."

Er bekam seinen Wunschkandidaten Rodionow an der Spitze der Militärgewalt. Und der rügte Tschernomyrdins Kurs als „gegen das Militär gerichtet und prowestlich". Mit der Tiflis-Expedition in der Personalakte, äußerte sich Rodionow aber zurückhaltend: Die Armee habe auf einem „innenpolitischen Kampffeld nichts verloren – und nichts zu gewinnen".

Der „Schlächter von Tiflis", wie er bis heute in Georgien genannt wird, hatte seinerzeit die lokale Jugendzeitung mit einem Massaker-Bericht einstampfen und bereits ausgelieferte Exemplare aus den Briefkästen fischen lassen. Als Moskauer Schriftsteller einen von Jewgenij Jewtuschenko formulierten Protest gegen „die Grausamkeit der Armee" unterstützten, übernahm Rodionow für das Gemetzel die Verantwortung.

Dabei hätte er „alle Anschuldigungen sofort abschmettern können", erinnert jetzt sein damaliger Untergebener Lebed, aber dafür sei er eben „zu edel und zu diszipliniert" gewesen: Rodionow befolgte, wie das Generäle so tun, nur einen Befehl von oben, von der Partei.

Das bestätigte ihm zwei Jahre später eine Untersuchungskommission, die herausbekommen wollte, wer denn den Befehl erteilt habe. Im Politbüro der KPdSU war damals der Außenminister Eduard Schewardnadse zuständig, Landsmann



**Generaloberst Rodionow (r.), Freund Lebed:** „Zu edel und zu diszipliniert"

ალექსანდრე ლებედი და იგორ როდიონოვი – 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის ჯალათები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

*Rußland*

# Ohne Schuß, mit Gas

**Zum Verteidigungsminister stieg ein General auf, dem der Dichter Jewtuschenko einmal „Grausamkeit" vorgeworfen hat.**

Die waffenlosen Protestler vor dem Regierungsgebäude von Tiflis beteten gerade das Vaterunser, am 9. April des Revolutionsjahres 1989, da schlug die russische Ordnungsmacht zu.

Ihr Einsatzleiter war der Befehlshaber des Wehrbezirks Transkaukasus, der Afghanistan-erfahrene General Igor Nikolajewitsch Rodionow. Er hatte aus Moskau Weisung erhalten, um jeden Preis die 100 000 Demonstranten für den Austritt Georgiens aus der UdSSR niederzuschlagen – aber ohne zu schießen.

Rodionows Männer, dabei Fallschirmjäger aus Tula und Sonderpolizisten, führten außer vier Panzern denn auch keine Waffen mit. Sie benutzten Feldspaten und chemische Kampfstoffe. Nachher lagen 19 Tote auf dem Rustaweli-Boulevard, darunter zwei erwürgte Mädchen und ein geköpftes Kleinkind. 138 Opfer kamen mit Symptomen der Einwirkung eines Nervengases ins Krankenhaus. Kein Schuß war gefallen.

Ein Fallschirmjägerregiment hatte jener Alexander Lebed kommandiert, der jüngst zum obersten Verantwortlichen für Rußlands Sicherheit aufstieg. Tiflis, so Lebed, war einer jener „Brennpunkte", über die er in der Umbruchzeit „spazierte". Sein Wunschkandidat wurde vorige Woche Verteidigungsminister Rußlands: der Spaten-und-Gas-General Rodionow, 59.



Panzer in Tiflis 1989: Auf Befehl von oben

Präsident Boris Jelzin, 65, bildet nach dem Wahlsieg seine neue Regierungsmannschaft. Von Wahlreisen in 30 Regionen erschöpft, über drei Wochen lang dem Blick seiner Untertanen entrückt, ließ Jelzin einen minderrangigen Besucher einen Tag warten, bis er ihn – den US-Vizepräsidenten Al Gore – im Regierungssanatorium Barwicha bei Moskau vorließ.

Beim Fototermin erschraken Beobachter über das blasse, starre Antlitz Jelzins, der mühsam durch den Raum tappte wie einst der Sowjetchef Leonid Breschnew in seinen letzten Jahren. Staatsgast Gore aber huldigte dem Symbol russischer Staatsmacht, er sei gut in Schuß, gar lustig gewesen.

Nach dem starken Votum der Bevölkerungsmehrheit für diesen Präsidenten (eher gegen seinen kommunistischen Rivalen) hat Jelzin die Machtverhältnisse im Kreml jetzt geordnet. Wie einstmals Deutschlands Reichspräsident Hindenburg kann er beruhigt eine zweite Amtsperiode antreten: Lebed sorgt für Sicherheit; der altneue Premier Wiktor Tschernomyrdin beschafft mit seinen Rohstoffexporten Devisen und, im Westen ist er hoch angesehen, Kredite.

Zur Besänftigung der Reformer und Intellektuellen zog Jelzin als Dritten im Bunde einen studierten Wirtschaftsingenieur wieder an sich, der als eine Art russischer Treuhandchef die Privatisierung der Volkswirtschaft durchgesetzt hat, erst im Januar von Jelzin abgesetzt und dann mit der Organisation des Wahlkampfs beauftragt war: Anatolij Tschubais, 41.

Der wurde Jelzins „Erster Berater" und Leiter des Präsidialamts. Nicht einmal der Reform-Zar Alexander II., rühmte er seinen Herrn, habe soviel wie jener für Rußland getan.

Die drei Machthaber lassen sich – ein bewährtes Herrschaftsmittel – gegeneinander ausspielen: Es geht darum, wer in vier Jahren, wenn Jelzin laut Verfassung nicht noch einmal antreten kann, ihm nachfolgen wird. Lebed blieb versagt, gleich Vizepräsident zu werden; am Wahltag soll er (was er dementiert) Jelzins Leibwächter mit Anrufung der vierten Gewalt der USA bedroht haben: „Wenn Ihr mich nicht zum Präsidenten durchlaßt, gehe ich zu CNN und verkünde, Jelzin sei tot."

Er bekam seinen Wunschkandidaten Rodionow an der Spitze der Militärgewalt. Und der rügte Tschernomyrdins Kurs als „gegen das Militär gerichtet und prowestlich". Mit der Tiflis-Expedition in der Personalakte, äußerte sich Rodionow aber zurückhaltend: Die Armee habe auf einem „innenpolitischen Kampffeld nichts verloren – und nichts zu gewinnen".

Der „Schlächter von Tiflis", wie er bis heute in Georgien genannt wird, hatte seinerzeit die lokale Jugendzeitung mit einem Massaker-Bericht einstampfen und bereits ausgelieferte Exemplare aus den Briefkästen fischen lassen. Als Moskauer Schriftsteller einen von Jewgenij Jewtuschenko formulierten Protest gegen „die Grausamkeit der Armee" unterstützten, übernahm Rodionow für das Gemetzel die Verantwortung.

Dabei hätte er „alle Anschuldigungen sofort abschmettern können", erinnert jetzt sein damaliger Untergebener Lebed, aber dafür sei er eben „zu edel und zu diszipliniert" gewesen: Rodionow befolgte, wie das Generäle so tun, nur einen Befehl von oben, von der Partei.

Das bestätigte ihm zwei Jahre später eine Untersuchungskommission, die herausbekommen wollte, wer denn den Befehl erteilt habe. Im Politbüro der KPdSU war damals der Außenminister Eduard Schewardnadse zuständig, Landsmann



Generaloberst Rodionow (r.), Freund Lebed: „Zu edel und zu diszipliniert"

der Demonstranten und vormals ihr Polizei- und Parteichef. Freund Michail Gorbatschow, der Oberste, hob die Hände: Er selbst sei erst am Vorabend aus England zurückgekehrt (von wo er jedoch schon zwei Tage vorher abgeflogen war).

Rodionow schied ehrenhaft aus dem aktiven Truppendienst aus, trat an die Spitze der Generalstabsakademie in Moskau und mischte sich in die Politik ein. Auf dem KPdSU-Parteitag 1990 setzte er Flugblätter gegen den liberalen Gorbatschow-Berater Alexander Jakowlew in Umlauf: Der habe nach einem neuen „Hitler" gerufen.

Als der Volksdeputierte Alksnis, ein reaktionärer Obrist, ein halbes Jahr vor dem Putsch von 1991 den Sturz Gorbatschows forderte, empfahl er, wer einer neuen Regierung angehören müsse: Rodionow.

Voriges Jahr beschuldigte Rodionow die politische Führung einer schlechten Vorbereitung des Tschetschenien-Krieges und pries den Zentralismus der Sowjetzeit. Er verdammte die Journalisten als Dreckschleudern wider „das Heiligste des Heiligen, den Patriotismus der Soldaten" und plädierte für einen „effektiven Apparat zur geistig-ideologischen Beeinflussung" der Truppe. Jetzt empfahl Jelzin ebendas: die „Ausarbeitung" einer alle einigenden Weltanschauung der „nationalen Idee".

Auf einer Wahlveranstaltung Lebeds wetterte Rodionow, die Welt sei nicht, wie sich das Gorbatschow einst gedacht habe, von „allgemein-menschlichen Werten" bestimmt, sondern vom Wettkampf ums Überleben im 21. Jahrhundert.

Kurz vor seiner Berufung zum Minister empfahl sich der Panzersoldat aus der Provinz, geboren in einem Dorf bei Pensa, mit Vernunft: Rußland solle die Kontakte zur Nato weiter ausbauen, „wo immer es geht", und auch nicht mehr zu beweisen suchen, daß die Probleme in Europa und anderen Weltgegenden nur mit Rußland gelöst werden könnten. So etwas diene nur dazu, „unseren Größenwahn zu rechtfertigen".

Rodionow riet dringend, „daß ein Zivilist Verteidigungsminister wird, allerdings einer mit etwas Ahnung von operativer und strategischer Führung. Mindestens ein dreimonatiges Seminar an unserer Akademie muß er hinter sich haben".

Kaum war er selbst Minister geworden, schlug Rodionow schon wieder eine Volte. Er kommandiert nun eine demotivierte, unterernährte und kaum besoldete Armee von 1,3 Millionen Mann – und hochmoderne U-Boote mit 20 Raketen, die je 10 Atomsprengköpfe tragen.

Diese Armee müsse kraft „gesunden Nationalismus" wieder an Ansehen gewinnen. Für den Fall, daß das nicht gelänge, prophezeite Rodionow eine Lage im Land, welche äußerste Maßnahmen erfordere: „den Einsatz der Streitkräfte".

114 DER SPIEGEL 30/1996

ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

ოთარ იოსელიანი – ჩვენი საამაყო ხინეახცი

**Festival** De Godard à Iosseliani, de Loach à Ferrara, champs de bataille et conflits intimes ont occupé les écrans de la 53e Mostra.

# Guerres à Venise



Il y a parfois, dans les festivals, de passionnants télescopages. *For ever Mozart* et *Brigand 7*, du Géorgien Otar Iosseliani, étaient projetés le même jour, tandis que leurs auteurs respectifs se succédaient en conférence de presse :

*« C'est la septième fois que je m'occupe du phénomène du banditisme qui règne sur cette terre »*, explique Iosseliani, pour justifier le titre de son film. Ses brigands n'ont rien d'international, ils vivent dans un beau petit pays qui ressemble fort à la Géorgie, et ils sont immortels : à l'époque médiévale, sous le communisme et dans la guerre récente qui a ravagé ce pays, un même personnage torture et trucide avec une touchante application et une constante bonne humeur. *« Quand on veut rendre les êtres humains justes, bons, libres et généreux, cela aboutit nécessairement à la naissance du désir de les éliminer tous, du premier au dernier »*, dit encore Iosseliani. Quasi muet, *Brigand 7* est un grand film burlesque, atroce et jubilatoire. Si Iosseliani n'avait cédé à sa naturelle indolence – la partie stalinienne traîne en longueur –, on tiendrait là un pur chef-d'œuvre. Le jury de cette 53e Mostra lui a décerné son Prix spécial.

## ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

14 იანვარი, ძველი სტილით, ე.ი. 27 იანვარი ახალი სტილით არის ჩვენი დიდი დღესასწაული -ნ ი ნ ო ო ბ ა:"წმიდისა დედისა ჩვენისა და ქალწულისა ნინო მოციქულთასწორისა, ქართველთ განმანათლებლისა(335 წ.)".
ამასთან დაკავშირებით, გაგაცნობთ ჩვენი დიდი მწერლისა და მოაზროვნის - გრიგოლ რობაქიძის - ჰიმნს -"წმინდა ნინოს":

### წმიდა ნინოს

ქალწულო ნინო, ეწვევი ჩრდილებით:
დალურსულ ფოთლებში მზისთვალი დაღვარული.
ჩვენ, დანელებულნი და გულახდილები,
შენ წინ ვეფინებით უშრეტი სიყვარულით.

•••

მცხეთის რომ მოესმა ნელი ხმა ზევითგან—
გული ღვთისმშობლის ჩვენთვის ხომ უხვია—
ჯვარი გამოჭერი ვაზის ნასხლევითგან
და ცხელი ჭრილობა თმებით შეუხვიე.

•••

ღვთიური ტკივილი და არა წამება
იყო აქ, გვითხრობენ ამას ჩვენ მამები.
არ გვინდა, დედაო, სხვა ჯვარი ბერწების.
არ გვინდა სხვა მიწა და სხვა ნასახლევი!
ვლით: შენი ჯვარი ლხინია ლერწების—
ტოტებს აიყრიან მეტი ახლებით,
როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით.
ქალწულო ნინო, ათასჯერ გვენახე!
შენ გეალერსება დედული ვენახი.
ღვთიურ ანთებული ჩვენს მიწას ევნები.

სხვა როგორ ვიგულვოთ აქ შენი ნაცვალ.
ზვარში რომ გაივლი, ჩაყურსულ მტევნებს
მზის თვალით ივსება ყოველი მარცვალი.
შორითგან გიყურებს, ავს რომ აგაშორის,
ხმალამოღებული მზევაჟი ლაშარი.
ის არის იბერის მცველი და მზვერავი
და ჯვარს ვაზისა წაართმევს ვერავინ!

•••

ნათელო ნინო! ვით მიწის ხნულები
შენ წინ გადახსნილან აწ ჩვენი გულები.
მო, გადაგვიარე, ბედს გადავურჩებით
და ცერფებს დაგიკოცნით მაგარი ტუჩებით.
დ ა ო  დ ა  დ ე დ ა ო,
ღ ვ თ ი შ ო ბ ლ ი ს  დ ო ბ ი ლ ო,
ვ ა რ თ  შ ე ნ ზ ე  დ ა ნ დ ო ბ ი ლ ი
დ ა  შ ე ნ ი  შ ე ნ დ ო ბ ი თ
ა რ  გ ა დ ა ვ შ ე ნ დ ე ბ ი თ!

*1923* წელი

გრიგოლ რობაქიძე

--- --- --- ---

### პაატა ბურჭულაძე - ჩვენი საამაყო მომღერალი



**Paata Burchuladze** der georgische Baß zählt heute zur absoluten Weltspitze der Opernsänger. Debüt am Theater seiner Heimatstadt Tiflis. erfolgreiche Teilnahme an mehreren Gesangswettbewerben. Binnen kurzer Zeit wurde er an die bedeutendsten Opernhäuser eingeladen (Met. Covent Garden, Scala, Staatsoper Wien, Hamburg und München, Salzburger Festspiele, Arena di Verona, Paris): er sang dabei auch unter Herbert von Karajan, Riccardo Muti, Claudio Abbado und Zubin Mehta. Zahlreiche Plattenaufnahmen und Videoaufzeichnungen. Den Sarastro singt der Künstler in dieser Produktion zum ersten Mal.

# ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

## 26 მაისი პარიზში

1996 წლის 26 მაისი, ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაული, ჩვეული შთაგონებითა და სიფაქიზით იქნა აღნიშნული პარიზში, რომლის დროს მრავალ შეხვედრებს ჰქონდა ადგილი ქართველთა და უცხოელთა მონაწილეობით:

1.

23 მაისს 26 მაისი აღნიშნა საქართველოს სახელით პარიზში, 'ბალის თეატრის' შენობაში, პარიზის ბულონის ბაღში. 26 მაისის დღესასწაულს განსაკუთრებული ელფერი მიეცა იმით, რომ პარიზ-უნესკოს, ე.ი. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მოწვევით, - ესტუმრა ჩვენი ქუთაისის დელეგაცია ხამასი კაცის შემადგენლობით, რომელსაც მეთაურობდა ქუთაისის მერი და პრეზიდენტის წარმომადგენელი იმერეთის მხარეში ბატონი თეიმურაზ მაშიაშვილი. 26 მაისის დღესასწაულზე მიღებისას ქუთაისის ბავშთა მოცეკვავეთა გუნდის მონაწილენი ჩამწკრივებული იყვნენ, ბაღის შესასვლელიდან თეატრამდე, მისასვლელ გზის მარჯვნივ და მარცხნივ, რამაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ და უცხოელ სტუმრებზე, განსაკუთრებით უცხოეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებზე, რომელთაგან მრავალი დაესწრო 26 მაისის ჩვენ ეროვნულ დღის აღნიშნვის ცერემონიას. თეატრის გარეთ სპეციალურ სადღესასწაულო კარავში და თეატრშის შიგნით, ფრიალებდენ ქართული დროშები, რომელთა შორის განლაგებული იყო ქართული საჭმელები და სასმელები.

26 მაისის დღესასწაულის გახსნისას სიტყვით მიმართა უცხოეთის დიპლომატებსა და სტუმრებს უცხოეთში მცხოვრებ ქართველობასთან ერთად, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებინმა ელჩმა საფრანგეთში ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ, რომელსაც წინ უძღოდა ყველა სტუმრთა ვინაობის ოფიციალური გამოცხადება თეატრის დარბაზში შესვლისთანავე. ჩვენმა ელჩმა გოჩა ჩოგოვაძემ დამსწრეთ მოკლედ გააცნო 26 მაისის ისტორიული მნიშვნელობა და შემდეგ სტუმრები მიიპატიჟა ღია სუფრაზე. დამსწრეებს საშუალება ჰქონდათ აგრეთვე დასწრებოდენ ქუთაისის მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლის კონცერტს, რომელიც გაიმართა თეატრის სცენაზე და რომელმაც, განსაკუთრებით ბავშვების ცეკვებმა, აღფრთოვანებაში მოიყვანა დამსწრეები. ეს იყო დაუვიწყარი თვით ქართული ხალხური ცეკვებით განებივრებულ ქართველებისათვისაც; უცხოელი სტუმრების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

2.

26 მაისს პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში ჩატარდა წირვა-ლოცვა საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა სულის მოსახსენებლად. წირვა ჩაატარა დეკანოზმა არჩილმა, ხოლო მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობდა ბატონი ოთარ პატარიძე. 26 მაისის ღვთისმსახურებას განსაკუთრებული ღრმა შინაარსი მიანიჭა ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტის კალისტრატე (მარგალიტაშვილი) სტუმრობამ პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში, და მის მიერ პარაკლისის გადახდამ ჩვენს ეკლესიაში დეკანოზ არჩილ, პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვართან ერთად, რამაც უცხად შთამაგონებელი ზეგავლენა მოახდინა მლოცველებზე. ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის კალისტრატეს სტუმრობა წმინდა ნინოს ეკლესიაში უკვე მეორე შემთხვევაა იმისა, რომ სრულიად საქართველოს ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა ჩაატარა წირვა-ლოცვა ჩვენს ეკლესიაში პარიზში. როგორც ცნობილია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია მეორე პარიზის წიმნდა ნინოს ეკლესიას ესტუმრა 1980 წელს, ჩაატარა წირვა-ლოცვა და წარმოთქვა ისტორიული მნიშვნელობის სიტყვა-ქადაგება ქართული ეკლესიის მაშინდელი მდგომარეობის და, საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. ამგვარად, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის სტუმრობამ პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში და მის მიერ პარაკლისის გადახდამ საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა სული' მოსახსენებლად ისტორიულ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის ისტორიაში.

3.

25 მაისს დილით კი ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე თავი მოიყარეს ქართველმა სტუმრებმა ქუთაისიდან და პარაკლისი გადაიხადა ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ, რომელმაც გელათის ტაძარში დატოვილი სანთლები ჩამოიტანა ლევილში და აანთო ლევილის ძმათა სასაფლაოს მთავარ სამლოცველოსთან ამ ქართულ პანთეონში განსვენებულთა სულის მოსახსენებლად. მეუფე კალისტრატემ დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ის ყოველთვის ოცნებობდა პარაკლისი გადაეხადა ლევილის ძმათა სასაფლაოზე განსვენებულ ქართველთა სულის მოსახსენებლად და მეტად კმაყოფილია, რომ ეს სურვილი განახორციელა 1996 წლის 26 მაისს.

4.

1996 წლის 27 მაისს, ლევილის ქართულ მამულში, ჩვენი ამ მამულის სოსიეტემ და ადმინისტრაციამ გამართა სადღესასწაულო მიღება ლევილის ქართული მამულის შატოში, რომლის დროს მოწვეულ იქნა ქართველი სტუმრები ქუთაისიდან, ლევილში მცხოვრები ქართველობა და ფრანგი მეგობრები ლევილის მერის მ. ბურჟერონისა და მისი მეუღლის მეთაურობით. ლევილის ქართული მამულის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ბატონმა შამია ბერიშვილმა შესავალი სიტყვით გახსნა სადღესასწაულო მიღება და სუფრა და, ქართული წესჩვეულების შესაბამისად, წვეულების თამადათ აირჩია ბატონი კარლო ინასარიძე. მრავალ სიტყვათა და სადღეგრძელოთა შორის, აღსანიშნავია ქუთაისის მერის, იმერეთის გამგებლის ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილის შთამაგონებელი სიტყვა. მან, აღწერა რა ჩვენი ქუთაისის დღევანდელი მდგომარეობა, განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საერთო, განსაკუთრებით ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციასა და წინსვლას აქვს ადგილი საქართველოს ამ მეორე დიდ ქალაქში და საერთოდ იმერეთში. ქუთაისის მერისა და იმერეთის გამგებლის მრავალ მეტად საყურადღებო წინადადებიდან, დამსწრეთა ყურადღება მიიპყრო ქუთაისში მხატვარ ვარლამიშვილის მუზეუმის შექმნამ, ვარლამიშვილისა, რომელიც ცნობილია პარიზში 'ვარლახ' ფსევდონიმით. ბატონმა თეიმურაზ შაშიაშვილმა გაიზიარა აგრეთვე ჯერ კიდევ 1991 წელში წამოყენებული წინადადება, რომ განხორციელებულ იქნას ლევილის დაძმობილება დიდგორის ახლომდებარე რომელიმე ქართულ ქალაქთან, რადგან, როგორც ცნობილია, ორასი(თუ ათასი?) ფრანგი ჯვაროსნები იბრძოდენ დიდგორის ბრძოლებში დავით აღმაშენებლის მთავარსარდლობით, რაც ისტორიაში ცნობილია როგორც 'ძლევაი საკვირველი'.

ქალაქ ქუთაისის დელეგაციას პარიზში განსაკუთრებული პრესტიჟი შემატა აგრეთვე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბატონმა მალხაზ კაკაბაძემ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა შეხვედრაზე ლევილის ქართული მამულის შატოში, რომლის დროს ხაზი გაუსვა აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს სახელმწიფოს საერთო მსოფლიო ოჯახში შესვლას, და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა ცდილობს მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს განსაკუთრებით ევროპის დიდ და პატარა დემოკრატიულ ქვეყნებთან.

აღსანიშნავია აგრეთვე მეუფე კალისტრატეს, ქუთათელ- გაენათელი მიტროპოლიტის სიტყვა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქუთაისში მიმდინარეობს ბაგრატის ტაძრის აღდგენა, ხოლო გელათში უკვე დაარსებულ-აღდგენილია გელათის აკადემია, რომლის რექტორი თვით მეუფე-მიტროპოლიტი კალისტრატე.

5.

ქართულმა სათვისტომომ საფრანგეთში 26 მაისის, ჩვენი ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავი საღამო გამართა პარიზში, მოკასანის დარბაზში, პარიზის მე-15 უბანში, რომელსაც ჩვეულებისამებრ, მრავალი ქართველი და სტუმრები დაესწრენ. 26 მაისის ამ დღესასწაულს განსაკუთრებული სახიათი მისცა იმ ფაქტმა, რომ უცხოეთში მცხოვრებთა ამ დღესასწაულს პირველად დაესწრო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში ბატონი გოჩა ჩოგოვაძე და მისი მეუღლე ქალბატონი მანანა. საზეიმო საღამო გახსნა ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ ბატონმა ნოდარ ოდიშელიძემ, რომელმაც მოკლედ გააცნო დამსწრეებს, განსაკუთრებით უცხოელ სტუმრებს საქართველოს ეროვნული დღესასწაულის რაობა და მიესალმა საქართველოს ელჩს საფრანგეთში ბატონ გოჩა ჩოგოვაძესა და მის მეუღლეს ქალბატონ მანანასდა, საერთოდ, საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს თანამშრომლებს პარიზში. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ბატონებმა ოთარ ზურაბიშვილმა, სერგო მელიავამ, ჩვენმა ელჩმა ბატონმა გოჩამ და სხვებმა. ამ საზეიმო ვითარებაში, განსაკუთრებული კრიტიკის

თემად აქცია საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობა ბატონმა ექიმმა ოთარ ზურაბიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში თავისუფლება არ არსებობს, საქართველოში ისევ რუსეთის არმია ბატონობს, ციხეები სავსეა პოლიტიკური ტუსაღებით, დარღვეულია ადამიანის უფლებები და სხვა. ბატონმა ოთარ ზურაბიშვილმა და მის თანამოაზრეთა ჯგუფმა დატოვეს 26 მაისის დღესასწაული პროტესტის ნიშნად. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ჩვენმა ელჩმა ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა დღეს საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ნორმალურად მიიჩნია, თუმცა აღნიშნა, რომ საქართველო დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების სტაბილიზაციისა და ალმავლობის გზაზე დგას; და ადღეგრძელა დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო და მისი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მოკლე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ქართული ემიგრაციის ე.წ-ლი ძველი თაობის წარმომადგენელმა ბატონმა ლევან ფაღავამ, რომელმაც ადღეგრძელა აგრეთვე დამოუკიდებელი საქართველო და მისი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

ქართული სათვისტომოს 26 მაისის დღესასწაულს ეროვნული სული შთაბერა აგრეთვე მომღერალთა გუნდმა -'საქართველოს ხმა' -, რომელმაც საღამოს განხსნისას შეასრულა ჩვენი ეროვნული ჰიმნი 'დიდება', და შემდეგ არაერთი ხალხური სიმღერა, რა თქმა უნდა, 'მრავალჟამიერის' ჩათვლით. საერთოდ, 26 მაისის დღესასწაული, როგორც ყოველთვის, შთამაგონებლად ჩატარდა პარიზში, რაც, გასაგებია, მისასალმებელია.

კ.ი., პარიზი-ლევილი, 1996 წლის მაისი

## ილია მეორეს ბლიცვიზიტი მიუნხენში

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია II-ე, თავისი დელეგაციით, ესტუმრა გერმანიას ოფიციალური მოწვევით, და - მიუხედავათ გადატვირთული პროგრამისა - მან შესძლო, მისი სურვილის თანახმად, ოთხი საათით ეწვევოდა მიუნხენს და შეხვდა მიუნხენში მცხოვრებ ქართველობასა და მათ მეგობრებს.

ეს ბლიცვიზიტი დაიწყო მიუნხენის ცნობილ ტაძარში - თეატინერის ეკლესიაში-, სადაც პატრიარქის თანმხლებმა მგალობელთა გუნდმა შეასრულა რამდენიმე საგალობელი, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანელ მლოცველებზეც, რომლებიც ამ შესანიშნავ ტაძარში იმყოფებოდენ. შემდეგ ილია II-ე მისი დელეგაციითა და უცხოელი ოფიციალური სტუმრებით გაემართენ კაპუცინერის სალონში, სადაც გაიმართა სადილი მისი უწმინდესობის საპატივცემლოდ. ილია II-ეს მიესალმა ქართული სათვისტომოს თავჯდომარე ქრისტეფორე კირკიტაძე, რომელმაც ამ წვეულების თამადათ აირჩია ექიმი ვახტანგ ჩხაიძე. თამადამ მრავალი საყურადღებო სადღეგრძელო წარმოსთქვა, რომლის დროს სიტყვები წარმოსთქვეს როგორც გერმანელმა სტუმრებმა, ისევე ქართველებმა, რომლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ბატონ იოსებ(სოსო) ყორყოლიანის სიტყვამ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

მოკლე სიტყვა წარმოსთქვა მისმა უწმინდესობამ, რომლის შინაარსი გახდა ამ ბლიცვიზიტის კულმინაციური წერტილი. აი, ეს სიტყვა, ოდნავი შემოკლებით:

ქალბატონებო და ბატონებო,

დიდათ მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები დღევ თქვენთან აქ. როგორც თქვენ იცით, მე ვიყავი გერმანიაში, მაგრამ ის სხვა დრო იყო. მე ვიყავი აქ იმ დროს, როცა გერმანია იყო გაყოფილი და, როცა საქართველო იყო საბჭოთა კავშირის ერთერთი რესპუბლიკა. დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენ ჩამოვედით დამოუკიდებელ საქართველოდან. ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს. მართალია მრავალი პრობლემის წინაშე დგას საქართველო, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველო, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი, გამოვა ამ მძიმე მდგომარეობიდან და საქართველო იქნება თავისუფალი, დამოუკიდებელი და განვითარებული სახელმწიფო. ჩვენ ვიმყოფებითჩვენს ძმებთან, ჩვენს სულიერ შვილებთან ერთად აქ;თქვენც აქ შეგხვდით დიდი სიხარულით. მე მინდა გითხრათ, რომ საქართველოს დღეს უკვე ის საქართველო არ არის, რაც იყო ერთი წლის წინათ. საქართველო მიდის სტაბილიზაციისაკენ, მშვიდობისაკენ. ახლაც, ეს თქვენ იცით, მრავალი წარმოება; ხალხი იწყებს მუშაობას; შემოდის ბიზნესი საქართველოში და საქართველოს დღეს აქვს კავშირი უცხოეთთან. როგორც თქვენ იცით, საქართველოში გაივლის ნავთსადენი. ამას ექნება ძალიან დიდი მნიშვნელობა საქართველოს განვითარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყველაზე უფრო დიდი გასაჭირი, რომელიც ჩვენ გვაქვს, სულიერი გასაჭირია. თქვენ კარგად იცით, რომ 70-მა წელმა ტ ტალირიზმისა და ურწმუნეობისა, ათეიზმის წლებმა მძიმე ხინჯი დატოვა ქართველ ერში. მრავალმა ქართველმა ადამიანმა დაკარგა სარწმუნოება. თქვენ იცით, რომ ისტორიულად, როცა ქართველ ერს უჭირდა, - და მას უჭირდა მუდამ, - აი, სწორედ ამ გაჭირვების დროს ქართველი ერი აშენებდა ტაძრებსა და მონასტრებს, და ქართველი ხალხი, თავისი სისხლით იცავდა თავის მიწას, თავის კულტურას, სარწმუნოებას. და როგორ წარმოიდგენდა დავით აღმაშენებელი, როგორ წარმოიდგენდა თამარ მეფე, რომ დადგებოდა ის დრო - ქართველი ადამიანი თავისი ხელით დაიწყებდა ტაძრებისა და მონასტრების ნგრევას. აი, ამას მოვესწარით ჩვენ, აი, ამ 70-ი წლის დროს; და ჩვენ ეს ცოდვა გვაწევს; ჩვენ ეს ცოდვა უნდა მოვინანიოთ. მაგრამ მე მინდა გითხრათ, რომ დღეს, მიუხედავად იმისა რომ ქართველ ხალხს უჭირს, - ჩვენ კვლავ ვაშენებთ ტაძრებსა და მონასტრებს. ალბათ, პრესიდან თქვენ გაიგებდით, რომ თბილისში შენდება წმინდა სამების საპატრიარქო ახალი ტაძარი, რომელიც იქნება გვირგვინი ქართული ხუროთმოძღვრებისა, რომელიც აღემატება სვეტიცხოველსა და გელათს; და მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი საქართველო, ყველა ქართველი, მკვიდრი საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრები ქართველები მიიღებენ მონაწილეობას ამ დიდებული ტაძრის მშენებლობაში. აი, ეს ტაძარი მიძღვნილია უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის ორი-ათასი წლის თავისათვის. როგორც თქვენ იცით, მთელი მსოფლიო ემზადება ქრისტეს შობის ორი-ათასი წლის თავისათვის. და, აი, საქართველო უნდა შეხვდეს წმინდა სამების საპატრიარქო ახალი ტაძრით. ეს ტაძარი მიძღვნილია საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის 1500-ი წლის თავისათვის. როგორც თქვენ იცით, ვახტანგ გორგასალის დროს, ჩვენი დიდი მეფის დროს, საქართველომ მიიღო ანტიოქიიდან ავტოკეფალია და საქართველო გახდა დამოუკიდებელი ეკლესია. კულტურა, ლიტერატურა, ხუროთმოძღვრება - ყველაფერი აღმოცენდა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. და, აი, ეს გზა, რომელიც დაიწყეს ჩვენმა წინაპრებმა, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ. დღეს ეკლესია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გამთლიანდეს ქართველი ერი. დღეს საქართველოში მოქმედებს ორი სასულიერო აკადემია...... თქვენ, ალბათ, იცით, ეს მოხდა მარშან, მაისში. ჩვენმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ და მე საქართველოს საპატრიარქოში მოვაწერეთ ხელი მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს. აი, ამ დოკუმენტით გაიხსნა გელათის მეცნიერებათა აკადემია; მაგრამ ეს არის ახალი მეცნიერებათა აკადემია, რომლის მიზანია და ახლოვს მეცნიერება და ღვთისმეტყველება. როცა გაიხსნა გელათის აკადემია, დავით აღმაშენებლის დროს, მან დასახა მთელი გეგმა, რომ გელათის აკადემია უნდა ყოფილიყო მეორე ათინა, თავისი დიდი მეცნიერებით, მაღალი მეცნიერებით და მაღალი თავისი დიდი სულიერობით. აი, ჩვენ ვაგრძელებთ დავით აღმაშენებლის ანდერძს. ეს არის უდიდესი მოვლენა. როგორც თქვენ იცით, არსებობს პაპის მეცნიერებათა აკადემია და ეს არის მეორე, რომელიც გაიხსნა საქართველოს საპატრიარქოს ეგიდის ქვეშ. მე მინდა გითხრათ, რომ აღდგება ის დრო, როცა საქართველო გამთლიანდება. საქართველოს დღეს უჭირს, მაგრამ ძალიან მალე დადგება დრო და მოგვარდება აფხაზეთის პრობლემა, მოგვარდება ცხინვალის პრობლემა და საქართველო იქნება მთლიანი და ბედნიერი. მაგრამ მე მინდა გითხრათ, რომ თქვენ არ უნდა დაივიწყოთ თქვენი სამშობლო. თქვენი მთავარი საზრუნავი უნდა იყოს საქართველო. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენ მკვიდრნი ხართ საქართველოისა და სტუმრები ხართ აქ. მე მინდა ვისარგებლო ამ ბედნიერი დღით და მე მინდა მადლობა მოვახსენო გერმანიის ხელისუფლებას, რომელმაც მოგცათ თქვენ საშუალება აქ ცხოვრებისა, და შექმნა შესანიშნავი პირობები თქვენი არსებობისა. ზოგიერთმა თქვენგანმა გამოთქვა სურვილი, რომ აქ იყოს ქართული ეკლესია. მე იმედი მაქვს, რომ ყურადღებას მივაქცევთ ამას და მართლა განხორციელდეს ეს თქვენი სურვილი.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ! ღმერთმა დალოცოს საქართველო და გერმანია.

აი, მისი უწმინდესობის ილია II-ეს სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა მიუნხენში 1996 წლის 17 მაისს ქართველებთან შეხვედრის დროს. ეს ბლიცვიზიტი გაგრძელდა სულ15 საათიდან 18 საათამდე, რის შემდეგ ილია II-ემ და მისმა დელეგაციამ დატოვეს მიუნხენი.

კ.ი., მიუნხენი, 1996 წლის 17 მაისი

## ქუთაისის დღეები უნესკოში პარიზში

ქუთაისის მერმა ბატონმა თეიმურაზ მამიაშვილმა, რომელიც არის აგრეთვე იმერეთის მხარის გამგებელი, და მისმა დელეგაციამ, რომელშიც შედიოდა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი მეუფე კალისტრატე(მარგალიტაშვილი) და რომელთა შორის იმყოფებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბატონი მალხაზ კაკაბაძე, - მიიწვია საფრანგეთში მცხოვრები ქართველობა და უცხოელები გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის სადგომის დიდ დარბაზში,პარიზში, სადაც ჩატარდა გალა-კონცერტი ქუთაისის ოპერის არტისტებისა და ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლისა, რომლებსაც წინ უძღოდა ქუთაისის მხატვართა გამოფენა და ავერსი ქუთაისისა და საქართველოს კულტურის ნიმუშების გაცნობა საქართველოს ისტორიული წარსულის ამბერი ნიმუშების ჩათვლით.

ქუთაისის დელეგაციამ ეს კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ სოლისტები ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრისა, მომღერალთა გუნდი ბატონ ზურაბ [illegible] და ბავშვთა და [illegible] ან-[illegible], - [illegible] ჩა-[illegible], რომელიც [illegible] აღფრთოვანებ[illegible] დამსწრეებში [illegible].

აღსანიშნავია, ქუთაისის კულტურის დღეები უნესკოში-პარიზში დიდი წარმატებით ჩატარდა, რომლის კულმინაციური წერტილი გახდა ზემოთ აღნიშნული გალა-კონცერტი 1996 წლის 26 მაისს უნესკოს სადგომის მთავარ დარბაზ-თეატრში.

აღსანიშნავია, დიდი მადლობა დაიმსახურეს ქუთაისის კულტურის დღეების გამართვით პარიზში ქუთაისის მერმა ბატონმა თეიმურაზ მამიაშვილმა და უნესკოს გენერალურმა დირექტორმა ბატონმა ფედერიკო მაიორმა და საქართველოს ელჩმა საფრანგეთში ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ და მათ თანამშრომლებმა.

კ.ი.,პარიზი,1996 წლის მაისი

## ქუთაისის დელეგაციის მიღება ლევილის ქართული მამულის შატოში

# Visite diplomatique au château des Géorgiens



La fraternité, la joie, mais aussi le devoir de mémoire ont envahi le château de la communauté géorgienne de Leuville, lundi dernier.

Pour les chrétiens du monde entier, la St-Augustin est traditionnellement désignée comme étant le lundi de Pentecôte. Pour la Géorgie, 3° communauté chrétienne du monde créée en 337, c'est aussi la fête nationale commémorant *«la déclaration d'indépendance après 77 années d'occupation russe, ainsi que le 476° anniversaire de la réunification du pays, après la mort d'Alexandre 1er»*.

De nombreuses personnalités se sont donc rassemblées à Leuville, *«la première ville de France pour les Géorgiens du monde entier !»*, pour un déjeuner rituel, entrecoupé de *«toasts»* ainsi que de remarquables chants d'opéras traditionnels.

Etaient présents : des représentants politiques tels M. Chachiachvili, maire de Koutaïssi (2° ville de Géorgie avec plus de 250 000 habitants) et son homologue leuvillois, M. Bourgeron, les représentants des associations franco-géorgiennes avec MM. Mamia Bérichvili, Akaki Rachmichvili, Nodar Odichelidzé et Thierry Berichvili, ainsi que M. Kadjaïa, consul de Géorgie, le père Lainé et le métropolite (archevêque) de Koutaïssi Kalistraté, sans oublier les nombreux intellectuels représentatifs de la culture géorgienne.

M. Chachiachvili est le fer de lance d'une véritable mission diplomatique composée de spécialistes économiques, culturels et politiques qui travaillent auprès du gouvernement français et de l'UNESCO.

Du point de vue local, un souhait de jumelage de Leuville avec un homologue géorgien a été annoncé.

Un enrichissement mutuel supplémentaire qui s'inscrit dans le rapprochement nécessaire des deux pays.

H. Delabarre

## Fête des cerises avec la paroisse, dimanche

La paroisse Saint-Jean-Baptiste de Leuville organise la Fête des cerises, dimanche 2 juin, à Leuville-sur-Orge, parc du Château-des-Géorgiens, place des FFI.

Programme de la journée :

De 8 h à 10 h : croissants chauds à domicile.

A 11 h : messe en plein air, apéritif concert, déjeuner dans le parc et grand loto, le réveil leuvillois, danses folkloriques, nombreux stands, animations, loterie, pêche à la ligne, brochettes, crêpes, bar, chamboule-tout, fleurs, brocante, concours de tir, tirage de la tombola.

LEUVILLE SUR-ORGE — Le Républicain — JEUDI 30 MAI 1996

## საუკუნო იყოს ხსენება მათი!

### დავით პეკურიძის გარდაცვალება

გასულ 1996 წელში, მიუნხენში(გერმანია) გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე დავით პეკურიძე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავითმა მისი გვარი, მეორე მსოფლიო ომის დროს - ჩავარდა რა გერმანიის ტყვეობაში - გადააკეთა, რადგან ეშინოდა, რომ ბოლშევიკებს მისი ოჯახის წევრები საქართველოში არ გადაესახლებინათ. დავითის ნამდვილი გვარია - ბეკურიშვილი, რაც ბეკურიძეთ გადააკეთა, მაგრამ გერმანელებმა ამ გვარსაც ვერ შეეჩვიეს და ასო "ბ" ასო "პ-თი" შეუცვალეს.

დავით პეკურიძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მიუნხენში, შექმნა დიდი ოჯახი, შეეძინა ხუთი შვილი, და მუშაობდა რადიო "თავისუფლების" ქართულ რედაქციაში ტექნიკურ რედაქტორად, თუმცა რადიოგადაცემებშიც ღებულობდა მონაწილეობას როგორც დიქტორი, რაც რადიომსმენელებში დიდებით გამოძახილს პოულობდა მისი ხმის ოდნავი "ქართლური" ჟღერადობის გამო.

დავით პეკურიძის დაუღალავი მუშაობის შედეგად, რადიო"თავისუფლების" რედაქციის საუბრები, კომენტარები თუ ინტერვიუები შეკრებილი და გამოცემულ იქნა "კრებულებად", რის შედეგად გამოვიდა თითქმის ასამდე კრებული, რომლებიც, ასე ვთქვათ, რადიო "თავისუფლების" თავისებურ ისტორიად შეიძლება განხილულ იქნას. დავით პეკურიძის დამსახურებაა აგრეთვე მრავალი მოგონებების თუ სხვა სახის ნაწერების გამოცემა წიგნების თუ წიგნაკების სახით, რის შედეგად შეიქმნა,რადიო"თავისუფლების" სტუდიაში,თავისებური ბიბლიოთეკა, რითაც მრავალი საინტერესო მასალა გადარჩა რადიოს "წაშლის" ბედს, რის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ, თუ გნებავთ, გრიგოლ რობაქიძის - ჩვენი დიდი მწერლისა და მოაზროვნის - რადიოგადაცემები, რომლებიც შემონახულია ავტორის ხმის ფირებითაც კი.

დავით პეკურიძე დაკრძალულ იქნა მიუნხენში, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო მისი შვილებისა და მეუღლის ნათესავებ-ნაცნობებთან ერთად.

საუკუნო იყოს ხსენება მისი.

- . - . - . - . - . -

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საუკუნო იყოს ხსენება მათი**

ოთხმოცდა-თორმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა პარიზში ქალბატონი თინა მამულაიშვილი, რომელიც დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

პარიზში გარდაიცვალა ოთხმოცდა-თექვსმეტი წლის ასაკში, ცნობილი სოციალ-დემოკრატი და პოლიტიკური მოღვაწე პროკოფი ინწკირველი.

მიუნხენში, ოთხმოცდა-ათი წლის ასაკში გარდაიცვალა, ჩვენი თანამემამულე ვანო თ ვარაძე, რომელიც დაკრძალულ იქნა მიუნხენში.

საუკუნო იყოს ხსენება მათი.

---

## პ ე ტ რ ე ჭ ი რ ა ი ა

აფხაზი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აფხაზებისა და ქართველების შესახებ:

'აფხაზეთის პოლიტიკური ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან. აფხაზეთში, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, აღორძინდა ახალი ქართული სახელმწიფო. დღეს მთელი აფხაზეთის ტერიტორია მოფენილია ქართული ეკლესიებითა და ქართული წარწერებით. აფხაზური ტექსტისათვის ჩვენ ვხმარობთ ქართულ ანბანს, ქართულ ტრანსკრიპციას, რაც სავსებით ეგუება და ეთანაბრება აფხაზურს'.

პ.ჭირაია

---

## დ ი მ ი ტ რ ი  გ უ ლ ი ა

აფხაზი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე ლექსში 'სიმღერა აფხაზეთზე' ამბობს:

'მშობლიური აფხაზეთი,
მისი მიწა, მთები თეთრი,
მზიანია და ლამაზი,
და ნაზია, ოქროს თახი.

პე, საქართველო უნდა ნახო
აფხაზეთის სამოსახლო.
სულ პატარა კუთხე წყნარი,
საქართველოს ტურფა მხარის'.

დ.გულია

---

**ბალანსი:**

"მებრძოლი საქართველოს" (ნომ.20-33) გამოცემა,გამრავლება,დაგზავნა...3,715 ფრ.
კარლო ინასარიძემ შემოწირა............................3,715 ფრ.






ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დასავლეთ საქართველოს სამთავროების დროშები

## ЗНАМЕНА ЗАПАДНОГРУЗИНСКИХ КНЯЖЕСТВ



იმერეთი
ИМЕРЕТИИ



ოდიში
ОДИШИ



СВАНЕТИИ
სვანეთი



ГУРИИ
გურია



АБХАЗИИ
აფხაზეთი



ГЕРБ г. КУТАИСИ
ქალაქ ქუთაისის გერბი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
ტერიტორია 1918-1921 წლებში: 91 100 კვ.კმ.




საბჭოთა საქართველოს
ტერიტორია 1921-1991 წლებში: 69 700 კვ.კმ.

დამოუკიდებელი საქართველოს
ტერიტორია 1991 წლიდან: 69 700 კვ.კმ.

114/265
JK 833 E/2
1997



# Conseil National Georgien

## ქართული ეროვნული საბჭო

### ამონაწერი

ქართული ეროვნული საბჭოს წესდებიდან (პარიზი, 1896 წელი, 27 აპრილი. პირველი შესწორება: ლევილი, 1995 წელი, 17 აგვისტო):

„მუხლი მესამე: ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით..."

„მუხლი ოცდამეორე: ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში თავისთავს გამოაცხადებს დაშლილად, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს".

„პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო"

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

**„LA GEORGIE COMBATTANTE"**

იანვარი, 1997 წელი - ნომერი 20(38) - JANVIER 1997

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" — ილია

დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე

დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი — Fondation: Janvier 1952 , Paris
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბატონი მამია ბერიშვილი

CHATEAU DE LEUVILLE
91310 — Leuville sur Orga
FRANCE
tel:(331) — 6054 — 6157

მ-763